საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომი

№214 (12 284)

11 სექტემბერი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



რევიშვილი და მენთეშაშვილი გამოირიცხა

აზერბაიჯანი vs საქართველო

მატჩისწინა ამბები. დღეიდან, რეპორტაჟები ბაქოდან 2

U 21. ესპანეთი vs საქართველო

კობახიძის გარეშე 2

ვნახოთ, რას იზამს ყენია...

ექსპერტის თვალით. ინტერვიუ კახა ცხადაძესთან 3

რა გაკეთდა და რა გეკეთდება

ფედერაცია გარიგებაზე არ წავა 4

მოლი, მოლი, კიდევ მოლი!

11 სექტემბერი, 22:00. D ჯგუფი

არგენტინა-საქართველო

ლიონი, სტად ჟერლანი

არგენტინა: 15. იგნასიო კორლეტო, 14. ლუკას ბორხესი, 13. გონსალო ტიესი, 12. ფელიპე კონტეპომი (კაპ), 11. ფედერიკო მარტინ-არამბურუ, 10. ხუან ერნანდესი, 9. ნიკოლას ფერნანდეს მირანდა; 1. მარკოს აიერსა, 2. მარიო ლედესმა, 3. სანტიაგო გონსალეს-ბონორინო, 4. რიმას ალვარესი, 5. პატრისიო ალბასეტე, 6. მარტინ დურანი, 7.ხუან ფერნანდეს ლობე, 8. ხუან ლეგისამონი / 16. ალბერტო ბასუალდო, 17. ომარ ჰასანი, 18. ესტებან ლოსადა, 19. მარტინ შუსტერმანი; 20. (?) 21. ფედერიკო ტოდესკინი, 22. ფედერიკო სერა-მირასი

საქართველო: 15. პალიკო ჯიმშელაძე, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. მალხაზ ურჯუკაშვილი, 12. ირაკლი გიორგაძე, 11. ბესიკ ხამაშურიძე, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე; 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. აქვსენტი გიორგაძე, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ილია ზედგინიძე (კაპ), 5. მამუკა გორგოძე, 6. გიორგი ჩხაიძე, 7. გია ლაბაძე, 8. ბესო უდესიანი; / 16.გოდერძი შველიძე, 17.ავთანდილ კოპალიანი, 18. ვიქტორ დიდებულიძე 19. ზვიად მაისურაძე, 20. ბიძინა სამხარაძე; 21. რეზო გიგაური, 22. გიორგი შკინინი.

მსაჯი: ნაიჯელ ოუენსი (უელსი)



საქართველოს ნაკრების წუხანდელი ვარჯიში სტად ჟერლანზე

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები დღეს, ლიონში, თბილისის დროით 22 საათზე, მსოფლიო თასზე პირველ შეხვედრას გამართავს. მეტოქე ძალიან სერიოზულია - გათამაშების ერთერთი ფავორიტის, საფრანგეთის მძლეველი არგენტინის ნაკრები. "პუმებთან" მომავალი ბრძოლის თაობაზე გუშინ ბორჯღალოსანთა მწვრთნელს, მალხაზ ჭეიშვილს ვესაუბრეთ.

- არგენტინის ნაკრების თამაშში საფრანგეთის წინააღმდეგ ყველაზე თვალშისაცემი ამ გუნდის თავდადება იყო. ამასთან, არგენტინელებმა აშკარად დაჯაბნეს მეტოქე რაკში, მიწაზე თამაშში. ბურთის წართმევა, რაკიდან ბურთის გამოტანაში ხელის შეშლა - უმაღლეს დონეზე ჰქონდათ ორგანიზებული. შეტევაშიც ძალიან აქტიურები იყვნენ.

- როგორ შეაფასებდით ირლანდიის ნაკრებთან, ჩვენი ყველაზე მთავარი მეტოქის, ნამიბიის ნაკრების თითქმის სენსაციურ შედეგს?

- ნამიბიელებმა ეს ისევ და ისევ თავდადების ხარჯზე შეძლეს. ხომ წარმოუდგენელია ირლანდიისა და ნამიბიის გათანაბრება, მაგრამ ფაქტია, ნამიბია მეტოქეს თითქმის თანაბრად ებრძოლა და მეორე ტაიმი მოუგო კიდეც. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ მსოფლიო თასზე ხელწამოსაკრავი გუნდები არ არიან. ერთადერთი, ვინც თავი შეირცხვინა და სრულიად უთავმოყვარეოდ ითამაშა, იტალიაა.

- რა უნდა დავუპირისპიროთ არგენტინის ნაკრებს?

- ჩვენი იარაღი შეტევაში მოლითამაშია. აუცილებლად სულ ფეხზე უნდა ვიდგეთ. რაკში, მიწაზე თამაშში მათ ვერ გავეჯიბრებით. მაქსიმალურად ორგანიზებული უნდა იყოს დაცვა და, რაც მთავარია, მარტივ სიტუაციებში არ უნდა დავკარგოთ ბურთი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონტრშეტევებზე მათი შეჩერება შეუძლებელი იქნება. ჩვენ ანრი ბრონკანთან ერთად ვნახეთ არგენტინის თამაშის ვიდეოანალიზი და ტაქტიკა მკაფიოდ გვაქვს ჩამოყალიბებული.

ამასთან, ბიჭებმა უნდა გამოიჩინონ თავდადება და კიდევ ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი - საჭიროა მოიცილონ ბობოლა გუნდების კომპლექსი. მერე რა, რომ არგენტინაა ან საფრანგეთია, ბრძოლა ყველას უნდა გავუმართოთ.

- არგენტინა ჩვენთან სათამაშოდ ოდნავ შეცვლილ შემადგენლობას გამოიყვანს.

- მათ ექვსი მოთამაშე შეცვალეს, მაგრამ ამას ჩვენთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. თავდადებით თამაშინებისმიერ მეტოქესთანაა საჭირო.

- ჩვენი გუნდის შემადგენლობა ალბათ ოპტიმალურია თუ არ ჩავთვლით ბურჯ გოდერძი შველიძეს...

- შველიძე ბურჯია კია, მაგრამ გამორიცხული არაა, თამაშისას კვაჭის გამოცვლა დაგვჭირდეს. ამიტომ ის თადარიგში გავამწესეთ. სხვა მხრივ პრობლემა მას არ აქვს.

ბესიკ ჯანგავაძე

არგენტინას კაპიტანი გამოაკლდა

აუგუსტინ პიშო

წუხელ ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ თამაშს ვერ შეძლებს არგენტინელთა კაპიტანი **აუგუსტინ პიშო**. ამის შესახებ გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ "პუმების" მწვრთნელის თანაშემწემ **დანიელ ბაეტიმ** განაცხადა. 9 ნომრის პოზიციაზე პიშოს **ნიკოლას ფერნანდეს მირანდა** შეცვლის. ნაკრების ექიმმა **მარიო ლარაინმა** განაცხადა, რომ პიშოს მარჯვენა ფეხზე კუნთი დაეჭიმა და მოსარჩენად ოთხი-ხუთი დღე ესაჭიროება. კაპიტნის სამკლაურს "ბორჯღალოსნებთან" მატჩში ალბათ **ფელიპე კონტეპომი** გადაიბარებს.

დღევანდელი თამაში ერთადერთია მსოფლიო თასზე და საინფორმაციო საშუალებათა მთელი ყურადღება აქეთაა მომართული. სამხრეთამერიკელები ჩვენი გუნდის წინააღმდეგ პრემიალური ქულით მოგებას გეგმავენ, რათა მიზნის მიღწევაში, ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებაში, ხელი არ შეეშალოთ.

"სტად ჟერლანზე" დასვენებული "ბორჯღალოსნები" გამოვლენ, მაშინ როცა არგენტინელებმა ოთხი დღის წინათ საფრანგეთის ნაკრებთან მომქანცველი მატჩი ითამაშეს. *"მგონი, მართებული არაა ასე მალე მეორე მატჩის თამაში. ჩვენ მსოფლიო რეიტინგის ტოპ რვეულის ერთადერთი გუნდი ვართ, რომელთაც ოთხ დღეში მეორე მატჩის გამართვა უწევს"* - განაცხადა არგენტინელთა მთავარმა მწვრთნელმა **მარსელო ლოფრედამ**, "ლესტერ ტაიგერსის" მომავალმა დამრიგებელმა - *"ჩვენ კვლავ დიდ ბრძოლას ველით. საქართველოს ნაკრებთან თამაში სულაც არ არის იოლი გასეირნება, მათი შერკინება ძალიან სოლიდურია. სწორედ ეს იყო მიზეზი, რის გამოც სათამაშოდ უმთავრესად ისევ ძირითად შემადგენლობას ვუხმე. ქართველებთან მოსამზადებად მეტი დროც რომ მქონოდა, მაინც ასე მოვიქცეოდი"*.

რამდენიმე მოკლე კომენტარი ქართველთა მხრიდან.

დავით ზირაქაშვილი: - ჩვენმა მეტოქემ საფრანგეთის ძლევით დაამტკიცა, რომ რაგბიში მხოლოდ ფავორიტი არ იმარჯვებს. ჩვენი შერკინება მზადაა, მსოფლიოში ყველაზე ძლიერ მეტოქეს დაუდგეს. არ ვამტკიცებ, რომ არგენტინას მოვუგებთ, მაგრამ რომ არაფერს დავუთმობთ, ცხადია.

ირაკლი აბუსერიძე: - ჩვენი მთავარი სამიზნე ნამიბიაა. დანარჩენებთან დასაკარგი არაფერი გვაქვს და ეს ძალიან კარგია. შეგვიძლია, თავისუფლად, ლაღად ვითამაშოთ.

დავით ხინჩაგიშვილი: - ვიცით, რომ ძალიან მძიმე თამაში გველის. ყველანი მაქსიმალურად ვართ კონცენტრირებულნი. არგენტინასთან კარგი თამაშის ჩვენება ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

აქვსენტი გიორგაძე: - საქართველოს ისტორია ომების ისტორიაა, რაგბი კი თანამედროვე ომია. მოედანზე ჩვენ ყოველთვის საბრძოლველად გავდივართ.

დაბოლოს, ყველაზე ცნობილი სარაგბო ვებგვერდი "პლანეტ რაგბი" არგენტინელთა მოგებას ვარაუდობს 21-ქულიანი სხვაობით.

ნიკოლოზ ნეფარიძე

www.kazbegi.com

გაცხადება...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

აზერბაიჯანი-საქართველო

რევიშვილი გამოირიცხა, მენთეშაშვილიც

ბაქოში 17 ფეხბურთელით

გუშინ, ეროვნულმა ნაკრებმა აზერბაიჯანში გამგზავრების წინ ბოლო ვარჯიში ჩაატარა. გუშინწინდელის დარად, წვრთნა თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემიის სპორტკომპლექსში ჩატარდა. **კლაუს ტოპმიოლერის** განკარგულებაში 17 ფეხბურთელი იყო. სამწუხაროდ, გუშინ გაირკვა, რომ ლატვიური "ვენტსპილსის" ნახევარმცველ **ზურაბ მენთეშაშვილის** მსგავსად ვერც "რუბინის" მეკარე **ნუკრი რევიშვილი** დაეხმარება გუნდს ბაქოში.

წვრთნა საათს გაგრძელდა. ვარჯიშის დამთავრების შემდეგ, გუნდმა ტექნიკურ ცენტრ "ბასას" მიაშურა.

კლაუს ტოპმიოლერი აზერბაიჯანში 17 ფეხბურთელს იახლებს:

მეკარეები: **გიორგი ლომაია (უკლუბოდ), გიორგი მაკარიძე (დინამო).**

მცველები: **მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი მ. რუსეთი), ოთარ ხიზანეიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), ილია კანდელაკი (კარლ ცაისი, გერმანია), დავით ლომაია, ალექსანდრე კვახაძე (ორივე ვიტ ჯორჯია).**

ნახევარმცველები: **ლევან ცქიტიშვილი (უკლუბოდ), ჯაბა კანკავა (დნეპრი, უკრაინა), გიორგი დეკანოსიძე, დავით ბოლქვაძე, გრიგოლ დოლიძე (ყველა, ამერი), ლევან ყენია (ლოკომოტივი).**

თავდამსხმელები: **ოთარ მარცვალაძე (ზაკარპატიე, უკრაინა), ლაშა ჯაკობია (მეტალისტი, უკრაინა), დიმიტრი ტატანაშვილი (ამერი).**

ეროვნული ნაკრები აზერბაიჯანს დღეს, დილის 11 საათზე გაეგზავრება. ჩვენი გუნდი ბაქოში "გრანდ ოტელში" დაბინავდება და დღესვე ადგილობრივი დროით 19 საათზე (18 საათი თბილისის დროით) ტოფიკ ბახრამოვის სახელობის სტადიონზე მატჩისწინა ვარჯიშს გამართავს.

დღეისათვის ეს ვიკმაროთ. ხვალ კი ჩვენი ნაკრების მზადების შესახებ ბაქოურ რეპორტაჟს შემოგთავაზებთ.

დავით ცაბაძე

არველაძე ნოემბერში დაბრუნდება

ამას წინათ გაცნობეთ, რომ **შოთა არველაძეს** დაშავებულ მუხლზე ახალი ოპერაცია სჭირდებოდა. ოპერაციამ, რომელიც "ალკმაარის" ექიმის ხელმძღვანელობით ჰოლანდიაში ჩატარდა, ნორმალურად ჩაიარა. "ლევანტეში" გადასული ვეტერანი ქართველი ფორვარდი იმედოვნებს, რომ მწყობრში უახლოეს პერიოდში ჩადგება. შეგახსენებთ, იმავე ადგილზე მას ოპერაცია ზაფხულშიც გაუკეთეს, მაგრამ მაშინ სამედიცინო ჩარევამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

არველაძე ჰოლანდიიდან ესპანეთში დღეს ბრუნდება. სავარაუდოდ, იგი ვარჯიშს ნოემბრიდან შეუდგება და თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, პრიმერა დივიზიონში დებიუტი მიახლოებით ნოემბრის შუა რიცხვებში ექნება.

ლევან ჯანეზაშვილი

მეტოქე

მწვრთნელები მოგებაზე ფიქრობენ

აზერბაიჯანმა ქართველებამდე მოიგო

ქართველებთან დაპირისპირებამდე აზერბაიჯანის ნაკრებმა ტესტმატჩი ჩაატარა. აზერბაიჯანული წყაროების მტკიცებით, ნაკრების მწვრთნელ **შაჰინ დინიევს** სურდა მსუბუქი საკონტროლო ჰქონოდა, მაგრამ თამაში დაძაბული გამოდგა.

"აზერიფუტბოლის" ცნობით, აზერბაიჯანის ნაკრები განჯის გუნდ, "განჯაბირლიის" გაეჯიბრა და 2:1 მოიგო.

"რა თქმა უნდა, ამ მატჩის შედეგი არაფერს წყვეტს. თუმცა ჩვენ მოგება გვინდოდა და მოხარულ ვარ რომ ეს შევძელით. თამაშის მსვლელობისას შეგირდებისგან ბევრს არ ვითხოვდი. მათ მხოლოდ ის დავავალე, რომ უფრო მეტად ეკონტროლებინათ ბურთი. სამწუხაროდ, მათ ეს ვერ შეძლეს. მართალი გითხრათ, ძალიან ცხელოდა და ფეხბურთელებმა ალბათ ამიტომაც სათანადოდ ვერ გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობები. საამისოდ მათ კიდევ მიეცემათ შანსი. ორ დღეში საქართველოს ნაკრებთან ამხანაგური მატჩი გველის", - ტესტმატჩის შემდეგ "აზერიფუტბოლს" განუცხადა აზერბაიჯანის ნაკრების მწვრთნელმა.

"აზერისპორტი" კი მეტოქე გუნდების კომენტარებს აქვეყნებს: *"აზერბაიჯანთან ამხანაგურ მატჩში რამდენიმე ახალწვეული მინდა გამოვცადო. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მოგებაზე არ ვიზრუნებთ. პირიქით, აზერბაიჯანში მოგება ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ეს გამარჯვება გუნდსა და მის თითოეულ ფეხბურთელს საკუთარი ძალების რწმენას შემატებს"*, - **კლაუს ტოპმიოლერის** ამ კომენტარს გვთავაზობს "აზერისპორტი".

აზერბაიჯანელთა თავკაცი შაჰინ დინიევი კი აცხადებს: *"საქართველოს ნაკრები დამარცხება იოლი ნამდვილად არაა. ამ გუნდს საკმაოდ ცნობილი და სახელიანი მწვრთნელი ჰყავს. ნაკრებმა ევროპაში სახელი უკვე გაითქვა და ერთ-ერთ ძლიერ გუნდად ითვლება. თუმცა ჩვენ მოგებაზე ვფიქრობთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ამხანაგური მატჩია"*.

შეგახსენებთ იმასაც, რომ აზერბაიჯანის ნაკრებმა ბოლოს 22 აგვისტოს ჩაატარა ამხანაგური მატჩი. მათ ტაჯიკები სტუმრად 3:2 დაამარცხეს. ფიფას ბოლო რეიტინგში საქართველო 103-ე ადგილზეა, ხოლო აზერბაიჯანი 107-ეზე.

დავით ცაბაძე

U 21. ევრო 2009. ესპანეთი-საქართველო

კობახიძე ვერ ითამაშებს


სანდრო კობახიძე

უკვე მესამე დღეა, რაც ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები ესპანეთში, მალაგასთან ახლოს, ქალაქ ალმუნეკარშია დაბანაკებული და **ინიაკი საესის** გუნდთან სათამაშოდ ემზადება. გუშინ საქართველოს ნაკრებმა მატჩისწინა ვარჯიში გამართა. თავიდანვე გაცნობებთ, რომ უკრაინასთან მატჩის შემდეგ, თბილისიდან გამგზავრებული **მათე ღვინიანიძე** გუშინწინ შეუერთდა გუნდს. **პეტარ სეგრტის** განკარგულებაში ამჟამად 21 ფეხბურთელია:

მეკარეები: **რევაზ თევდორაძე (მერანი), რ. კვასხვაძე (ზესტაფონი).**

მცველები: **გიორგი ფოფხაძე (ვიბორგი, დანია), მათე ღვინიანიძე (მიუნხენ 1860, გერმანია), გულვერდ თომაშვილი, გ. კაშია (ორივე დინამო), ამირან სანაია (ლე მანი, საფრანგეთი), უჩა ლობჟანიძე (ზესტაფონი), გიორგი ელბაქიძე (ამერი), გიორგი თავბერიძე (სიონი).**

ნახევარმცველები: **გიორგი ნავალოვსკი, ვლადიმერ დვალიშვილი (ორივე ოლიმპი), მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი), სანდრო კობახიძე, გიორგი მერებაშვილი, (ორივე დინამო), თემურ აფრიამაშვილი (მესხეთი), ირაკლი ჩირიკაშვილი (სპარტაკი)**

თავდამსხმელები: **რევაზ ბარაბაძე (კარლ ცაისი, გერმანია), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), გიორგი კახელიშვილი (ოლიმპი), ვახტანგ კვარაცხელია (ვეტრა, ლიტვა).**

თბილისის "დინამოს" ნახევარმცველ **სანდრო კობახიძეს** რუსთავში, ყაზახებთან მატჩში მიღებულმა ტრავმამ შეახსენა თავი და ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ის დღეს ესპანელთა წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

გუნდს წუხელ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** შეუერთდა.

"მართალია ამ წყვილში პირველ მატჩშიც უპირობო ფავორიტად ესპანეთი იყო მიჩნეული, მაგრამ თავდადებული თამაშით მეტოქეს თითქმის არაფერში ჩამოუვარდებოდით. ის დასანანი გოლი რომ არ გაგვეშვა, არ წავაგებდით. ყაზახებთან გამარჯვების შემდეგ, თბილისიდან მოგებულის ფსიქოლოგიით ჩამოვფრინდით. ტრავმების გამო ჩვენს გუნდში დიდი დანაკლისია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მოედანზე ვინც გავა, სასურველი შედეგის მისაღწევად ბოლომდე იბრძოლებს.

ორშაბათს მათე ღვინიანიძე შემოგვიერთდა. ალმუნეკარში მისმა გამოჩენამ ყველა ძალიან გაგვახარა, გუნდისთვის ეს დამატებითი სტიმულიც კი იყო", - განაცხადა 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა პეტარ სეგრტმა.

თამაში დღეს, ალმუნეკარში, "ფრანჩესკო ბონეტის" სტადიონზე თბილისის დროით 21 საათზე დაიწყება. შეხვედრას შვედი მსაჯები მოემსახურებიან. არბიტრი **მარკუს სტომბერგსონი** გახლავთ, თანამსაჯები - **მაგნუს სიობლომი** და **მათიას კლასენიუსი**. მეოთხე მსაჯი **ტობიას მატსონია**. უეფადან მსაჯთა დამკვირვებელი კი ირლანდიელი **პატრიკ კელი** გახლავთ.

დავით ცაბაძე

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ექსპერტის თვალით. ინტერვიუ კახა ცხადაძესთან

უნდა დაველოდოთ ყენიას

ნაკრებს ყველაზე მეტდ უფრო შემქმნელები აკლია

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა, როგორც იქნა, არ წააგო თამაში შესარჩევი ჯგუფის ასე თუ ისე ძლიერ მეტოქესთან, თუმცა ფრე უკრაინასთან კმაყოფილების მომგვრელი არ უნდა იყოს. შედეგს რომ თავი დავანებოთ, თამაშის ხარისხი შთამბეჭდავი ვერ იყო, ხოლო კლაუს ტოპმიოლერის რამდენიმე გადაწყვეტილება სულაც გაუგებარი გახლდათ. საქართველო-უკრაინის შეხვედრაზე აზრის გამოთქმა სპეციალისტსაც ვთხოვეთ. "ლელოს" კითხვებს ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი, შემდგომში თბილისის "დინამოსა" და ბოლნისის "სიონის" მწვრთნელი კახა ცხადაძე პასუხობს.

- ზოგადად, როგორ შეაფასებდით უკრაინასთან მატჩს?

- უკრაინა სერიოზულ გუნდად ითვლება და ასეთ მეტოქესთან არ წავაგეთ, გულშემატკივრები შედეგით გაწბილებულები არ დარჩენილან, თუმცა ყველას ხომ მეტი გვინდა ჩვენი ნაკრებისგან. იმ შემადგენლობით, რაც მწვრთნელის განკარგულებაში იყო, მოედანზე უკეთესი გუნდი უნდა გვენახა. ვერ გავიგე ლაშა ჯაკობიას ფუნქცია. ლაშა სალუქვაძე, ნომინალურად ცენტრალური მცველი, ცაციათი კარგად ვერ თამაშობს და მარცხენა მცველად გაამწესეს. მარჯვენა ფლანგზე კი მათე ღვინიანიძე იყო. ანუ, ფლანგებზე ისეთი მცველები გვყავდა, შეტევაში ჩართვა მათი ძლიერი მხარე რომ არ არის. თანამედროვე ფეხბურთში განაპირა მცველებად ისეთები თამაშობენ, აუცილებლად რომ უნდა შეეძლოთ შეტევაში წასვლა.

- მიუხედავად ამისა, ფლანგებზე საქართველოს ნაკრები მთლად პასიურიც არ იყო...

- ოთარ მარცვალაძე ამ მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მაგრამ მისი თვისებების ბოლომდე გამოყენება მაინც ვერ ხერხდებოდა. მარცვალაძის უკან სალუქვაძეს უნდა ემოქმედა, ვინც დაცვის ცენტრისკენ იწევდა და მარცვალაძეს დიდ დისტანციაზე უწევდა სირბილი. როგორ უნდა განხორციელდეს ეფექტური კონტრშეტევა, როცა ფლანგელმა ნახევარმცველმა ამისთვის 60 მეტრი უნდა გაირბინოს?! კიდევ ერთი ნიუანსი: გიორგი დემეტრაძე ცენტრფორვარდი არ არის და ამიტომაც ხშირად ფლანგიდან ცდილობდა შეტევას, ხოლო მეტოქის საჯარიმო მოედანში ჩვენი თავდამსხმელებიდან აღარავინ იყო. ყოველივე ამისგან საქართველოს ნაკრებში ბალანსი ირღვეოდა.

- ლევან ცქიტიშვილის თამაშზე რას იტყოდით?

- უკრაინასთან მატჩში ის ჩვენს გუნდში ერთადერთი იყო, ვისაც ბურთის ამოტანა და დაჭერა შეეძლო. მეორე ტაიმის შუიდან მას ჰქონდა წუნი გადაცემებში, მაგრამ ეს მხოლოდ იმის ბრალი იყო, რომ უთამაშებელია და ოპტიმალურ ფიზიკურ ფორმაში ვერ არის.

- ტოპმიოლერმა კი 62-ე წუთზე ალექსანდრე იაშვილი შეცვალა, თუმცა ისიცაა, რომ იაშვილმა დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა და ალბათ ამან მოქანცა...

- მე იაშვილს არ შევცვლიდი. ჩვენს გუნდში მიმართულება შეტევისკენ არ იყო. ოთხი თავდამსხმელით გავედით მოედანზე, მაგრამ გააზრებული შეტევები არ გვქონია.

- ტოპმიოლერი მიიჩნევს, რომ მალხაზ ასათიანმა ნაკრებშიც დაცვის ცენტრში უნდა ითამაშოს, კალაძე-ასათიანის დუეტი ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაშიო. იზიარებთ ტოპმიოლერის შეხედულებას ასათიანის მცველობაზე?

- მეგონა, რომ ლევან კობიაშვილის არყოფნისას ტოპმიოლერი ასათიანს წინ წაწევდა. დაცვის ცენტრში კალაძე-ასათიანის ტანდემი მართლაც ძლიერია, მაგრამ მიმაჩნია, რომ გვყავს სხვა ისეთი ფეხბურთელებიც, კალაძესთან თამაში რომ შეუძლიათ. ასათიანს შექმნა რომ შეუძლია, კიდევ ერთხელ მაშინ გამოჩნდა, მეორე ტაიმის დასაწყისში ზურაბ მენთეშაშვილი მეკარესთან პირისპირ რომ გაიყვანა. ასათიანის შეტევაში გამოყენება ურიგო ნამდვილად არ იქნებოდა.

- როგორ ფიქრობთ, ყველაზე უფრო რომელ რგოლში აქვს პრობლემები საქართველოს ნაკრებს?

- ნახევარდაცვაში შემქმნელი ფეხბურთელები გვჭირდება. ლევან ყენიას წინსვლას უნდა დაველოდოთ.

- სხვა რესურსს ვერ ხედავთ?

- გიორგი მერებაშვილი და სანდრო კობახიძე - ვფიქრობ, მათ უკვე უნდა მიეცეთ ეროვნულ ნაკრებში თავის გამოჩენის საშუალება. მიმაჩნია, რომ ამ შესარჩევის დარჩენილ მატჩებში აქცენტი ახალგაზრდა ფეხბურთელებზე უნდა გაკეთდეს.

- უკრაინასთან არ იყვნენ გამოძახებულნი დავით კვირკველია და ლადო ბურდული. ორივე ფლანგელია და როგორ ფიქრობთ, უკრაინასთან ვერ გააძლიერებდნენ საქართველოს ნაკრებს?

- ვფიქრობ, კვირკველიას გამოყენება შეიძლებოდა, ბურდულის თამაში კი კარგა ხანია, არ მინახავს. მარჯვენა ფლანგზე დინამოელი გიორგი ფეიქრიშვილის მოსინჯვაც შეიძლება. კარგი მარჯვენა მცველია უჩა ლობჟანიძე, მარცხნივ გიორგი ნავალოვსკიც გვყავს. ზაალ ელიავა მართლაც თანამედროვე მარცხენა მცველია, მაგრამ რაღაც კომპონენტები ცოტა უნდა გააუმჯობესოს.

- ცენტრფორვარდობა დავით სირაძისთვის ზედგამოჭრილ პოზიციად მიგაჩნიათ?

- სირაძე ტიპურ ცენტფორვარდად არ მიმაჩნია, ის უფრო უკანდახეული შემტევია, თავით კარგად თამაშობს და ძლიერი დარტყმიც აქვს, სტანდარტულ სიტუაციებში ეფექტურია.

- მაშ, ვინ გეგულებათ ცენტრფორვარდის პოზიციაზე?

- ამ მომენტისთვის ვინმეს დასახელება გამიჭირდება. მიმაჩნდა, რომ ამ პოზიციაზე ნაკრებში სანდრო იაშვილს უნდა ეთამაშა, მაგრამ მას ახლა გოლები ვერ გააქვს, სამწუხაროდ, ის არასტაბილურია.

დავით თავართქილაძე

ძალიან დელიკატური საკითხი

ვინ ეტყვის სიმართლეს პრეზიდენტს?

შიშმა ეროვნება არ იცის. შიში აქვეითებს შემოქმედებით უნარს და იწვევს ხელმოცარვას. შიში ვერ იხსნის გუნდს მარცხისგან. პირდაპირ რომ ვთქვათ, როცა მწვრთნელს შიში შეეპარება, მისი საქმე დამთავრებულია.

საფრანგეთი 98-ის შესარჩევში საქართველომ შინ ინგლისთან 0:2 რომ წააგო, გულშემატკივრებმა სარბენ ბილიკებზე პლასტმასის ბოთლები უხვად და გამეტებით ისროლეს, მედიამაც გამეტებით გააკრიტიკა ნაკრების თავკაცი **ალექსანდრე ჩივაძე**. მას შეეძლო, არ წასულიყო, მაგრამ წავიდა. ძნელია, ბოთლებსაც გაუძლო და კრიტიკასაც, მაგრამ ეს მწვრთნელის ერთ-ერთი მოვალეობაცაა.

შიშის საუკეთესო მაგალითი კი **ალენ ჟირესის** გაფითრებული სახე იყო თურქეთთან საშინაო მატჩის წინ. თურქეთამდე რამდენიმე დღით ადრე საბერძნეთთან 1:3 რომ წავაგეთ, ჟირესმა სასტარტოში დააყენა **შოთა არველაძე**, ვისაც მანამდე "რეინჯერსში" თითქმის სამი თვე არ ეთამაშა. პირველ ტაიმში არველაძის შეცდომას ბერძნების გამთანაბრებელი გოლი მოჰყვა. ჟირესმა არველაძე მეორე ტაიმის დასაწყისში შეცვალა, მოედნიდან გასულ შოთას გულშემატკივრებმა ქოქოლა დააყარეს. აქედან სამ დღეში თურქეთთან მატჩისთვის კი ჟირესმა ის სამატჩო განაცხადშიც არ შეიყვანა.

კლაუს ტოპმიოლერი ბევრ საკითხში შეუვალი იყო. მაგალითად, ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელების ხარისხი არ აკმაყოფილებდა, ახლა კი, უკრაინა-აზერბაიჯანის მატჩებისთვის ერთბაშად ექვს ფეხბურთელს უხმო ეროვნული ჩემპიონატიდან. არ იძახებდა, ემდუროდით, გამოიძახა და მაინც ემდურით - აქეთ შემოგვედავება მავანი, მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ ეროვნული ჩემპიონატი და მასში მოთამაშენი ორ-სამ თვეში ვერანაირად ვერ გამოკეთდებოდნენ, ხოლო "ამერის'' ცენტრფორვარდი **დიმიტრი ტატანაშვილი** ტოპმიოლერმა მარჯვენა ნახევარმცველად შეიყვანა შეცვლაზე და ისიც მაშინ, როცა უკრაინასთან 0:1-ს ვაგებდით. თუ წავაგებთ, იმაში მაინც ვეღარ დამძრახავენ, ეროვნული ჩემპიონატის ფეხბურთელებს ნაკრებში არ ათამაშებსო.

ცუდია, როცა ყველაფერზე კუდის გამობმას ცდილობ, მაგრამ კიდევ უფრო ცუდია, როცა მწვრთნელი მერყევია, როცა თითქმის ორი წელიწადია, ნაკრებს ხელმძღვანელობს და ვერ გაურკვევია, რომელმა ფეხბურთელმა რომელ პოზიციაზე უნდა ითამაშოს.

და კიდევ უფრო ცუდია, ტოპმიოლერთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე გადაწყვეტილებას საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და მისი პრეზიდენტი დამოუკიდებლად რომ ვერ მიიღებენ.

ვინღა ეტყვის თვით პრეზიდენტს, რომ ტოპმიოლერმა არ გაამართლა, რომ უფრო ნაკლებ ფასში არანაკლები ან ეგებ უკეთესი უცხოელი მწვრთნელის მოწვევაც შეიძლება? ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მას ამას ალბათ ვერ ეტყვის, რადგან ეს მისთვის ადრე უნდა ეთქვა და თვითონ არის დამოკიდებული პრეზიდენტის ნება-სურვილზე. ტოპმიოლერის კანდიდატურას მხარს პრეზიდენტის გარემოცვაც უჭერდა. ტოპმიოლერს თვითონ პრეზიდენტიც ემხრობოდა და აკი ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების წინ ახალკაცის უმთავრესი მეტოქე **გიორგი ნემსაძეც** ამბობდა, როგორც არ უნდა ჩამთავრდეს ეს შესარჩევი ციკლი, ტოპმიოლერს კონტრაქტი მაინც უნდა გავუგრძელოთო. ახლა ალბათ პრეზიდენტსაც ძალიან არ სიამოვნებს, რომ ბიუჯეტის ფული იმ მწვრთნელისთვის დაიხარჯა, რომელიც ქვეყნის უპირველეს გუნდს ვერ გამოადგა.

ვითარება ჩახლართული და რთულია, ტოპმიოლერი ძალიან დელიკატური საკითხი შეიქნა. საკითხავია, ვინ უნდა უთხრას სიმართლე პრეზიდენტს?

დავით თავართქილაძე

CDN ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲪᲘᲤᲠᲘᲐᲚᲘ ᲥᲡᲔᲚᲘ
CAUCASUS DIGITAL NETWORK

ᲒᲘᲗᲐᲜᲐᲖᲝᲒᲗ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚ ᲞᲐᲙᲔᲢᲘᲡ:

CDN DSL — ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲘ;
CDN 55 — ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲛᲐ;
CDN 8-66 — ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲘᲕᲘᲡ;
GIGA ᲘᲜᲢᲠᲐ — ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔ ᲛᲔᲢᲘ, ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲐᲓᲔ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ;
CDN — ᲥᲡᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ;

ᲓᲐᲠᲔᲙᲘ, ᲛᲝᲣᲙᲕᲓᲘᲗ, ᲩᲐᲠᲗᲔᲗ!
ᲝᲠ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ 14
ᲢᲔᲚ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ 24 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ
• ᲣᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ • ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ
• ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ • ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲚᲘᲡᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ

ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲝ ᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ!
ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲞᲢᲘᲙᲣᲠ-ᲑᲝᲭᲙᲝᲕᲐᲜᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘ!

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

რევაზ არველაძე და გოგი ქავთარაძე

სფფ. პრესკონფერენცია

გარიგებაზე არ წავალთ!

რა გაკეთდა და რა გაკეთდება

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში ვიცე-პრეზიდენტების, გოგი ქავთარაძის, რევაზ არველაძის, დიმიტრი რამიშვილისა და გენერალური მდივნის უჩა უგულავას ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართა. პრესასთან შეხვედრა ეროვნული ნაკრების განვლილ და მომდევნო მატჩებს, ფედერაციის მიერ განხორციელებულ და განსახორციელებელ პროექტებს შეეხო.

გოგი ქავთარაძე:

- უკრაინასთან მატჩის წინ დაგპირდით, რომ სპეციალურ პრესკონფერენციას ჩავატარებდით და ფედერაციის განვლილ საქმიანობაზე ვისაუბრებდით. სწორედ ამაზე გვინდა ვისაუბროთ, მაგრამ მანამდე უკრაინასთან მატჩს შევეხოთ. აშკარაა, რომ ჩვენს ნაკრებს თამაშის ხარისხი აქვს გასაუმჯობესებელი, მაგრამ მატჩის სცენარიდან გამომდინარე, ბოლო წუთებზე მოპოვებული ფრე წარმატებად უნდა ჩაითვალოს. ლუქსემბურგის თამაშისგან განსხვავებით, ამჯერად ნაკრების ფეხბურთელებმა ბოლომდე იბრძოლეს და შედეგმაც არ დაახანა. მათ მადლობა მინდა გადავუხადო თავდადებისთვის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ფრით უკრაინას ჯგუფიდან გასვლის მხოლოდ თეორიული შანსი დავუტოვეთ. მინდა ციტატა მოვიყვანო პრესიდან – კლაუს ტოპმიოლერი ვერ იგებს მეორე ტაიმს და ამჯერად მან, როგორც იქნა მოიგო მეორე ტაიმი. მატჩამდე გავრცელებული ხმები ჩემამდეც მოვიდა, თითქოსდა ეს თამაში გარიგებული იყო, მაგრამ 8 სექტემბრის თამაშმა დაამტკიცა, რომ ეს ბინძური ჭორი იყო.

ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ბიულეტენი გამოვეცით, რომელშიც დაწვრილებით იყო მოთხრობილი ჩვენ მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ. მას მერე კიდევ ბევრი რამ შეიცვალა და ახლა ამაზე გვინდა მოგითხროთ.

სექტემბრის ბოლოს დასრულდება ბრიტანულ კომპანია FMMI-ის მიერ შემუშავებულ პროექტზე მუშაობა, რომელიც ქართული ფეხბურთის განვითარებას ეხება. ამის შემდეგ პროექტის პრეზენტაციას მოვაწყობთ. ეს დიდი ბიჯი იქნება ჩვენი ფეხბურთის განვითარებისთვის. უფრო მეტიც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს რევოლუცია იქნება ქართულ ფეხბურთში.

უკვე მიღწეულია შეთანხმება და 2008 წლიდან სამწლიანი კონტრაქტი ამოქმედდება ერთ-ერთ მძლავრ უცხოურ კომპანიასთან. ეს ქართულ-უცხოური კომპანიაა, კონტრაქტს ოქტომბრის დასაწყისში გავაფორმებთ და პრეზენტაციაც მაშინ შედგება. ეს კომპანია ფედერაციის გენერალური სპონსორი იქნება და საკმაოდ დიდ კაპიტალს ჩადებს ქართული ფეხბურთის განვითარებაში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და პროფესიული ფეხბურთის ლიგა ის ორგანიზაციები არიან, რომლებიც ყველანაირ პირობას ქმნიან ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის. საამისოდ არაერთ პროექტს ვახორციელებთ და ამისი დაკნინება არ შეიძლება. ბუნებრივია, ეს ჩვენი ვალდებულებაა, მაგრამ გული გვტკივა, როცა ჩვენ მიერ გაკეთებულ საქმეს ივიწყებენ, ანაც იგნორირებას უკეთებენ. ჩვენ ვალდებულნი ვართ ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის ვიმუშაოთ, მაგრამ გაკეთებული საქმეც უნდა ჩანდეს.

უჩა უგულავა:

– სახელმწიფოსთან ერთად მზადდება პროექტი, რომელიც 8 სტადიონის აშენებას ან რეკონსტრუქციას ითვალისწინებს. ბათუმში სრულიად ახალი სტადიონი აშენდება. ახალციხის, ბოლნისის, ბორჯომის, თელავის, ზესტაფონის, ფოთისა და ქუთაისის სტადიონებს რეკონსტრუქცია ჩაუტარდება. ასე რომ, უახლოეს მომავალში საქართველოში ევროსტანდარტის 8 სტადიონი გვექნება. ამას გარდა, კერძო მფლობელობაში მყოფ არენებსაც შეეხებათ ეს პროექტი. ასეთებია ზუგდიდის, გორის, "ამერის", "ვიტ ჯორჯიას" სტადიონები. ეს პროექტი სავარაუდოდ გაისად გაზაფხულზე დასრულდება და მომავალ 2008-09 წლების ეროვნულ ჩემპიონატს კლუბები განახლებულ სტადიონებით შეხვდებიან.

გარდა ამისა, გაიზრდება ეროვნული ჩემპიონატის საპრიზო ფონდი და 2008-09 წლების სეზონის ბოლოს კლუბები საბოლოო ცხრილში დაკავებული ადგილების მიხედვით სოლიდურ თანხას მიიღებენ.

აჭარაში უკვე დასრულდა რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის ოფისის მშენებლობა. ზუგდიდში დროებით შეჩერებულია ანალოგიური ოფისის მშენებლობა, რადგან ახალი, სრულიად განსხვავებული და უფრო მასშტაბური პროექტი განიხილება და ტერიტორიის შეცვლაზეა საუბარი. რამდენიმე დღეში შევხვდები სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორ ზაზა გორგოზიას და ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდება.

მწვრთნელთა ლიცენზირების კურსები C კატეგორიის სერთიფიკატისთვის, რომელსაც "ოუფენ ფან ფუტბოლთან" ერთად ვახორციელებთ, იმერეთში უკვე დასრულდა. ლიცენზირების პროცესი სამეგრელოში უახლოეს მომავალში დაიწყება.

რევაზ არველაძე:

– ფეხბურთის ფედერაციაში არავის არავისზე ნაკლებად არ სტკივა გული საქართველოს ნაკრებზე. ფედერაცია ვალდებულია, რომ ნაკრებ გუნდებს მაღალი დონის პირობები შეუქმნას და საამისოდ ყველაფერს ვაკეთებთ, თუმცა ეს დავიწყებას არ უნდა მიეცეს. ვიცი ყველას გვინდა ნაკრები მაღალ დონეზე თამაშობდეს, თანაც წარმატებები და შედეგები გვქონდეს. სამწუხაროდ ბევრია ისეთი თამაში, სადაც კარგად ვითამაშეთ, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ. ის, რომ უკრაინა ჩვენი მეგობარია, ქულები სჭირდება და უნდა მივცეთ, ასე არაა საქმე. ჩვენ არავისთან გარიგებაზე არ წავალთ. ეგრე საფრანგეთი, იტალია, შოტლანდია და ლიტვაც არაა ჩვენი შორეული და ყველას დავურიგოთ ქულები?

დიმიტრი რამიშვილი:

– ეროვნული ჩემპიონატიდან ნაკრებში ფეხბურთელების მიწვევა მართლაც მისასალმებელი და პოზიტიურია. კლაუს ტოპმიოლერმა საჯაროდ განაცხადა, რომ ეროვნულ ჩემპიონატში გამორჩეულთათვის ნაკრების კარი ღიაა. ეს საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებისთვისას დიდი სტიმულია.

სატელევიზიო ტელერეპორტაჟების გაყიდვასთან დაკავშირებით პროფესიული ფეხბურთის ლიგა მალე გააფორმებს კონტრაქტებს. ეროვნულ ჩემპიონატზე, ყოველი ტურის მიმოხილვა, მატჩების ტელერეპორტაჟები, ანალიტიკური და საგანმანათლებლო გადაცემები მომზადდება. სავარაუდოდ, უკვე სექტემბრის ბოლოს ჩვენ გვექნება საშუალება, პირველი ასეთი პროდუქტი ვნახოთ. ამ პროექტზე ბრიტანელი და ჰოლანდელი სპეციალისტები მუშაობენ და დიდი კაპიტალი ჩაიდება. პროექტში ჩართულები არიან "საზოგადოებრივი მაუწყებელი" და "რუსთავი 2". ასევე საუბრები მიდის ტელეკომპანიებთან "იმედთან" და "მზესთან". პროექტის რეალიზებისთვის ყველა საჭირო ტექნიკა უკვე შეძენილია.

დავით ცაბაძე

უგუნდო ცქიტიშვილი დარჩენას არ აპირებს

საქართველოში თამაში ნერვების შლაა

კლაუს ტოპმიოლერს მის გარეშე ნაკრები ვეღარ წარმოუდგენია. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ლევან ცქიტიშვილი უკრაინასთან მატჩამდე უგუნდოდ იყო დარჩენილი და ამის მიუხედავად, გერმანელმა მწვრთნელმა გამოიძახა. ტოპის აზრით, ცქიტიშვილი შეუცვლელი ფეხბურთელია, მის გარეშე გუნდში ბურთის დამჭერი და თამაშის წამყვანი მოთამაშე არ ჩანს.

არადა, ნაკრების მწვრთნელები, სპეციალისტები, ფეხბურთელები გაოცებულები არიან - სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა, ბერძნული "პანიონიოსიდან" წამოსული ქართველი კი უგუნდოდ დარჩა.

- ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარა იხურება. ამ დროს ნაკრების ფეხბურთელი, რომელსაც კლაუს ტოპმიოლერი ძალიან ენდობა, უგუნდოდ დარჩი. როგორ, რანაირად, ეს ფოკუსი როგორ ჩაატარე?

- მე რა ფოკუსი ჩავატარე? დღემდე ვერც ერთმა კლუბმა ვერ შემომთავაზა ისეთი პირობები, რომელსაც დავთანხმდებოდი. ყველა უინტერესო აღმოჩნდა. ახლა ისეთ ასაკში ვარ, ცუდ პირობებს ვერ დავთანხმდები. ერთადერთი, დათმობაზე შეიძლება იმ შემთხვევაში წავიდე, თუკი ძალიან კარგ კლუბში მიმიწვევენ.

- ერთ-ერთ ბერძნულ ინტერნეტ-გვერდზე ეწერა, რომ შენით ლიმასოლის აელ-ი დაინტერესდა. ასეთი მოლაპარაკება რეალურად მიმდინარეობდა თუ ჭორია?

- აელ-თან ნაღდად არ მილაპარაკია.

- რეალურად ვინ გიწვევდა?

- კვიპროსის და საბერძნეთის კლუბები. სალონიკის პაოკ-ის წინადადებით დავინტერესდი, მაგრამ საბოლოოდ სასურველი პირობები მათაც ვერ შემომთავაზეს.

- მართალია სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა, მაგრამ როგორც ვიცი, ახალ გუნდში ჩარიცხვის საშუალებას სტატუსი გაძლევს.

- დიახ, თავისუფალი აგენტი ვარ და 31 აგვისტოს შემდეგაც შეუძლია კლუბს განაცხადში შემიყვანოს.

- ანუ ჯერ კიდევ ელოდები საინტერესო წინადადება და იმედი არ გადაგიწურავს.

- რა თქმა უნდა, გუნდებს ველოდები და ვნახოთ, აქედან რა გამოვა. იმედია, რამე გამოჩნდება.

- უფრო კონკრეტულად?

- ჯერ კონკრეტული არაფერია.

- ვიცით, რომ ფორმის შესანარჩუნებლად თბილისის "ლოკომოტივში" ვარჯიშობ და თუნდაც სამი თვე შენი მეგობრის, გიორგი კიკნაძის გუნდს არ დაეხმარები?

- ჯერჯერობით არაფერია გადაწყვეტილი. "ლოკომოტივში" უბრალოდ ვვარჯიშობ.

- თავად "ლოკომოტივისგან" წინადადება არ წამოსულა?

- არავითარი საუბარი არ გვქონია და საერთოდ, აქ დარჩენას არ ვაპირებ. დასამალი რაა, რომ იყოს წინადადება, ვიტყოდი. უბრალოდ, საქართველოში დარჩენა არ მინდა, აქ თამაში ნერვების შლაა.

- უგუნდოდ რომ დარჩე, სულ რაღაც სამი თვით, ფორმის შესანარჩუნებლადაც არ გიღირს აქ თამაში?!

- პირველი ფეხბურთელი ხომ არ ვარ, რომელიც უგუნდოდ დარჩა. რამენაირად სამი თვე გავძლებ, აქ თამაშს კი უგუნდოდ ყოფნა მირჩევნია. სირცხვილია, რა დონის ფეხბურთია. საქართველოში რაც შემეძლო, ვითამაშე და მეტი აღარ მინდა.

- საქართველოს ნაკრებზეც უნდა გკითხო. შენი აზრით, უკრაინასთან კიევში უკეთესად ვითამაშეთ თუ თბილისში?

- ჩემი აზრით კიევში უკეთესად გამოვიყურებოდით, მაგრამ თბილისური შეხვედრის შედეგი უკეთესი იყო.

- სად უფრო გვქონდა მოგების შანსი?

- აქაც და კიევშიც, მაგრამ უფრო მეტი შანსი პირველ შეხვედრაში გვქონდა. 2:1 მიგვყავდა და, ბუნებრივია, ანგარიში უნდა შეგვენარჩუნებინა. მოგება საკმაოდ რეალური იყო, მაგრამ სტანდარტულებიდან ისეთი უაზრო გოლები გავუშვით, არც ერთ ნაკრებს არ ეკადრება.

მერაბ მამულაშვილი

ლევან ცქიტიშვილი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ლოკომოტივს სეზონის შემდეგ შეაკეთებენ

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის იჯარის უფლება ერთი თვის წინათ ტენდერში კომპანია "ლოკომოტივი 36-მა" მოიპოვა. მისი დირექტორის **ირაკლი მაჭავარიანის** თქმით, ჯერ კიდევ არ დასრულებულა ტენდერთან დაკავშირებული პროცესი და ამის გამო დროებით ვერ ხერხდება სტადიონის რეკონსტრუქციის დაწყება:

"ტენდერი მოვიგეთ, მაგრამ ჯერ კიდევ არ დასრულებულა მასთან დაკავშირებული იურიდიული საკითხების მოგვარება. ზაფხულში ხალხი შვებულებაშია და ამიტომაც დაგვიანდა მისი მოგვარება, თორემ ჩვენ რა ვალდებულებაც ავიღეთ, იმას აუცილებლად შევასრულებთ. მოედანს შემოდგომის ბოლოსკენ შევცვლით. სათამაშო პროცესი არ გვსურს დავაზარალოთ. ჩვენ ხელს ისიც გვიწყობს, რომ ამიერიდან თბილისის "დინამო" ეროვნულ სტადიონზე ითამაშებს და აქ მხოლოდ "ლოკომოტივი" დარჩება. მას კი ნოემბერში მხოლოდ ერთი შეხვედრა აქვს ჩასატარებელი. მერე გვრჩება ნოემბრის ნაწილი, მთელი ზამთრის პერიოდი და მოედანს აუცილებლად გამოვცვლით. სტადიონი ტყუილად არ აგვილია, ჩვენ მისი ევროპულ დონეზე შერემონტება გვსურს და ასეც გავაკეთებთ. მოედანთან ერთად, პარალელურად, სხვა სახის სამუშაოებიც ჩატარდება".

მერაბ მამულაშვილი

ჯორჯიამ იოლად იმარჯვა

"ვიტ ჯორჯიამ" სანაკრებო პაუზისას სუსტი მეტოქე შეარჩია და იოლად გაიმარჯვა. **ნესტორ მუმლაძის** ფეხბურთელებმა რეგიონალლიგელ "დუშეთს" შვიდი უპასუხო გოლი გაუტანეს. შეხვედრაში მონაწილეობა ეროვნული გუნდის დებიუტანტმა **დავით ლომაიამაც** მიიღო.

"ვიტ ჯორჯიამ" ამ შემადგენლობით ითამაშა:

მიქაბერიძე, პ. დათუნაიშვილი (46. პირველი), ლომაია (46. კასრაძე), ადამაძე, ბეჭვაია (46. კაიშაური), რაზმაძე (46. მაისაშვილი), გ. დათუნაიშვილი (46. ინჯგია), კლიმიაშვილი (46. ღუჭაშვილი), მელქაძე, სახოკია (46. ნათიძე), გელაშვილი (46. ბერიაშვილი).

ნათიძემ დუბლი შეასრულა, თითო გოლი კი ლომაიას, ბეჭვაიას, გელაშვილის, მაისაშვილისა და მელქაძის ანგარიშზეა. ეროვნული ჩემპიონატის მეხუთე ტურში ვეტერინარები ბოლნისში "სიონს" შეხვდებიან.

ლევან ჯანეზაშვილი

პირველი ლიგა. IV ტური

აღმოსავლეთი

ნ. დინამო/მერანი 2-ჩიხურა	0:1
გაგრა-ამერი 2	2:0
ვიტ ჯორჯია 2-ოლიმპიკი	1:2
მეშაქრე-ოლიმპი 2	1:0
კახეთი-დინამო 2	1:4

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1 დინამო 2	4	2	2	0	8-4	8
2 ჩიხურა	4	2	2	0	5-3	8
3 მეშაქრე	4	2	1	1	11-7	7
4 ამერი 2	4	2	1	1	8-5	7
5 გაგრა	4	2	1	1	7-10	7
6 ოლიმპიკი	4	1	3	0	3-2	6
7 ვიტ ჯორჯია 2	4	1	2	1	4-3	5
8 კახეთი	4	0	2	2	2-7	2
9 ნ. დინ/მერ. 2	4	0	1	3	3-6	1
10 ოლიმპი 2	4	0	1	3	1-5	1

დასავლეთი

კოლხეთი ხ.-უნივერსიტეტი ქ.	1:0
მაღაროელი-სამგრელია	3:0
მეშახტე-მერანი მარტვ.	2:1
ტორპედო-ფაზისი რაჭა	2:1
ზესტაფონი 2-კოლხეთი ფ.	გადაიდო

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1 მაღაროელი	4	3	1	0	9-2	10
2 კოლხეთი ფ.	3	3	0	0	6-1	9
3 მეშახტე	4	3	0	1	8-6	9
4 ზესტაფონი 2	3	2	1	0	7-2	7
5 კოლხეთი ხ.	4	2	0	2	5-6	6
6 ტორპედო	4	1	2	1	6-7	4
7 უნივერსიტეტი	4	1	1	2	3-4	4
8 ფაზისი	4	1	0	3	4-9	3
9 მერანი მ.	4	0	2	2	2-4	2
10 სამგრელია	4	0	0	4	3-11	0

გოგუა დაბრუნდა

გოგიტა გოგუამ მენისკის ტრავმისგან განკურნება მოახერხა. ორი თვის წინათ რუსეთის პრემიერლიგის ერთ-ერთ ტურში დაშავებული ქართველი ნახევარმცველი გუშინ მოედანზე გამოჩნდა და საკონტროლო შეხვედრაც ჩაატარა.

რამენსკოეს "სატურნმა" სანაკრებო პაუზა საკონტროლო შეხვედრებით შეავსო. საკუთარ ბაზაზე პრემიერლიგის ერთ-ერთ ლიდერ "მოსკვას" უმასპინძლა და ჯერ კიდევ პირველ ტაიმში დააფიქსირა საბოლოო შედეგი - 4:1.

საქართველოს ნაკრების წევრი მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა და **ნემოვი** შეცვალა. მართალია, ამის შემდეგ რამენსკოელებს გოლი აღარ გაუტანიათ, მაგრამ გოგუა აქტიურობდა.

ეს უდავოდ სასიხარულო ფაქტია, რადგან საქართველოს ნაკრებს კიდევ ერთი ფეხბურთელის იმედი უნდა ჰქონდეს 13 ოქტომბერს იტალიაში გასამართი შეხვედრისთვის.

ნაკრებში მიუწვეველმა **დავით მუჯირმა** კი სამარის "კრილია სოვეტოვს" პერმში "ამკართან" მოაგებინა. სამარელებმა ქართველი კაპიტნის მიერ 30-ე წუთზე გატანილი ერთადერთი ბურთით მოიგეს 1:0.

მერაბ მამულაშვილი

ამხანაგური მატჩი

მეცნიერებამ ოლიმპი დაიპყრო

სიონი-ოლიმპი 2:1

0:1 ა. მესხი (15. მასუანგას პასით), 1:1 ჩასემი (51. ბაჯელიძის პასით), 2:1 კვიტაიშვილი (57. გაგუას პასით)

სიონი: **გ. იაშვილი (46. სტურუა), ქურასბედიანი (71. მენთესაშვილი), ბოიომო, სვანიძე, ოქროპირიძე, ქუცურუა (65. კოსტავა), ნადირაძე, ბაჯელიძე, კვიტაიშვილი, გაგუა (75. ა. ნოზაძე), ჩასემი (66. ქუთათელაძე).**

ოლიმპი: **ალავიძე, სილაგაძე, ორბელაძე, მახვილაძე, კოშკაძე, მგელაძე, ქებაძე, მასუანგა, ჟივკოვიჩი, რ. ჯიქია, მესხი.**

არბიტრი: **დ. სანაია**

სანაკრებო მატჩების გამო ეროვნულ ჩემპიონატში პაუზაა და გუნდებიც ამ დროს შესათამაშებლად, სხვადასხვა ტაქტიკური სქემისა და კომბინაციის დასახვეწად, თუ თამაშის ხარისხის ასამაღლებლად იყენებენ. ამ სიამოვნებაზე "სიონმა" და "ოლიმპმაც" არ თქვეს უარი და თბილისში, "სინათლის" სტადიონზე" ამხანაგური მატჩი გამართეს. ბოლნისელთა კლუბის პრესატაშე **ჯემალ ჭიპაშვილის** მტკიცებით, **გიორგი ყიფშიძის** გუნდმა **ანატოლი პისკოვეცის** კრებულს, არათუ ტოლი არ დაუდო, არამედ მთელ რიგ მომენტებში დაჯაბნა კიდეც. მართალია, "ოლიმპს" ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელები და ტრავმირებული **დავით ჭიჭვეიშვილი** აკლდა, მაგრამ დანაკლისი ბოლნისელებსაც ჰქონდათ. ყიფშიძემ ტრავმირებული **ვაშაკიძე, სანიკიძე** და **ევოჩე** მოისაკლისა.

ჭიპაშვილის მტკიცებით, მატჩი, "სიონის" უპირატესობით წარიმართა და ეს თამაშის საბოლოო ანგარიშში აისახა.

ჭიპაშვილის, ცნობით, ანატოლი პისკოვეცს მატჩის შემდეგ უთქვამს, რომ "სიონი" მისთვის აღმოჩენაა. ბუნებრივია, დავინტერესდით, თუ რა შეცვალა ასეთი გუნდში ბოლნისელთა ძველმაახალმა მწვრთნელმა გიორგი ყიფშიძემ.

"გიორგი ყიფშიძემ ფეხბურთელების ფიზიკურ მომზადებაზე გააკეთა აქცენტი და ამ მხრივ შედეგი უკვე სახეზეა. ამას გარდა, ყიფშიძემ მეცნიერულად დაალაგა გუნდი. მწვრთნელმა ფეხბურთელები პოზიციებზე ისე განალაგა და ისეთი ფუნქციები ჩამოურიგა, რომ ახლა მოთამაშეები უფრო პროდუქტიულები არიან", - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ჯემალ ჭიპაშვილმა.

დავით ცაბაძე

მჟავანაძე პირველ ლიგაში გაანათხოვრეს

საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველის **კახა მჟავანაძის** კარიერა ბოლო დროს ვერაფრით აეწყო. ერთ დროს მოსკოვის "სპარტაკში" ნათამაშებმა მჟავანაძემ რუსული პირველი დივიზიონის სეზონი მახაჭყალის "ანჟისთან" ერთად დაიწყო. მჟავანაძე **ომარ თეთრაძესთან** განათხოვრების წესით თამაშობდა. ოდესის "ჩერნომორეცმა", რომელსაც ეკუთვნოდა ქართველი ფეხბურთელი, შემდეგ მოულოდნელად კახა უკრაინაში დააბრუნა, თუმცა ის მხოლოდ დუბლებში თამაშობდა.

"ჩერნომორეცის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ქართველი მცველის ხელახლა განათხოვრება, ამჯერად უკრაინის პირველი ლიგის ოვიდიოპოლის "დნისტერში". წლის ბოლომდე მჟავანაძე და "ჩერნომორეცის" ფეხბურთელი **რუსლან გილაზევი** ამ კლუბში ითამაშებენ. ოვიდიოპოლი ოდესის ოლქის პატარა ქალაქია, "დნისტერი" რვა ტურის მერე რვა ქულით პირველ ლიგაში მე-16 ადგილზეა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

გუშინ პროფესიული ლიგის საშეჯიბრო სამსახურმა საქართველოს თასის ჯგუფური ეტაპის კალენდარი დაამტკიცა

I ჯგუფი

I ტური
18 სექტემბერი
ამერი-ტორპედო
მესხეთი-სპარტაკი

II ტური
2 ოქტომბერი
ამერი-მესხეთი
3 ოქტომბერი
ტორპედო-სპარტაკი

III ტური
23 ოქტომბერი
სპარტაკი-ამერი
24 ოქტომბერი
მესხეთი-ტორპედო

IV ტური
1 ნოემბერი
ტორპედო-ამერი
სპარტაკი-მესხეთი

V ტური
5 ნოემბერი
მესხეთი-ამერი
სპარტაკი-ტორპედო

VI ტური
27 ნოემბერი
ამერი-სპარტაკი
ტორპედო-მესხეთი

II ჯგუფი

I ტური
18 სექტემბერი
ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი
26 სექტემბერი
დინამო-მაღაროელი

II ტური
2 ოქტომბერი
დინამო-ვიტ ჯორჯია
3 ოქტომბერი
მაღაროელი-ლოკომოტივი

III ტური
24 ოქტომბერი
ლოკომოტივი-დინამო
ვიტ ჯორჯია-მაღაროელი

IV ტური
1 ნოემბერი
მაღაროელი-დინამო
ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია

V ტური
5 ნოემბერი
ვიტ ჯორჯია-დინამო
ლოკომოტივი-მაღაროელი

VI ტური
27 ნოემბერი
დინამო-ლოკომოტივი
მაღაროელი-ვიტ ჯორჯია

III ჯგუფი

I ტური
18 სექტემბერი
ოლიმპი-მერანი
გორჯომი-გათუმი

II ტური
2 ოქტომბერი
ოლიმპი-გორჯომი
მერანი-გათუმი

III ტური
24 ოქტომბერი
გათუმი-ოლიმპი
გორჯომი-მერანი

IV ტური
1 ნოემბერი
მერანი-ოლიმპი
გათუმი-გორჯომი

V ტური
5 ნოემბერი
გორჯომი-ოლიმპი
გათუმი-მერანი

VI ტური
27 ნოემბერი
ოლიმპი-გათუმი
მერანი-გორჯომი

IV ჯგუფი

I ტური
18 სექტემბერი
ზესტაფონი-კახეთი
მგლეგი-დილა

II ტური
2 ოქტომბერი
ზესტაფონი-მგლეგი
კახეთი-დილა

III ტური
24 ოქტომბერი
დილა-ზესტაფონი
მგლეგი-კახეთი

IV ტური
31 ოქტომბერი
დილა-მგლეგი
1 ნოემბერი
კახეთი-ზესტაფონი

V ტური
4 ნოემბერი
დილა-კახეთი
5 ნოემბერი
მგლეგი-ზესტაფონი

VI ტური
27 ნოემბერი
ზესტაფონი-დილა
კახეთი-მგლეგი

ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება ფეხბურთელებისთვის

არგენტინაში

ვიწვევთ 17-18 წლის პერსპექტიულ ფეხბურთელებს მოსამზადებლად არგენტინაში. მომზადების ვადაა 6 თვიდან ერთ წლამდე. მომზადების პერიოდში ფეხბურთელები ითამაშებენ ამხანაგურ მატჩებს არგენტინის საფეხბურთო კლუბებთან. მომზადების შემდეგ ფეხბურთელები გააფორმებენ ხელშეკრულებას ერთიდან ორ წლამდე და ჩაატარებენ ოფიციალურ შეხვედრებს არგენტინის საფეხბურთო კლუბებში. ფეხბურთელებს მოამზადებს ედუარდო დელგადო. ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების, გზის (ავიაბილეთები), ადგილზე ცხოვრების (კვების, ბინის) და სავიზო ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა მიერ.

მსურველთა მიღება და მათთან გასაუბრება იწარმოებს მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. N4 (თავისუფლების მოედანთან). მხოლოდ წინასწარ ჩაწერით, საქართველოში არგენტინის წარმომადგენელთან, ტელეფონზე: 899-23-55-20. მსურველები არგენტინაში გაემგზავრებიან 30 დღის ვადაში.

სურათზე: დიეგო მარადონა და ედუარდო დელგადო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთი. ინტერვიუ რაიმონ დომენეკთან

მომეჩვენა, რომ ფრე იტალიასაც აწყობდა

დომენეკისთვის შოტლანდიასთან მატჩი უფრო მნიშვნელოვანია

შაბათს რაიმონ დომენეკმა განსაკუთრებული საღამო გადაიტანა. მან ტრიბუნიდან ადევნა თვალი იტალია-საფრანგეთის პრინციპულ დაპირისპირებას. მაგრამ ეს გვერდი უკვე გადაშლილია. ახლა შოტლანდიაა, ოთხშაბათს. საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი აცხადებს, რომ მომავალი დაპირისპირება მისთვის და მისი გუნდისთვის -გაცილებით მნიშვნელოვანია. შესაძლოა, მისი სიტყვები კიდევ ერთი მცდელობა იყოს იტალიელთა გასაღიზიანებლად, ყოველ შემთხვევაში, გამორიცხული არაფერია. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ინტერნეტგამოცემა "ფუტბოლ365-ში" გამოქვეყნდა...

- მუსიე დომენეკ, რა ანალიზს გაუკეთებდით იტალიასთან განვლილ მატჩს?

- მე სულაც არ ვფიქრობდი, რომ ეს იქნებოდა გადამწყვეტი დაპირისპირება. შეიძლება, იტალიელებისთვის იყო ასე, თორემ ჩვენთვის არა. ოთხშაბათს შოტლანდიასთან რომ არ გვქონოდა თამაში, "ჯუზეპე მეაცაზე" აღებული ქულა, საბოლოო ჯამში, ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა. ჩემი აზრით, შოტლანდიასთან გაცილებით მნიშვნელოვანი თამაში გველის. არ გაგიკვირდეთ, რასაც ახლა გეტყვით: სკოტებთან წაგებას გაცილებით სერიოზული შედეგები შეიძლება მოჰყვეს, ვიდრე იტალიასთან მარცხს შეეძლო მოეტანა. ახლა, გამარჯვება მართლაც მნიშვნელოვანია, რადგან ხომ არ დაგავიწყდათ, რომ გლაზგოში წავაგეთ...

- როგორ გრძნობდით თავს დასჯილი მწვრთნელის როლში?

- სიმართლე გითხრათ, უკეთესად, ვიდრე სათადარიგოთა სკამზე. ტრიბუნიდან დანახული ფეხბურთი გაცილებით აღქმადია და სიტუაციას მაშინვე სწორად აანალიზებ. მაგრამ ეს მხოლოდ გულშემატკივრისთვისაა ასე. ამიტომ, ჩავთვალოთ, რომ იმ დღეს ერთი ჩვეულებრივი ქომაგი ვიყავი და მადლობას გადავუხდი იმ ხალხს, ვინც დისკვალიფიკაცია მომისაჯა. მაგრამ მწვრთნელისთვის ამას ერთი დიდი მინუსი აქვს: გუნდთან ურთიერთობა გეკრძალება...

- და შესვენების დროს გუნდთან ურთიერთობის საშუალება რომ გქონოდათ, რას ეტყოდით ფეხბურთელებს?

- არაფერს ახალს, იმის გარდა, რაც მატჩის წინ ვუთხარი. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს 0:0-ზე იტალიელებიც არ იყვნენ წინააღმდეგნი, ჩვენ ხომ მით უმეტეს. ასე რომ, კორექტივები საჭირო არ იყო.

- როგორ? ნუთუ მართლა არაფრის შეცვლა არ გსურდათ? მაგალითად, ის, რომ საფრანგეთის ნაკრებს უფრო აქტიურად ეთამაშა შეტევაში...

- უკვე გითხარით: არავითარ შემთხვევაში! ყველაფერი კარგად იყო, თამაში ჩვენი სცენარით მიდიოდა და ამიხსენით, რა აზრი ჰქონდა ასეთ დროს ტაქტიკურ ცვლილებებს?

- გაგაკვირვათ იტალიის ნაკრების ტაქტიკამ?

- ეს მათი პრობლემაა. მე მგონი, ისინი ფრეზე თამაშობდნენ... მაგრამ ეს ჩემი განსასჯელი არ არის.

- არც იმას განსჯით, რაც თამაშის დაწყებამდე მოხდა? "მარსელიეზას" რომ უსტვინეს...

- ვამჯობინებ, ვთქვა იმაზე, რაც მოხდა "სტად დე ფრანსზე", ერთი წლის წინ, როცა მსოფლიო ჩემპიონებს საკადრისი პატივი მივაგეთ. გახსოვთ? სტადიონი ტაშითა და ფეხზე ადგომით შეხვდა იტალიის ნაკრებს...

- რას იტყვით, კარგად გაუძღვა გუნდს თქვენი თანაშემწე პიერ მანკოვსკი? ერთადერთი შეცვლა ცოტა უცნაური იყო...

- არა, პიერმა ყველაფერი კარგად გააკეთა. იცით, არც მე მიყვარს ფეხბურთელის შეცვლა მხოლოდ შეცვლისთვის, თუკი ეს აუცილებლობით არაა განპირობებული. მირჩევნია, ფეხბურთელი დაიღალოს და დარჩეს თამაშის რიტმში, ვიდრე შემოიყვანო ახალი მოთამაშე, რომელსაც სქემაში ჩაჯდომა გაუჭირდება.

- მარჯვენა მცველად ლასანა დიარას დაყენება მოულოდნელი იყო...

- თუ გახსოვთ, ლიტვასთან მან უკვე ითამაშა ამ პოზიციაზე. ეს არის ფეხბურთელი, რომელიც ნებისმიერ გადაადგილებას ოილად ეგუება. დიარათი ძალიან კმაყოფილი ვარ, ისევე, როგორც ყველა დანარჩენით. ცხადია, მოგება გვერჩივნა, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: მთავარია ბრძოლა და გამარჯვება შოტლანდიასთან.

- ...მაგრამ ტიერი ანრის თამაშით რამდენად ხართ კმაყოფილი?

- ტიერის კარგად გამოუვიდა ნახევარდაცვისა და თავდასხმის შეკავშირება. რა თქმა უნდა, ეს არ იყო მისი საუკეთესო მატჩი, მაგრამ რაც გააკეთა, გუნდისთვის აუცილებელი იყო.

- ანრი შოტლანდიასთან არ იქნება...

- დიახ, მას დისკვალიფიკაცია აქვს და ეს სერიოზული დანაკლისია ჩვენთვის. მაგრამ იმიტომაც გვყავს გუნდში 30 ფეხბურთელი, რომ თითოეულმა მათგანმა ნებისმიერ მომენტში აიღოს საკუთარ თავზე გარკვეული პასუხისმგებლობა. ერთი სიტყვით, ანრის შემცვლელსაც მოვნახავთ, საამისო რესურსი საკმარისად გვაქვს.

- და მაინც, რა მოგონებები დაგრჩათ მილანური მატჩისგან?

- მთავარი ის იყო, რომ სკამზე ვიჯექი და ამით მართლა კმაყოფილი დავრჩი (იცინის). ისე კი, ნელანაც გითხარით, რომ ზემოდან ყველაფერი სხვანაირად ჩანს. იქ ნაკლებია ადამიანური მხარე, ასე ვიტყოდი, უფრო გეომეტრიული ასპექტებია. მეცოდებით ჟურნალისტები, რადგან არ იცით, რას განიცდის ადამიანი, როცა სათადარიგოთა სკამზე ზის. ზემოდან თითქოს ყველაფერი უფრო მარტივადაა. როცა საფეხბურთო ბატალიებისგან რამდენიმე მეტრი გაშორებს, ყოველ წუთს მზად ხარ, მოედანზე შეიჭრა...

რაიმონ დომენეკი იტალიასთან მატჩის დროს

- რა შეიცვალა იტალიასთან მატჩის შემდეგ საფრანგეთის ნაკრებისთვის?

- არაფერი. იტალიასთან ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა ჩვენს მხარეზეა. ახლა, შოტლანდიას იმ ანგარიშით უნდა მოვუგოთ, რომ მათთანც გვქონდეს ეს უპირატესობა. ამაშია საქმე და ამიტომაც ვთვლი, რომ ოთხშაბათს გაცილებით მნიშვნელოვანი თამაში გვაქვს.

- დააკონკრეტეთ, რატომ ამახვილებთ ყურადღებას მაინცდამაინც შოტლანდიასთან მატჩზე?

- იმიტომ, რომ შოტლანდიამ უკვე ითამაშა უკრაინასა და იტალიაში. გესმით, რას ვამბობ? ახლა იმ ფაზაში ვართ, როცა თითოეულმა მატჩმა, შეიძლება, ევრო 2008-ის საგზური მოგიტანოს ან გაგირთულოს სიტუაცია, ან სულაც სახლში დაგტოვოს. რაც უფრო ადრე გადავჭრით პრობლემას, მით უკეთესი.

- შოტლანდიასთან მატჩს "პარკ დე პრენსი" უმასპინძლებს. საფრანგეთი ძველ არენაზე ბრუნდება...

- გენიალურია, მაგრამ უფრო კარგი იქნებოდა, სამი დღით ადრე იქ სარაგბო თამაში რომ არ ყოფილიყო. ეს არ არის ნორმალური მოვლენა. მორაგბეებს იდეალური გაზონი არ სჭირდებათ, მათ არ აქვთ ამაზე პრეტენზია, ფეხბურთი კი სულ სხვაა: თუ მოედანს რაღაც ნაკლი აქვს, ეს ავტომატურად მოქმედებს თამაშის ხარისხზე. განა ამას ახსნა სჭირდება? ძალიან მაღიზიანებს ეს ყველაფერი. შეიძლება, იძულებულნი გავხდეთ, რომ ტაქტიკა შევცვალოთ და აქცენტი "მეორე სართულზე" გადავიტანოთ. მაგრამ შოტლანდიასთან მაღალ ბურთებზე თამაში? გმადლობთ, არ გვინდა...

- რა მოგონებები გაქვთ "პარკ დე პრენსთან" დაკავშირებით?

- არაფერი განსაკუთრებული. მხოლოდ 1993 წლის ოქტომბერი მაგონდება, ბულგარეთთან რომ წავაგეთ. ანუ, ჩვენ ვიცით, რომ მსგავსი რამ აღარ უნდა განმეორდეს.



რონალდო ჩემპიონთა ლიგის სტარტსაც გამოტოვებს

ტრავმა

რონალდოს ერთი თვე

მილანის ექიმმა შეცდომა აღიარა

რონალდო მინიმუმ ერთ თვეს ვერ ითამაშებს. ასეთი განცხადება გააკეთა "მილანის" სამედიცინო შტაბის თავკაცმა **ჟან-პიერ მეერსმანმა**. ამავე დროს, მანვე აღიარა, რომ მკურნალობის პირველ ეტაპზე შეცდომა დაუშვა:

"ჩვენი დიაგნოზი თავიდანვე არასწორი იყო და ეს დასამალი არ არის. ჩვენ ვიღებთ ამაზე პასუხისმგებლობას. მომავალი კვირის დასაწყისიდან, მკურნალობის პროცესთან დაკავშირებით უფრო მეტი გვეცოდინება, დღეს კი მიახლოებით შემიძლია გითხრათ, რომ რონალდოს კიდევ ერთი თვე მოუწევს დასვენება".

ხუთშაბათს "კიჭა" ბრაზილიაში გაემგზავრა, სადაც ის ეროვნული ნაკრების ექიმმა **ჟოზე ლუიშ რუნკომ** გასინჯა. სწორედ ეს კაცი იყო პირველი, ვინც "მილანის" საექიმო შტაბი არაკომპეტენტურობაში ამხილა: *"რონალდოს არასწორად მკურნალობდნენ"* - თქვა მან ბრაზილიურ გამოცემა "გლობოსთან" ინტერვიუში.

ამჯერად, რონალდო ანტვერპენშია და მორიგ გამოკვლევას გადის. "მილანის" ექიმის თქმით, "ფენომენი" იტალიაში ოთხშაბათს დაბრუნდება და მისი მეთვალყურეობის ქვეშ იმკურნალებს. კიდევ ერთთვიანი დასვენება კი იმას ნიშნავს, რომ რონალდოს "ბენფიკასთან" ჩემპიონთა ლიგის სასტარტო მატჩი გაუცდება. სავარაუდოდ, ის ვერ ითამაშებს "სელტიკთან" 3 ოქტომბერს გასამართ შეხვედრაშიც.

იტალია. საფრანგეთის შემდეგ და უკრაინამდე

შევჩენკო იტალიას აფრთხილებს...

დონადონიმ დელ პიერო კრიტიკისგან დაიცვა

ანდრეი შევჩენკომ მკაცრად გააფრთხილა იტალიელები, რომ უკრაინასთან ოთხშაბათის მატჩი მათთვის მეტად მძიმე იქნება. პრინციპში, "სკუადრა აძურამ" ეს ისედაც კარგად იცის, მაგრამ შევას სიტყვებს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. გავბედავთ და ვიტყვით, რომ კალჩოზე მას გაცილებით მდიდარი წარმოდგენა აქვს, ვიდრე უკრაინელთა მწვრთნელ **ოლეგ ბლოხინს**. ამიტომ, შევჩენკოს გაფრთხილებას იქ ცოტა სხვაგვარად აღიქვამენ. ვფიქრობთ, ეს ერთგვარი ფსიქოლოგიური შეტევაა, რაც ფრანგებმა უკვე გამოიყენეს და საკმაო წარმატებითაც. მატჩის წინ ამტყდარმა აფიოტაჟმა "აძური" აშკარად დათრგუნა და ეს ფეხბურთელებმაც აღიარეს. ამიტომაც მიმართავს ნაცად ხერხს უკრაინა, რომელსაც მხოლოდ გამარჯვება სჭირდება, ისევე, როგორც იტალიის ნაკრებს. **რობერტო დონადონიმ** განაცხადა, რომ ერთადერთი შედეგი, რომელიც დაკმაყოფილებს, სამი ქულა იქნება.

"ჩელსისგან" მოძულებული შევჩენკო კი შვებას სანაკრებო წარმატებაში ეძებს. აი, რა უთხრა მან "გაძეტა დელო სპორტს": *"შემიძლია მოგცეთ გარანტია, რომ ფიზიკურადაც და მენტალურადაც უკრაინის ნაკრები მზად იქნება იტალიელთა დასამარცხებლად. ჩვენი მოტივაცია ახლა არნახულად დიდია. საქართველოში ორი ქულა დავტოვეთ და შესაბამისად, პოზიციებიც დავთმეთ. ახლა, ეს დანაკარგი უნდა ავინაზღაუროთ. გამარჯვება ერთადერთი გამოსავალია, რაც გადაგვარჩენს, და რაც გადაარჩენს ჩვენს რეპუტაციას. მოსაგებად, ძალების 100 პროცენტის დახარჯვა არ გვეყოფა, ამაზე ორჯერ მეტი იქნება საჭირო. მაგრამ ჩვენ მებრძოლი გუნდი გვყავს და ეს არის ის უპირატესობა, რაც ამ ეტაპზე გაგვაჩნია".*

შევჩენკოსა და მის თანაგუნდელებს მხოლოდ გამარჯვება აწყობთ

დონადონის თქმით, საბრძოლო განწყობაა იტალიის ნაკრებში. პრესა კი დროს არ კარგავს და მწვრთნელს გარკვეულ მითითებებს აძლევს. კრიტიკის ობიექტად იქცა **ალესანდრო დელ პიერო**, რომელიც, მედიის აზრით, მწვრთნელმა სასტარტო შემადგენლობიდან უნდა ამოაგდოს. ალექსის წინააღმდეგ დაირაზმნენ "აძურის" ფანებიც, დონადონი კი შეგირდის დაცვას ცდილობს, თუმც ეთანხმება მოსაზრებას, რომ დელ პიერო მართლაც არ არის საუკეთესო ფორმაში.

"მან გააკეთა ყველაფერი, რაც ამ ეტაპზე შეეძლო, - აცხადებს მწვრთნელი "გაძეტასთან" კომენტარში, - კარგად მესმის, რომ მისგან ყოველთვის მეტს ითხოვენ. ხალხს ჰგონია, რომ ადვილია, დრიბლინგით აუარო გვერდი ორ-სამ მეტოქეს და გაიტანო. მაგრამ საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ ამის გაკეთება ძალიან ძნელია. ჩვენ უნდა შევავფასოთ ოპონენტის სიძლიერე და ამა თუ იმ ფეხბურთელზე ამის მიხედვით ვიმსჯელოთ. არც ის დაგვავიწყდეს, რომ სეზონი ეს-ესაა დაიწყო და ფეხბურთელები საუკეთესო ფორმაში არ არიან".

ტრავმირებული **ლუკა ტონის** ნაცვლად, დონადონიმ ნაკრებში დელ პიეროს თანაკლუბელი **ვინჩენცო იაკუინტა** მიიწვია. პრესა ვარაუდობს, რომ სნორედ იაკუინტა შეცვლის ალექსს უკრაინასთან შეხვედრაში.

"უკვე წავიკითხე გაზეთებში, თითქოს დელ პიეროს სასტარტოში ადგილს ვეცილები. სისულელეა ეს და ამაზე კომენტარს არ გავაკეთებ. თუ ვინ ითამაშებს ძირითად შემადგენლობაში, ამას მწვრთნელი გადაწყვეტს და არა რომელიმე ფეხბურთელი. სხვათა შორის, "იუვენტუსშიც" მსგავსი სიტუაციაა და ამგვარი სპეკულაციები ძალიან მაღიზიანებს. ჩვენ შეკრული გუნდი გვყავს, ყველა ერთ საქმეს ვაკეთებთ".

უკრაინასთან მატჩისთვის დონადონის ერთ-ერთი კოზირი შეიძლება იყოს **კრისტიანო ლუკარელი**, რომელიც "შახტარში" თამაშობს და, შესაბამისად, მეტოქეს კარგად იცნობს. სავარაუდოდ, ლუკარელი უკრაინასთან დაპირისპირებასაც სკამზე შეხვდება: *"დონადონიმ მთხოვა, უკრაინელებზე ინფორმაცია მიმეცა. მეტოქე გუნდში "შახტარის" შვიდი ფეხბურთელი თამაშობს. და ვიცი რა მათი რეალური ძალა, შემიძლია ვთქვა, რომ ოთხშაბათს კარგად მომზადებული და მოტივირებული გუნდი დაგვიპირისპირდება".*

მოსალოდნელი ტრანსფერი

რას აპირებს ბალაკი?

გუნდესკაპიტანი გამოჯანმრთელებას ელოდება, შემდეგ კი იუვე, ინტერი, რეალი ან ისევ ჩელსი...

მიხაელ ბალაკი იმედგაცრუებულია. "ჩელსიმ" ის ჩემპიონთა ლიგის განაცხადში არ შეიყვანა. გერმანიის ნაკრების კაპიტანი კოჭის ტრავმას იშუშებს. ლონდონურმა კლუბმა საკუთარი გადაწყვეტილება ფეხბურთელის ჯანმრთელობის მდგომარეობით ახსნა. გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვებგვერდზე ბალაკის ინტერვიუ გამოქვეყნდა. ბუნდესნაკრების კაპიტანი ამბობს, რომ მომხდარის გამო გული სწყდება, მაგრამ იძულებულია, ვითარებას შეეგუოს. მისი უმთავრესი ამოცანაა სწრაფად გამოჯანმრთელება და მინდორზე დაბრუნება. სამომავლო გეგმებზე ის მხოლოდ ამის შემდეგ იფიქრებს. კითხვაზე, როდის აპირებს თამაშის განახლებას, ბალაკი პასუხობს: *"კონკრეტულ თარიღს ვერ დაგისახელებთ. უკეთესად ვარ, მაგრამ ისე არა, რომ მინდორზე გასვლა, ან გუნდთან ერთად ვარჯიში შევძლო. პროგნოზისაგან თავს შევიკავებ."*

გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** იმედი გამოთქვა, რომ მიხაელი დაახლოებით ერთ თვეში, ოქტომბრის შესარჩევი მატჩებისათვის ითამაშებს. "ჩელსის" ხელმძღვანელობა მის დაბრუნებას მხოლოდ ნოემბრის მიწურულს ვარაუდობს. ინგლისური ტაბლოიდები კი ბალაკის აბარგებას წინასწარმეტყველებენ. გავრცელდა ინფორმაცია მიხაელით "იუვენტუსის" დაინტერესების შესახებ. გასულ უქმეებზე დაინტერესებული კლუბების სიას "რეალიც" მიამატეს. პოპულარული ტაბლოიდი "ფიფლი" იუწყება, რომ მიხაელს "რეალთან" კონტრაქტის პირობებიც კი შეთანხმებული აქვს - იანვრის ტრანსფერებისას მადრიდში გადასვლის შემთხვევაში, მას კვირაში 135 ათას გირვანქას (200 ათასი ევრო) გადაუხდიანო. მოსალოდნელ გვარიგებაზე საუბრობს "გარდიანიც", მაგრამ ის ტრანსფერს მხოლოდ გაისად ზაფხულში ვარაუდობს. იქამდე კი ბალაკს კიდევ ერთი შანსი მიეცემა, რათა "ჩელსის" ხელმძღვანელობა საკუთარ შესაძლებლობებში დაარწმუნოსო.

ბალაკი და მოურინიო

იტალიური სააგენტოების ცნობით, გერმანელის ტრანსფერზე, შეიძლება, "ინტერმაც" იფიქროს. "ნერაძურის" "ჩელსისთან" წინებული ურთიერთობა აკავშირებს. თანაც მას ჰყავს ერთი ფეხბურთელი, რომელიც ლონდონელებს აუცილებლად დააინტერესებს. იგულისხმება ბრაზილიელი თავდამსხმელი **ადრიანო**. ბალაკი და ადრიანო დაახლოებით ერთი ფასი ღირს. "კალჩომერკატოს" აზრით, გარიგების ალბათობა საკმაოდ დიდია. "კორიერე დელო სპორტი" ვარაუდობს, რომ ლონდონელები ადრიანოზე უარს იტყვიან. ასეთ შემთხვევაში, "ინტერი" "ჩელსის" 12 მილიონ ევროს შესთავაზებს. შეგახსენებთ, ერთი წლის წინ ბალაკი ლონდონში უკომპენსაციოდ გადავიდა. ასე რომ, ფინანსური თვალსაზრისით, მომგებიანი წინადადებაა. არბა გამორიცხულია, ბალაკი "ინტერში" იანვარში, ნახევარწლიანი იჯარით გადავიდეს. იჯარის შემთხვევაში, ფეხბურთელის ხელფასის ნაწილს "ჩელსი" აანაზღაურებს, ისე, როგორც თავის დროზე **ერნან კრესპოსა** და **ხუან სებასტიან ვერონის** შემთხვევაში აკეთებდა. შესაძლო გარიგებების თაობაზე ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა. ლონდონელებმა ბალაკის გაყიდვის სურვილი ჯერ კიდევ გასული კვირის მიწურულს კატეგორიულად უარყვეს.

ვესლი სნეიდერი (მარცხნივ)

"რეალის" ახალი ლიდერი, ახალი დევიდ ბექჰემი... რა ეპითეტებით აღარ შეამკეს ჰოლანდიელი ვესლი სნეიდერი ესპანეთის ჩემპიონატის პირველი ორი ტურის შემდეგ. სამეფო კლუბის ახალწვეულმა ორ მატჩში სამი გოლის გატანა შეძლო, რამაც AS-ის ჟურნალისტს ახალგაზრდა ჰოლანდიელთან გასაუბრების საბაბი მისცა.
ამჟამად, სნეიდერი ჰოლანდიის ნაკრებში იმყოფება. ეს ნახევარმცველი რომ კარგ ფორმაში შეხვდა ახალ სეზონს, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ბულგარეთთან მოგებულ მატჩში (2:0), ერთი ბურთი მადრიდელის ანგარიშზეა.

- სულ რაღაც ორი კვირის განმავლობაში, უესლი სნეიდერი მთელი მადრიდის გმირი გახდა. გაუმარჯოს პატარა ჰოლანდიელს!

- (იცინის). სულ ორი მატჩი ჩავატარეთ, ორივე მოვიგეთ და ყველაფერი ძალიან კარგად მიდის. დღეს ხალხი ჩვენი ფეხბურთით სიამოვნებას იღებს, მაგრამ სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ და მუშაობა გავაგრძელოთ, ვინაიდან ჯერ მხოლოდ გზის დასაწყისში ვართ.

- ამჟამინდელი "რეალი" ძალიან კარგ ფეხბურთს აჩვენებს...

- მართლაც, ორი შესანიშნავი მატჩი ვითამაშეთ. ვიცით, მწვრთნელი რას ითხოვს ჩვენგან და ეფექტურ ფეხბურთს ვაჩვენებთ, რომელიც ჩვენც სიამოვნებას გვანიჭებს.

- ესპანეთში ყველანი თქვენი და გუტის შესანიშნავ ურთიერთშეთამაშებაზე წერს...

- ჩვენ ძალიან კარგად გავითამაშეთ კომბინაცია "ატლეტიკოსთან" მატჩში: მან პასი მომცა, რის შემდეგაც გოლის გატანა შევძელი. მის გვერდით თამაში დიდი სიამოვნებაა. გუტი ფენომენალური მოთამაშეა, რომელიც კარგად ხედავს მინდორს.

- კარგი ფეხბურთელები სწრაფად პოულობენ საერთო ენას...

- მართლაც კარგად გვესმის ერთმანეთის. გუტი მარტივი და გასაგები სტილით თამაშობს.

- "რეალი" კი, ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერია...

- ეს მხოლოდ და მხოლოდ სეზონის დასაწყისია, მაგრამ ლიდერობა მაინც სასიამოვნოა, რადგან ეს დამატებით ძალებს გვატებს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, ლიდერობა დისტანციის ბოლომდე შეინარჩუნო.

- ჯერ კიდევ აგვისტოში, ბევრს ეჭვი ეპარებოდა შუსტერის პროფესიონალიზმში, მაგრამ ახლა სკეპტიკოსებს თავიანთი სიტყვები უკან მიაქვთ, რადგან გერმანელმა რადიკალურად შეცვალა გუნდი.

- ის ფანტასტიკური მწვრთნელია. ფეხბურთელებს იოლად გვესმის, თუ რას ითხოვს ჩვენგან. შუსტერი მუდმივად ფეხბურთზე გვალეპარაკება. მას მოსწონს, როცა ჩვენ ვუტევთ და ამისგან დიდ სიამოვნებას იღებს.

- იქნებ აგვიხსნათ, როგორ შეძელით "ვილიარეალის" კარში ხუთი გოლის გატანა?

- "ვილიარეალი" კარგი გუნდია და შეხვედრის დასაწყისში ძალიანაც გვანერვიულა. საბედნიეროდ, პირველ ტაიმში გოლის გატანა მოვახერხეთ, ხოლო მეორეში, უკვე ყველაფერს ჩვენ ვაკონტროლებდით, რამაც საბოლოოდ, ხუთი გატანილ გოლამდე მიგვიყვანა. ეს მატჩი სეზონის ბოლომდე არ უნდა დავივიწყოთ და ვეცადოთ ყოველთვის ისეთი ფეხბურთი ვითამაშოთ, როგორც ეს "ელ მადრიგალზე" გავაკეთეთ.

- ორი მატჩში სამი გოლი გაიტანეთ. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ხართ.

- (იცინის). ბოძებული შანსი კარგად გამოვიყენე. კარგია ორი მატჩში სამი გოლის გატანა, მაგრამ უფრო მეტის მიღწევაზე უნდა ვიზრუნო.

- ახლა იმასაც ამბობენ, რომ "რეალში" ახალი დევიდ ბექჰემი გამოჩნდა.

- არ მიყვარს საკუთარი თავის სხვა ფეხბურთელებთან შედარება. ბექჰემს თავისი ინდივიდუალური მახასიათებლები გააჩნია, მე - ჩემი. ჩვენ განსხვავებული მოთამაშეები ვართ.

- ეთანხმებით, რომ დღეს მადრიდის "რეალი" ესპანეთის საუკეთესო გუნდია?

- ჯერ ძნელია ამის თქმა. ერთადერთი, რაც ზუსტად ვიცი არის ის, რომ ჩემპიონატის ლიდერები ვართ. თქვენი სიტყვების სისწორეში დარწმუნებისთვის დრო კიდევ გვექნება. ჯერ არ შეიძლება ამაზე საუბარი, რადგან სეზონი მხოლოდ ახლა დაიწყო.

- "რეალში" თამაში სიამოვნებას განიჭებთ?

- დიდ სიამოვნებას. სხვანაირად არც შეიძლება, რადგან გარშემო ბრწყინვალე პარტნიორები მახვევია. ბედნიერი ვარ, რომ ასეთ გუნდში მოვხვდი.

- ასეთი გუნდში რამდენი ტიტულის მოგებას აპირებთ?

- არ ვიცი. ყველა იმ ტურნირის მოგება მინდა, რომელშიც მონაწილეობას მივიღებ. ყოველ შემთხვევაში, ამის გაკეთებას შევეცდებით. შესანიშნავი იქნება, თუ ასეთ შედეგს მივაღწევთ.

- რას ფიქრობთ "ბარსელონაზე"?

- დიადი გუნდია, სადაც შესანიშნავი ფეხბურთელები არიან შეკრებილნი. ბუნებრივია, ის პრიმერას ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია და თან, ჩვენი ყველაზე პრინციპული მეტოქე. საერთოდ, ესპანეთის ჩემპიონატში ძალიან კარგი გუნდები თამაშობენ.

- არ გეჩვენებათ, რომ მსაჯები "ბარსელონას" ეხმარებიან?

- მსაჯების მოქმედების კომენტირება არ მჩვევია. მეეჭვება, რომ ისინი "ბარსას" ეხმარებოდნენ. დიადი გუნდები ისინი არიან, რომლებიც ტიტულებს იგებენ, მსაჯებს კი არ შეუძლიათ იმის გარკვევა, რომელ მათგანს დარჩება გამარჯვება.

- მოედანზე აშკარად ჩანს, რომ მრავალმხრივად განვითარებული ფეხბურთელი ხართ: ბურთის წართმევა შეგიძლიათ, პარტნიორებს მომენტებს უქმნით, კარგად ხედავთ მოედანს, ორივე ფეხით ძლიერად ურტყამთ...

- ამ ეტაპზე თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ვიცი, რომ შემიძლია ფიზიკური ფორმის გაუმჯობესება, მაგრამ ამ მხრივ, დღესაც ბრწყინვალედ გამოვიყურები. მინდა მატჩიდან მატჩამდე გავიზარდო, აგრეთვე პარტნიორებს გავუწიო დახმარება.

- როგორც ჩანს, რაული დიდ ფეხბურთს დაუბრუნდა...

- რაული უდიდესი ფეხბურთელია. ის ყოველთვის ბრძოლაშია და მას მუდმივად უნდა ჰქონდეს თამაშის საშუალება, ვინაიდან "რეალის" სიმბოლოს წარმოადგენს. რაული ყოველ მატჩში ასი პროცენტით იხარჯება.

- რა არის შუსტერის მთავარი მიზანი?

- ის, რომ გუნდი მუდმივად იგებდეს და თან, ლამაზად თამაშობდეს.

- დრო მოვიდა, გულშემატკივრებმაც სიამოვნება მიიღონ...

- დიახ. ამ სეზონში ჩვენი გულშემატკივრები "რეალის" თამაშისგან სიამოვნებას მიიღებენ. ყველაფერი უნდა მოვიგოთ და თან ლამაზად.

- ასეთი ბრწყინვალე დასაწყისის შემდეგ, როგორია თქვენი სურვილი?

- მინდა ტრავმები ავიცილო თავიდან. ასევე მსურს, რომ გუნდმა ყოველ მატჩში ხარისხიანი თამაში აჩვენოს.

ინტერვიუ ვესლი სნეიდერთან

ყველა თამაშს ლამაზად მოვიგებთ

ჰოლანდიელი ნახევარმცველი თვლის, რომ რეალმა ყველა თამაში ისე უნდა ითამაშოს, როგორც ეს ელ მადრიგალზე გააკეთა

კასანოს 15 ლეკვი

ანტონიო კასანო [illegible] ითამაშებს. "სამპდორიის" ახალწვეული სადებიუტო მატჩშივე დაშავდა და შვებულება გამოინერა. გასულ უქმეებზე გენუელებმა შვეიცარიულ "ბელინცონასთან" ამხანაგური შეხვედრა გამართეს. "რეალიდან" იჯარით გადაყვანილმა თავდამსხმელმა მისი დასრულება ვერ შეძლო. კასანოს ტრავმის შესახებ მიმომხილველებს "სამპის" თავკაცმა **ვალტერ მაძარიმ** აუწყა. ის ფეხბურთელს მხოლოდ მას შემდეგ ათამაშებს, როცა დარწმუნდება, რომ ასი პროცენტით ჯანმრთელია.

დავიდ ნავარო ბრუნდება

მალიორკელმა მცველმა **დავიდ ნავარომ** ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა. იხ მინდორს ამ უქმეებზე, "ვილიარეალთან" კალენდარული მატჩიხან დაუბრუნდება. ნავარო ვალენსიელთა საკუთრებაა. ნავარო "ინტერთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩისას მომხდარი გახმაურებული ინციდენტის გამო დასაჯეს. განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ დავიდი სათადარიგოთა სკამიდან ნამოხტა, მინდორზე შევარდა და მილანელ მცველ **ნიკოლას ბურდისოს** სახეში მუშტი უთავაზა. მას "ინტერის" ნახევარი გუნდი გამოედევნა, რათა სამაგიერო მიეზღოთ. უეფამ ინციდენტი დეტალურად გაარჩია და დამნაშავეებს სასჯელები ჩამოურიგა. მათ შორის, ყველაზე დიდი სასჯელი ნავაროს ერგო.

რობენი დებიუტისათვის ემზადება

არიენ რობენი "რეალში" სადებიუტო მატჩისათვის ემზადება. ამ უქმეებზე სამეფო კლუბი პრიმერა დივიზიონის დებიუტანტ "ალმერიას" შეხვდება. ჰოლანდიელი გარემარბს განაცხადში მოხვედრის იმედი აქვს. გასულ უქმეებზე, "რეალის" იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ნაკრებებში არ იყვნენ გამოძახებულნი, დასვენების დღეები ჰქონდათ. რობენი გამონაკლისი იყო. ის, ფაქტობრივად, ორმაგი დატვირთვებით ემზადება, რათა მორიგი ტურის მატჩს მომზადებული შეხვდეს. "ჩელსის" ყოფილ გარემარბს ამ სეზონში საერთოდ არ უთამაშია. ის მადრიდში გადასვლისას დაშავებული იყო.

დი ბიაჯო და იულიანო ლაციოში?

"ლაციო" იტალიის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავებით გაძლიერებას აპირებს. რომაელებმა ორ ვეტერანსა და თავისუფალ აგენტს, **ლუიჯი დი ბიაჯოსა** და **მარკ იულიანოს** დაადგეს თვალი. იმის გამო, რომ კონტრაქტი არავისთან აკავშირებთ, ამ ფეხბურთელების აყვანა სატრანსფერო ფანჯრის გარეშეც შეიძლება. კიდევ ერთი თავისუფალი აგენტი, რომელმაც შეიძლება "ლაციოს" მიაშუროს, ურუგვაელი **ნელსონ აბეიხონია**. ის "ატალანტას" გამოეთხოვა. დი ბიაჯომ და იულიანომ შარშანდელი სეზონი "მესინაში" გაატარეს. "ლაციოში" ტრავმების ეპიდემია მძვინვარებს. მთავარ მწვრთნელ **დელიო როსის** გამოცდილი ფეხბურთელების იმედი აქვს.

ნასრის რიგი დაუდგა

"ინტერმა" "მარწელისა" და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი **სამირ ნასრი** მოიკითხა. "კორიერე დელო სპორტის ცნობით", მილანელთა პრეზიდენტ **მასიმო მორატის** ახალგაზრდა ვარსკვლავის შეძენა სურს. მან საგანგებო სიაც კი შეადგინა. ამ სიაში მექსიკელ **ჯოვანი დოს სანტოსსა** და ამერიკელ **ფრედი ადუსაც** შეხვდებით. ნასრის შეძენა სხვა ევროპულ გრანდებსაც სურთ. ფეხბურთელით მადრიდის "რეალიც" დაინტერესდა. ნასრის პრემიერლიგის დიდი ოთხეულიც აკვირდება.

ინგლისი

მაკლარენის კორექტივები

ისრაელთან მატჩის ორი გმირი თადარიგში გადაინაცვლებს...

ინგლისი რუსეთზე კბილებს ილესავს

რუსეთთან მატჩისათვის **სტივ მაკლარენი** შემადგენლობის შეცვლას აპირებს. **გარეთ ბერიმ** და **ემილ ჰესკიმ**, შეიძლება, თადარიგში გადაინაცვლონ. ისრაელთან თამაშისას ამ ფეხბურთელებმა მაღალი შეფასებები დაიმსახურეს. მაგრამ მაკლარენს მოედნის ცენტრში **სტივ ჯერარდისა** და **ოუენ ჰარგრივსის** დუეტის ხილვა სურს. ჰარგრივსმა ისრაელთან მატჩისათვის გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო. ამიტომ 2000 წლის შემდეგ პირველად ბერი ძირითადში გაამწესეს. ახლა კი, როცა "მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი მწყობრშია და მინდორზე გასვლა შეუძლია, მთავარი მწვრთნელი დიდი ხნის სურვილს აისრულებს. სხვათა შორის, ჯერარდმა ისრაელთან ტკივილგამაყუჩებელი ნემსის გარეშე ითამაშა. ის 71-ე წუთზე შეცვალეს. მერსისაიდელების თავკაცი **რაფა ბენიტესი** კმაყოფილია: მის უპირველეს ვარსკვლავს ტრავმა არ გართულებია. მაკლარენმა ჯერარდს ერთდღიანი დასვენება უბოძა. გუშინ მან სრული დატვირთვით ივარჯიშა. სტივს რუსეთთან ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ.

მაიკლ ოუენისა და ემილ ჰესკის დუეტი ერთ-ერთი ყველა შედეგიანია ინგლისის ნაკრების ისტორიაში. სტატისტიკა მრავლისმეტყველია: ამ დუეტმა 13 მატჩში 15 გოლი შეაგდო. მაგრამ მაკლარენი სტატისტიკას არად დაგიდევთ. მას **პიტერ კრაუჩის** დაყენება სურს: *"შაბათის მატჩი უკვე წარსულია. ოთხშაბათს ის ფეხბურთელები ითამაშებენ, რომლებიც ყველაზე უკეთ მოერგებიან ნაკრების სქემას. შეხედეთ რუსეთის თამაშს. იმთავითვე ნათელია, რომ რუსეთი ისრაელი არ არის."* მაკლარენის სქემაც რომ არა, ჰესკი ისედაც შეცვლის კანდიდატი იყო. ისრაელთან მატჩისას მას მუხლი წამოსტკივდა. "ვიგანის" ფორვარდმა მეორე ტაიმის დასაწყისში კოჭლობა დაიწყო და საბოლოოდ **ენდი ჯონსონით** შეცვალეს.

ისრაელთან შთამბეჭდავი თამაშის შემდეგ ოუენი კვლავ ძირითადში სათამაშოდ ემზადება. ის ამბობს, რომ თანდათან ოპტიმალურ ფორმას უახლოვდება: *"სამწუხაროდ, ტრავმებს ვერავინ გაექცევა. ეს ჩვენი პროფესიის თანამდევია. მაგრამ შემაშფოთებელს ვერაფერს ვხედავ. 27 წლის ვარ და ნაკრებში უკვე 80 მატჩი ჩავატარე. იმედია, საუკეთესო კონდიციებს მალე დავიბრუნებ. მიხარია, რომ ეროვნულ გუნდში დავბრუნდი. ემილ ჰესკის დაბრუნებამაც გამახარა. თავდასხმაში ის ჩემი საუკეთესო პარტნიორია."* მაიკლმა ეს კომენტარი იქამდე გააკეთა, სანამ მაკლარენი გამოაცხადებდა, რომ ხვალ ჰესკის სკამზე ჯდომა მოუწევს. ემილი მაინც ბედნიერია. ხუმრობა ხომ არ არის: ის ნაკრებში სამწლიანი პაუზის შემდეგ დააბრუნეს. თავდამსხმელი აღიარებს, რომ გამოძახებას აღარ ელოდა.

გახარებულია ინგლისელთა კიდევ ერთი ფეხბურთელი, "ბლექბერნის" შემტევი ნახევარმცველი **დევიდ ბენტლი**. 23 წლის ფეხბურთელი ისრაელთან შაბათის მატჩის მიწურულს შეცვლაზე გამოვიდა. მას ფანებმა სტვენა აუტეხეს. მიზეზი ცნობილია: ამ ზაფხულს ბენტლიმ ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებს ზურგი შეაქცია. შაბათს ეროვნულ გუნდში მისი დებიუტი შედგა. ბენტლი ამბობს, ისეთი ბედნიერი ვიყავი, სტვენა არცკი გამიგონიაო: *"ეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო დღე იყო. ბედნიერებისაგან ახლაც კი თავბრუდახვეული ვარ. კარიერის განმავლობაში რამდენიმე ძნელი გადაწყვეტილება მაქვს მიღებული. მაგალითად, "არსენალიდან" წასვლის გადაწყვეტილება, ან თუნდაც ახალგაზრდულ ნაკრებზე უარის თქმა, მაგრამ ეროვნულ გუნდში გამოძახება იმის დასტურია, რომ ჩემი კარიერა სწორი გზით მიდის."*



მალკოლმ გლეიზერი

მანჩესტერ იუნაიტედი

გლეიზერები პრობლემებს უარყოფენ

"მანჩესტერ იუნაიტედის" მფლობელი **გლეიზერების** ოჯახი კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას ფინანსური კრიზისის შესახებ. ცალკეული ინგლისური სააგენტოების ცნობით, ამერიკელი ბიზნესმენები ასტრონომიულ ვალებს ვეღარ უმკლავდებიან. მათ გაკოტრება ემუქრებათ. გაკოტრების საფრთხის წინაშე დგას "მენიუც", რომელიც გლეიზერების მისვლამდე მსოფლიოს უმდიდრესი კლუბი იყო. იმავე სააგენტოების მტკიცებით, გლეიზერების ვალი, რომელიც ასეულობით მილიონ დოლარს შეადგენს, ნელი მოქმედების ბომბია და ის ყოველ წუთს შეიძლება აფეთქდეს.

"მანჩესტერ იუნაიტედის" ფანკლუბი შეშფოთებულია. გულშემატკივრები შიშობენ, რომ გლეიზერები ახალ სატელევიზიო კონტრაქტითა და სპონსორებისაგან მიღებულ თანხას ვალების გასტუმრებას მოახმარენ. გლეიზერების ოჯახის წარმომადგენელი სპეკულაციებს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა. ოფიციალურ განცხადებაში ვკითხულობთ: *"ინფორმაცია, რომელსაც ზოგიერთი მედიასაშუალება ავრცელებს, სიმართლისაგან შორს დგას კლუბის ფინანსური მდგომარეობა უცვლელია. "მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობა ვალს გრაფიკის მიხედვით ფარავს. ბიზნესი, რომელშიც გლეიზერების ოჯახმა ინვესტიცია ჩადო, წარმატებით ვითარდება. ამიტომ შეშფოთების საფუძველი არ არსებობს. გვინდა, ყველას შევახსენოთ, რომ გასულ ზაფხულს მთავარ მწვრთნელს შემადგენლობის გასაძლიერებლად ფინანსური პრობლემები არ ჰქონია."*

მალკოლმ გლეიზერმა "იუნაიტედი" 2005 წელს 790 მილიონ გირვანქად (1.58 მილიარდი დოლარი) შეიძინა. ახალი სეზონის წინ "ოლდ ტრეფორდის" ბილეთები 14 პროცენტით გაძვირდა. ამერიკელი ინვესტორების ფინანსური პრობლემების გარდა, ინგლისური მედია ინტენსიურად განიხილავს "მანჩესტერის" მოსალოდნელი გაყიდვის საკითხსაც. სპეკულაციების თანახმად, არაბული და ჩინური კონსორციუმები მზად არიან, კლუბში 1 მილიარდი გირვანქა გადაიხადონ.

მოსალოდნელი გარიგება

ტოტენჰემი შეიძლება გაიყიდოს

"ტოტენჰემის" თავმჯდომარე **დანიელ ლევი** კლუბის გაყიდვას აპირებს. ინგლისური სააგენტოების ცნობით, "მამლების" შეძენა 250 მილიონ გირვანქად შეიძლება. "სანს" თუ დავუჯერებთ, ლევი მთავარ მწვრთნელად სახელგანთქმული სპეციალისტის მიწვევასაც ამიტომ ცდილობს. ის დარწმუნებულია, რომ ცნობილი მწვრთნელი კლუბის მიმართ ინტერესს კიდევ უფრო გააღვივებს. ზაფხულში მისტერ ლევიმ "ტოტენჰემის" ყოფილი ბოსის, **სერ ალან შუგარისაგან** აქციათა 12 პროცენტი შეიძინა. მას ეს სიამოვნება 25 მილიონი გირვანქა დაუჯდა. ლევის ხელში აქციათა 66 პროცენტმა მოიყარა თავი. ამ წუთისათვის "ტოტენჰემის" საბაზრო ღირებულება 210 მილიონ გირვანქას შეადგენს. ეს ოდნავ ნაკლებია იმ თანხასთან შედარებით, რომელიც ამერიკელმა ინვესტორებმა, **ტომ ჰიკსმა** და **ჯორჯ ჯილეტმა** "ლივერპულის" სანაცვლოდ გადაიხადეს. დანიელ ლევი დარწმუნებულია, რომ "ტოტენჰემის" დონის ლონდონური კლუბი საბაზრო ღირებულებაზე ცოტა მეტი ღირს. ამიტომ სარფიან შეთავაზებებს ელოდება. ერთი კვირის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ "მამლების" შეძენა "ნიუკასლის" ბოს **მაიკ ეშლის** სურდა. ამ უკანასკნელმა ჯორდების აქციათა საკონტროლო პაკეტი გაზაფხულზე **ფრედი შეპერდისაგან** შეიძინა, თუმცა რამდენიმე თვის შემდეგ "ნიუკასლის" გაყიდვასა და ფულის ლონდონში დაბანდებაზე ფიქრობს.

რა ელის მარტინ იოლს

ამხანაგური მატჩი: ბრაზილიას რონალდინიომ მოაგებინა

ბრაზილიის ნაკრებმა ამერიკული ტურნეს პირველი შეხვედრა ჩაატარა. მან მასპინძლებს 4:2 მოუგო. თამაში სანახაობრივი და დაძაბული გამოვიდა. ამერიკელმა **ბოკანეგრამ** ანგარიში მე-20 წუთზე გახსნა. ბრაზილიამ **ონიევუს** ავტოგოლით 12 წუთში გაათანაბრა. მეორე ტაიმის დასაწყისში **ლუსიომ** პენტაკამპეონები წინ გაიყვანა. 73-ე წუთზე **დემპსიმ** კიდევ ერთხელ აიღო მეტოქის კარი. ორ წუთში თამაშის გარდამტეხი მომენტი დადგა. **რონალდინიომ** საუცხოო საჯარიმო დარტყმით ბრაზილია კიდევ ერთხელ დააწინაურა. მასპინძლებმა მეტის გაკეთება ვეღარ შეძლეს. ბოლო წუთზე მათ კარში პენალტიც დაინიშნა. **ელანომ** მეკარე **ჰოვარდს** შანსი არ დაუტოვა. ხვალ ბრაზილიელები მორიგ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებენ. მათი მეტოქე მექსიკის ნაკრები იქნება.

ჭურინული ტრანსფერები

"იუვენტუსი" მოსკოვის "ლოკომოტივის" მცველ **ბრანისლავ ივანოვიჩს** ეპატიჟება. სერბეთის ნაკრების 23 წლის ფეხბურთელს ხუთწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს. ტურინელები მოსკოველებს 8.5 მილიონ ევროს გადაუხდიან. ტრანსფერი იანვარში განხორციელდება. ამ ინფორმაციამ "გაძეტა დელო სპორტი" ავრცელებს. აქვე გეტყვით, რომ "ბებერი ქალბატონი" **ალბერტო ჯილარდინოს** ხელში ჩაგდების იმედსაც არ კარგავს. "კალჩომერკატოს" ცნობით, "იუვემ" "მილანისათვის" შეთავაზებული თანხა 18 მილიონამდე გაზარდა და თანახმაა, ახალგაზრდა თავდამსხმელი **რაფაელე პალადინოც** "როსონერის" გადაულოცოს.

აქვე გეტყვით, რომ მოსკოვის ცსკა "იუვენტუსთან" დაკავშირებას აპირებს. არმიელებს ახალგაზრდა მცველის, **სებასტიან ჯოვინკოს** შეძენა უნდათ. რუსები 20 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 15 მილიონ ევროს ამზადებენ. ეს საკმაოდ დიდი თანხაა, იმდენად დიდი, რომ თვით "ბებერი ქალბატონის" გულის მოსაგებადაც იკმარებს. მართალია, ჯოვინკო ტურინელთა საკუთრებაა, მაგრამ ის "ემპოლიში" თამაშობს. სებასტიანს ამ კლუბთან ერთწლიანი საიჯარო კონტრაქტი აქვს გაფორმებული. ჯოვინკოს ტურინული დებიუტი ამა წლის მაისში შედგა. ივნისში კი სებასტიანმა იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებშიც ითამაშა.

ავსტრიამ სენეკოვიჩი დაკარგა

გარდაიცვალა ავსტრიის ნაკრების ყოფილი დამრიგებელი **ჰელმუტ სენეკოვიჩი**. ის 73 წლისა იყო. 1957-68 წლებში სენეკოვიჩმა ავსტრიელთა შემადგენლობაში 18 მატჩი ჩაატარა. ჰერ ჰელმუტს ნაკრები 1976 წელს ჩააბარეს. მან გუნდი 1978 წლის მუნდიალზე გაიყვანა. იქ კი ისტორიული გამარჯვება მოიპოვა: მეორე ჯგუფურ ეტაპზე ავსტრიამ დასავლეთ გერმანიას 3:2 მოუგო. ამ მარცხის გამო მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონები ტურნირს გამოეთიშნენ. თასს კი საბოლოოდ არგენტინა დაეუფლა. დღეს ავსტრია ჩილესთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. ვენის სტადიონზე სენეკოვიჩის ხსოვნას წუთიერი დუმილით მიაგებენ პატივს.

გერმანია: მინუს გომესი, პლუს შნაიდერი

გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი **მარიო გომესი** რუმინეთთან ამხანაგურ მატჩს გამოტოვებს. თამაში კიოლნში გაიმართება. "შტუტგარტის" ვარსკვლავმა სურდო შეეყარა და სიცხე აქვს. ბუნდესნაკრებს უბრუნდება გამოცდილი ნახევარმცველი **ბერნდ შნაიდერი**. მან უელსთან შაბათის მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. გერმანელებმა უელსს 2:0 სძლიეს და კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდნენ საგაისო ევროპის ჩემპიონატს. ისინი ჯგუფის ლიდერები არიან და უახლოესი მდევარი ჩეხეთისაგან ხუთი ქულა აშორებთ.

ჰოვარდი მანჩესტერთან ვერ ითამაშებს

"ევერტონის" მეკარემ **ტიმ ჰოვარდმა** ბრაზილიასთან საკვირაო ამხანაგურ მატჩში (2:4) თითი მოიტეხა. ამიტომ მომავალ უქმეებზე "მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩს გამოტოვებს. ტრავმის მიუხედავად, ჰოვარდმა შეუცვლელად ითამაშა. "ევერტონის" ხელმძღვანელობამ ამერიკის ფეხბურთის ფედერაციას უკვე გაუგზავნა საპროტესტო წერილი და ფეხბურთელის ტრავმაში ამერიკის ნაკრების სამწვრთნელო შტაბი დაადანაშაულა. ევერტონელთა თქმით, დაშავებული ფეხბურთელი აუცილებლად უნდა შეეცვალათ.

კარლეს პუიოლი და ფრანკ რიიკაარდი

ინტერვიუ ფრანკ რიიკაარდთან

ამდენი კრიტიკა ენერგიას გვმატებს

ჰოლანდიელი მწვრთნელის აზრით, უმაღლესი დონის ფეხბურთს უფრო მეტი პასუხისმგებლობა და მონდომება სჭირდება...

"ბარსელონა" აქტიური ცხოვრებით ცხოვრობს. კატალონიური გრანდი ინტენსიურად მუშაობს იმისთვის, რომ ხარვეზები მაქსიმალურად აღმოიფხვრას. რამდენიმე დღის წინ "ბარსას" პრეზიდენტმა, ხოან ლაპორტამ პრესკონფერენცია მოიწვია და რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრა. ყველასთვის მოულოდნელად, კლუბის უმაღლესმა ხელისუფალმა საკუთარი გუნდი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. სენიორ ლაპორტამ ჯერ შარშანდელ წარუმატებლობებზე ისაუბრა, შემდეგ კი მიმდინარე მოვლენებსაც გადასწვდა. პრიმერა დივიზიონის მეორე-ტურში "ბილბაოსთან" მოპოვებული გამარჯვების მიუხედავად, ლაპორტა "ბარსელონის" მზადყოფნითა და თამაშით მაინც უკმაყოფილოა. მისი თქმით, ჯერაც ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი. პრეზიდენტის ამ განცხადების შემდეგ, ფრანკ რიიკაარდი ესპანელი ჟურნალისტებისთვის ყველაზე სასურველ რესპონდენტად იქცა. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა მასმედიელებთან შეხვედრა გუშინდლამდე ვერ მოახერხა. საღამოს რიიკაარდმა პრესის წარმომადგენლები "კამპ ნოუს" საკონფერენციო დარბაზში მიიღო და ფაქტობრივად, ყველა კითხვას ამომწურავად უპასუხა.

- რიიკაარდ, ლაპორტამ დაუფარავად გაგაკრიტიკათ. ვერ ვიტყვით, რომ მან მხოლოდ და მხოლოდ თქვენ შეგიტიათ, მაგრამ ფაქტია, პრეზიდენტმა გასული სეზონის შედეგები უკიდურესად უარყოფითად შეაფასა და აღნიშნა, რომ სასოწარკვეთილი დარჩა. საინტერესოა, მისი მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, როგორი განწყობა დაგეუფლათ?

- არ მგონია, თქვენთვის ყველაზე საინტერესო ჩემი განწყობა იყოს. ყოველთვის ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ, როცა "ბარსელონაში" რაიმე არ გამოდის, უპირველესი პასუხისმგებელი მწვრთნელია. სარკეში სწორედ მე უნდა ჩავიხედო და საკუთარ თავს უნდა დაველაპარაკო. ამის არასოდეს შემშინებია. გემახსოვრებათ, რომ პასუხისმგებლობას ერთხელაც არ გავქცევივარ. დიახ, შარშან არ გაგვიმართლა და ხელმოცარულები დავრჩით. პირველ რიგში, ეს რა თქმა უნდა, ჩემი ბრალია.

- სხვათა შორის, ლაპორტამ ისიც თქვა, "ბარსელონას" ჯერაც ძალიან ბევრი რამ აკლიაო. პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ძალიან ბევრი სამუშაო გაქვთ შესასრულებელი. როგორც ჩანს, "რასინგთან" პირველი ტურის შეხვედრაში განცდილი წარუმატებლობა შემთხვევითი არ იყო.

- "რასინგთან" მარცხზე ამომწურავად ვილაპარაკეთ. არ მესმის, ამ თემას რატომ უბრუნდებით. იმ საღამოს ნებისმიერ გრანდს შეიძლებოდა წაეფორხილა. რა თქმა.უნდა, გული დაგვწყდა, რომ სანტანდერში ორი ქულა დავკარგეთ, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. მთელი სეზონი წინ გვაქვს. უშუალოდ, პრეზიდენტის შეფასებას რაც შეეხება, მოგახსენებთ, რომ მის არც ერთ სიტყვას არ გავუკვირვებივარ. ლაპორტა მაქსიმალისტია და ყოველთვის მაქსიმალურ შედეგებს ელის. სხვათა შორის, ბიჭები ამას ყველაზე კარგად ხედავენ. ზოგჯერ წუწუნებენ კიდეც, ხოანი ჩვენგან მეტისმეტად ბევრს მოითხოვსო. შეგირდებს მუდამ ერთსა და იმავეს ვპასუხობ, პრეზიდენტი იმ პირობით აირჩიეს, რომ "ბარსელონამ" უმაღლესი მწვერვალები დაიპყროს. მისი წარმატება კი თქვენზეა დამოკიდებული-თქო. მართლაც, თუ მოედანზე 100 პროცენტით არ დაიხარჯებიან და თავს არ გაწირავენ, შედეგი არ იქნება. შესაბამისად, ლაპორტას კრიტიკოსები მოუმრავლდებიან. განა გასაკვირია, რომ ხოანს მოვლენათა ამგვარი განვითარება არ ახარებს?

- კატალონიის თასზე "ხიმნასტიკს" დაუპირისპირდებით. შეიძლება ითქვას, რომ ეს არაოფიციალური ტურნირია. ყოველ შემთხვევაში, მასში გამარჯვება სერიოზულ დივიდენდებს არ მოგიტანთ, მიუხედავად ამისა, დაპირისპირებას უკიდურესად სერიოზულად მოეკიდეთ. ძალიან გამიკვირდა, როცა ბოლო ვარჯიში დახურულ კარს მიღმა ჩაატარეთ. კონსპირაცია აუცილებელია?

- ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა. ნებისმიერი შეხვედრის წინ ვარჯიშს დახურულ კარს მიღმა ვატარებთ ხოლმე. კატალონიის თასის დაკნინების მცდელობას კატეგორიულად ვეწინააღმდეგები. თითოეული ჯილდო კლუბის ისტორიასა და მუზეუმს ამდიდრებს. ჩვენს თამაშზე ხალხი მოვა და ვალდებული ვართ, საქმეს მაქსიმალური პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ. იმედია, "ხიმნასტიკს" დავამარცხებთ. ძირითადი გუნდიდან მხოლოდ 5 ფეხბურთელი ვავარჯიშე. მთელი პასუხისმგებლობა ახალგაზრდებს დაეკისრებათ. იმ ბიჭებს, რომლებიც "ბარსელონა B-ში" თამაშობენ.

- თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ბარსას" ორი გენიოსი ეზრდება - ბოიანი და ჯოვანი ყველას აოცებენ. ძალიან გვაინტერესებს, პრინციპულ მატჩებში მათ გამოჩენას ხშირად უნდა ველოდოთ?

- ამ ბიჭებით აბსოლუტურად ყველა კმაყოფილია. ბეგირისტაინი და ლაპორტა ბოიანსა და ჯოვანის განსაკუთრებულად აფასებენ და უფრთხილდებიან. მათ იციან, რომ უამრავი კლუბის თავიდან მოშორება მოუნევთ. უკვე ვიცით, დოს სანტოსს "ჩელსი" ეპატიჟება. დარწმუნებული გახლავართ, "ბარსას" ხელმძღვანელობა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ჩვენ მიერ აღმოჩენილი და აღზრდილი მარგალიტი სხვას არ დარჩეს. პრინციპულ მატჩებში მათ მონაწილეობას რაც შეეხება, წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კარგად იქნებიან მომზადებულები. ბოიანი 17 წლისაა და შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგის ან პრიმერა დივიზიონური შეხვედრების ფსიქოლოგიურ დატვირთვას ვერ გაუძლოს. თუმცა, პირობას გაძლევთ, ამ ბიჭებს ძირითად გუნდს ნელ-ნელა შევაჩვევ. პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. როგორც ნახეთ, ჯოვანი "ბილბაოსთან" მატჩში შეცვლაზე შევუშვი. ვერ ვიტყვით, რომ ციდან ვარსკვლავებს წყვეტდა, მაგრამ დებიუტის კვალობაზე, შესანიშნავად გამოიყურებოდა. ერთ-ერთ ეპიზოდში მან კარს ბურთი რამდენიმე სანტიმეტრით ააცილა. მოკლედ, მართლაც ფანტასტიკური ახალგაზრდები გვყავს.

- ახალი "ბარსელონის" მშენებლობას დიდი ენერგია სჭირდება?

- რა თქმა უნდა. ბევრი რამ შეიცვალა. ახალწვეულები დაგვემატნენ, მათ ატაპტაციისთვის დრო სჭირდებათ. გვიხარია, რომ პრეტემპორადისას ისინი თავდაუზოგავად შრომობდნენ. ტიტანური სამუშაოსი არავის ეშინია. მთავარია, სწორ გზას მივაგნოთ. წინ რთული ცხოვრება გველის, მაგრამ ვალდებულები ვართ, ყველაფერს გავუძლოთ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ კანტერის ბიჭებს ყურადღებას საგანგებოდ მივაქცევ. ჯოვანის, ბოიანსა და კროსასს განაცხადში ხშირად იხილავთ.

- როგორ ფიქრობთ, გასული სეზონის ნარუმატებლობა გუნდს წინსვლაში ხელს ხომ არ შეუწყობს?

- ძნელი სათქმელია. ალბათ, შეამჩნევდით, რომ შარშანდელ ფიასკოზე ღია ტექსტით თითქმის არასოდეს ვსაუბრობ. საუბედუროდ, შარშან მრავალი ქულა გავფლანგეთ, როცა უკან ვიხედები, გული მისკდება ხოლმე. თუნდაც, "ესპანიოლთან" მატჩი ავიღოთ. ბოლო წუთებზე გოლი რომ არ გაგვეშვა, ჩემპიონები გავხდებოდით. ვხვდები, თქვენი კითხვა რა კონტექსტსაც შეიცავს. გამორიცხული არ არის, ჩვენ მიერვე დაშვებული შეცდომები ჭკუის სასწავლებლად გამოგვადგეს. იქნებ მომავლისთვის უკეთესიც იყოს, რომ გასულ სეზონში ჩემპიონები ვერ გავხდით. აუცილებელია, ჩვენს გეგმას მივყვეთ და მშვიდად ვიმუშაოთ.

- შეცდომებზე ჭკუის სწავლების თემა თავად ახსენეთ. საინტერესოა, გასულმა სეზონმა რაგორ გაგიფერადა ჩაგიტარათ?

- პირველი, რასაც მივხვდი, ის არის, რომ ფიასკო უმოკლეს დროში უნდა დაივიწყო და მომავალზე ზრუნვას შეუდგე. თუ ცოცხალი ადამიანი ხარ და ოდნავი ოპტიმიზმი მაინც გაგაჩნია, სწორედ ასე უნდა მოიქცე. შარშანდელი გამოცდილებიდან გამომდინარე, შემიძლია მოგახსენოთ, რომ უმაღლესი დონის ფეხბურთს უფრო მეტი პასუხისმგებლობა და მონდომება სჭირდება. დამეთანხმებით, გასულ წელს ქულათა სოლიდური სხვაობით ვლიდერობდით. ეს ყველაფერი მას შემდეგ ხდებოდა, რაც ერთდროულად პრიმერა დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაში გავიმარჯვეთ. ქვეცნობიერად ვირწმუნეთ, რომ სუპერმენები ვიყავით. თითქოს, ყველაფერი შეგვეძლო და ახლოსაც ვერავინ მოგვეკარებოდა. ასეთ დროს აუცილებლად მოდუნდები და კონცენტრაციას დაკარგავ. აი, ეს იყო ჩვენი მთავარი უბედურება. გარდა ამისა, ფიზიკურადაც არ ვიყავით კარგად მომზადებულები. სეზონის დასკვნით ეტაპს თუ გაიხსენებთ, აღმოაჩენთ, რომ ფეხბურთელები მოედანზე ძლივს მოძრაობდნენ. ამის გათვალისწინებით, წელს განსხვავებული მეთოდები შევარჩიე.

- "ბარსელონაში" იაია ტურეს მოსვლის შემდეგ დეკუს ძირითად შემადგენლობაში ადგილი აღარ აქვს?

- დეკუს საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მასთან ერთი პრეტენზიაც არ გამაჩნია. ნეტავ, ყველა ასეთი პროფესიონალი. და შრომისმოყვარე იყოს. ახალი სეზონი მან შესანიშნავად დაიწყო. თუ ასევე გააგრძელებს, პრობლემა არ ექნება.

- რას აპირებთ, ძირითად შემადგენლობაში მთელი გუნდი უნდა ჩატიოთ?

- ისევ ეს ძველი და ყბადაღებული თემა. სეზონი გრძელია, თამაშის შესაძლებლობა ყველას ექნება (იცინის).

- სამუელ ეტოოს ტრავმა დიდი დარტყმაა?

- რა თქმა უნდა. ცუდია, როცა ასეთი მაღალი დონის ფორვარდი გამოგაკლდება. მოდით, სამუელს გამოჯანმრთელება ვუსურვოთ და იმედი ვიქონიოთ, რომ ფორმას მალე აღიდგენს.

- მანამდე მთელი პასუხისმგებლობა ტიერი ანრის დაეკისრება?

- პასუხისმგებლობას ის ეტოოს ტრავმის გარეშეც ვერ გაექცეოდა. ანრი სათადარიგოთა სკამზე დასასმელად არ გვიყიდია.

- მადრიდის "რეალზე" რას გვეტყვით?

- იმას, რასაც ყველა ხედავს. მადრიდელებმა სეზონი შესანიშნავად დაიწყეს. წარმატებული დებიუტი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ უნდა გვახსოვდეთ, რომ სეზონი ძალიან გრძელია და ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს.

- პრიმერა დივიზიონი ეს-ესაა დაიწყო, მაგრამ კრიტიკა არც ერთი მხრიდან გაკლიათ. პრეზიდენტის პრესკონფერენციაზე უკვე ვისაუბრეთ. საგულისხმოა, რომ პრესაც უარყოფითი გაქვთ.

- არა უშავს. კრიტიკა ყოველთვის დამატებით ენერგიას გვძენს (იცინის). ძირითად შემადგენლობაში თერთმეტი კაცია, ტრიბუნებზე კი სულ მცირე 80 ათასი ადამიანი ზის. შეუძლებელია ყველას ერთნაირი აზრი ჰქონდეს. კრიტიკას მშვიდად უნდა შევხვდეთ, რადგან პროფესიონალები ვართ. ჩვენ ჩვენს გზას გავყვებით და შევეცდებით, დავამტკიცოთ, რომ სწორად ვმუშაობთ.

- როგორც ჩანს, სეზონის მსვლელობისას როტაციები გარდაუვალი იქნება. როგორ ფიქრობთ, ეს პროცესი რამდენად მტკივნეულად ჩაივლის?

- ჩემი შეგირდები პროფესიონალები არიან. რა თქმა უნდა, მათ თავმოყვარეობა და ამბიციებიც გააჩნიათ. მაგალითად, თუ მსოფლიო დონის ვარსკვლავს სათადარიგოთა სკამზე ზედიზედ სამჯერ დასვამ, მას კითხვები გაუჩნდება. ეს ბუნებრივი და გარდაუვალია, მაგრამ მთავარია, საკუთარ მოსაზრებასა და გაკვირვებას რამდენად კორექტულად გამოხატავს. მჯერა, ბიჭები ამპარტავნების გამო პრობლემებს არ შექმნიან. ერთი რამ ყველას უნდა ესმოდეს. ვინც კონკრეტული მატჩის წინ კარგ ფორმაში იქნება, აუცილებლად ითამაშებს. ყველაფერი შედარებითია - ერთმა მეორეს უნდა აჯობოს.

ილია ნიკოლაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ხავიერ მასკერანოსთან

არსად ისე არ მღერიან, როგორც ენფილდზე

ვესტ ჰემში გატარებული კოშმარული თვეების შემდეგ, არგენტინელი ნახევარმცველი ლივერპულს სამოთხედ მიიჩნევს

ექვსი თვის წინ, არგენტინელმა ხავიერ მასკერანომ პირველად უპასუხა "ლივერპულის" ოფიციალური ვებგვერდის კითხვებს. ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელის რეპუტაცია "ვესტ ჰემში" შესამჩნევად დაზარალდა და ჟურნალისტებს აინტერესებდათ, რა მოხდა ლონდონურ კლუბში. იმ ინტერვიუმდე ორი დღით ადრე, პრემიერლიგამ არგენტინელს "ლივერპულში" გადასვლის ნება დართო. როცა მელვუდის პრესცენტრში გამოჩნდა, მასკერანო გამოფიტული და გადაღლილი ჩანდა. ის შოკირებული იყო და ამიტომაც, ხაუბრისას აზრებს თავს ვერ უყრიდა. მაშინ მას თარჯიმანი ეხმარებოდა. ექვსი თვის შემდეგ, მაშინდელ და დღევანდელ ხავიერს შორის სხვაობა შეუიარაღებელი თვალითაც ცხადად მოჩანს. მასკერანო ითხოვს, რომ ინტერვიუ ინგლისურ ენაზე ჩაიწეროს - მას პრაქტიკა სჭირდება. მარადონას მიერ "მონსტრად" შერაცხული ფეხბურთელის სახეზე ტანჯული გამომეტყველება გაქრა, სამაგიეროდ გაჩნდა ღიმილი. ამჯერად მისი პასუხებიც უფრო დალაგებული და აზრიანია.

ხავიერ მასკერანო

- ბოლოს, ჩვენ ერთმანეთს თებერვალში შევხვდით, როცა "ლივერპულში" ახალი გადასული იყავით. კმაყოფილი ხართ ამ ბოლო ექვსი თვით?

- ძალიან ბედნიერი ვარ. გასულ სეზონში, "ლივერპულის" შემადგენლობაში ბევრჯერ მომიწია თამაში, მათ შორის მნიშვნელოვან მატჩებშიც. ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც ვიყავი და ეს გამაოგნებელი იყო. "ჩელსისთან" ნახევარფინალიც განსაკუთრებული მოგონებაა. და ეს ყველაფერი უმოკლეს დროში მოხდა. დიახ, კმაყოფილი ვარ ამ ექვსი თვით - არ ვიცი, რა შეიძლებოდა უკეთესი მომხდარიყო.

- "ვესტ ჰემის" სიტუაციასთან შედარებით, დიდი ცვლილებაა.

- დიახ. ვფიქრობ, ასე იმიტომ მოხდა, რომ მწვრთნელს სჯერა ჩემი. რაფამ ძალიან დიდი დახმარება გამიწია. ის ლონდონში მაშინ ჩამოვიდა, როცა მე "ვესტ ჰემში" ძირითადში ვერ ვხვდებოდი. რაფამ თქვა, რომ შემეძლო "ლივერპულში" მეთამაშა, ჩვენი საუბარი კი, იმით დაასრულა, რომ პირდაპირ მითხრა - შენი "ენფილდზე" ხილვა მსურსო. იმ დროს, როცა შენ "ვესტ ჰემში" არ თამაშობ და ამას "ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი გეუბნება, ეს ცოტათი ძნელი დასაჯერებელია. ამიტომაც ვარ ბედნიერი.

- გარდა ამისა, ესპანურად საუბრის საშუალება გაქვთ. ალბათ, ეს ძალიან გეხმარებათ?

- როცა "ვესტ ჰემში" მივედი, ჩემთვის უცხო ქვეყანაში, სულ სხვა გარემოში აღმოვჩნდი. რა თქმა უნდა, აქ უფრო მარტივია ყველაფერი, რადგან მწვრთნელი ესპანელია. შემიძლია მას ესპანურად ველაპარაკო, მაგრამ ეს არც ისე ხშირად ხდება, რადგან რაფას მოსწონს ინგლისურად საუბარი. ჩემი გაკვეთილების საქმე კარგად მიდის, მაგრამ ჩვეულებრივი გულშემატკივრების ჯერ არ მესმის. აქაური დიალექტი ჯერ ვერ დავძლიე.

- რომელი თანაგუნდელი დაგეხმარათ აკლიმატიზაციაში?

- ყველამ შეიტანა გარკვეული წვლილი. სანამ "ბოკა ხუნიორსში" გაუშვებდნენ, ყველაზე ხშირად დროს გაბი პალეტასთან ვატარებდი, ახლა უფრო მეტი ურთიერთობა სებასტიან ლეტოსთან და ალვარო არბელოასთან მაქვს. "ლივერპულის" ყველა წევრი კარგი ბიჭია, ნებისმიერთან შეიძლება საუბარი, ატმოსფეროც შესანიშნავია.

- თქვენი ინგლისური კარიერის დასაწყისს ზეიმს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, მაგრამ უცებ ხვდებით გუნდში, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ფინალში თამაშის საშუალებას გაძლევთ. თავი სიზმარში ხომ არ გეგონათ?

- არ მჯეროდა, რომ ასეთი რამ მართლაც ხდებოდა. "ვესტ ჰემში" ექვსი თვის განმავლობაში, ხუთი თუ ექვსი თამაში ჩავატარე. ვარჯიშებზე სიარული არ მინდოდა, რადგან ვიცოდი, რომ რაც არ უნდა მომხდარიყო, ძირითადში მაინც არ დამაყენებდნენ. მოკლედ, ძალიან რთულ სიტუაციაში ვიყავი. შემდეგ, როცა "ლივერპულში" გადავედი, ვფიქრობდი, რომ აქაც გამიჭირდებოდა სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრა, ვინაიდან "ლივერპული" უდიდესი კლუბია და აქ ისეთი ნახევარმცველები თამაშობენ, როგორებიც სტივენ ჯერარდი, ჩაბი ალონსო და მომო სისოკო არიან. როცა შანსი მომეცა, შევეცადე დამემტკიცებინა, რომ თამაშს ვიმსახურებდი, მაგრამ ამ შემთხვევაში, ყველაფერი გაცილებით იოლი იყო, რადგან ვიცოდი, რომ აქ არიან ადამიანები, რომლებიც მე პატივს მცემენ.

- გულშემატკივრებიც თავიდანვე თქვენს მხარეზე იყვნენ. დღეს ისინი მღერიან იმის შესახებ, რომ "ლივერპულს" მსოფლიოში საუკეთესო ნახევარდაცვა ჰყავს. შეგიძლიათ წაიმღეროთ?

- (იცინის). არა, მაგრამ სიტყვები ვიცი - მომო სისოკოზე, ჩაბი ალონსოზე, ჯერარდზე და მასკერანოზე. ვისმენ ამ სიმღერას და მსიამოვნებს. ექვსი თვეა, რაც "ლივერპულში" ვარ და ჩემზე უკვე სიმღერა შეთხზეს - ეს მართლაც საოცარი შეგრძნებაა. ჩვენს გუნდს ფანტასტიკური გულშემატკივრები ჰყავს, არ მინახავს არავინ, ვინც თავის გუნდს ისე უჭერდეს მხარს, როგორც ამას "ენფილდზე" აკეთებენ და არავინ ისე არ მღერის, როგორც "ლივერპულის" გულშემატკივარი.

- მაგრამ, მსოფლიოს საუკეთესო ნახევარდაცვის წევრი, ხანდახან მაინც ვერ ხვდებით მინდორზე. როგორ რეაგირებთ ამ დროს?

- ყველას უნდა ფეხბურთის თამაში, მაგრამ "ლივერპულში" თითო პოზიციაზე ორ-ორი მოთამაშე მოდის. და ეს აუცილებელია, ვინაიდან სეზონის მსვლელობისას ოთხ ტურნირში ვთამაშობთ და გუნდს თითოეულში გამარჯვება უნდა. ხანდახან სათადარიგოთა სკამზე მომიწევს ჯდომა და ამაში საგანგაშო არაფერია. მთავარია კარგად ვითამაშო. მწვრთნელმა უნდა იცოდეს, რომ, როცა მას ვჭირდები, შეუძლია თამამად მენდოს.

- თქვენი პირდაპირი "მოწინააღმდეგე" ჩაბი ალონსოა. ძნელია მისი სასტარტო შემადგენლობიდან ამოგდება?

- ალონსო ფანტასტიკური მოთამაშეა და ამაში ყოველი ვარჯიშის დროს ვრწმუნდები. ვფიქრობ, ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველია მსოფლიოში. მას საოცარი პასების მიცემა შეუძლია.

- არის კიდევ ლუკას ლეივა, ბრაზილიელი ფეხბურთელი, რომელიც "ლივერპულის" გულშემატკივრებმა მხოლოდ ერთხელ იხილეს საქმეში. რას ფიქრობთ თქვენს კიდევ ერთ კონკურენტზე?

- მის წინააღმდეგ ბრაზილიაში მითამაშია, როცა ის "გრემიოში" ირიცხებოდა, მე კი, "კორინთიანსში". მაშინ მან საკმარისი პრობლემები შემიქმნა და ვიცი, რომ ძალიან კარგი ფეხბურთელია. მაგრამ როცა შენ ახალ ქვეყანაში ხარ, ახალი პარტნიორები გყავს, სხვა სტილთან შეგუება და ახალი ენის სწავლა გიწევს - ყველაფერი ამისთვის დროა საჭირო.

- ნახევარდაცვაში თქვენმა პარტნიორმა, მომო სისოკომ "ლივერპულში" თავისი პირველი გოლი ორი კვირის წინ გაიტანა. თავად როდის აპირებს ახალ კლუბში საკუთარი გოლების ანგარიშის გახსნას?

- სისოკოს გამო ძალიან გამიხარდა - მან ეს გოლი დაიმსახურა. მომო ძალიან [illegible] ადამიანია. ჩემ შესახებ კი, შემიძ[illegible] გითხრათ, რომ დიდი სურვილი [illegible] "ლივერპულში" მიმეღო გოლი [illegible]ტანო, მაგრამ ჩემი პოზიციიდან [illegible]კეთება არც ისე ადვილია. ვეცდები, მაგრამ არ ვიცი, გამომივა თუ [illegible]

- სამაგიეროდ, კოპა ამერიკაზე შეძელით გოლის გატანა, მაგრამ ისევე როგორც ჩემპიონთა ლიგაზე, იქაც ფინალში ნაგებული დარჩით. რას გრძნობდით დამარცხების შემდეგ?

- რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული რჩები, როცა ორ ასეთ მნიშვნელოვან ფინალში ითამაშებ და ვერცერთს ვერ მოიგებ. ჩემპიონთა ლიგის ფინალი ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა, კოპა ამერიკა კი, ძალიან მნიშვნელოვანი ტურნირია შინ, არგენტინაში. იმედგაცრუებული ვიყავი და პრინციპში, ახლაც ასე ვარ.

- და ეს იმედგაცრუება ძალას გმატებთ იმისთვის, რომ წელს "ლივერპულთან" ერთად რაიმე ტიტული მოიგოთ?

- არ ვიცი, გვეხმარება თუ არა ამაში იმედგაცრუება, რადგან როცა ფეხბურთს აგებ, შეუძლებელია უკან დაბრუნდე და რაიმე შეცვალო. მე უბრალოდ წინ ვიყურები და ვხედავ ოთხ პრიზს, რომელთა აღებაც "ლივერპულს" წელს შეუძლია. მჯერა, რომ ამ სეზონში ჩვენ ნებისმიერი მათგანის მოგება შეგვიძლია, რადგან ძალიან კარგი შემადგენლობა გვყავს და კარგი სტარტიც ავიღეთ.

- ნებისმიერ გუნდში არიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც "მასხარას" როლს ასრულებენ და თანაგუნდელებს ართობენ, სხვები უფრო მშვიდი ხასიათით გამორჩევიან. თქვენ როგორი ხართ?

- მე მეორე კატეგორიას ვეკუთვნი. აქ ძირითადად ასეთები არიან. ლივერპულიც იმიტომ შემიყვარდა, რომ წყნარი და ჩუმი ქალაქია. მომწონს აქ ცხოვრება, თუმცა სახლიდან იშვიათად გავდივარ, ვინაიდან ჩემს ქალიშვილთან თამაში ყველაფერს მირჩევნია.

- ვინ არის გუნდში ყველაზე ხმაურიანი?

- კარაგერი გაუჩერებლად ლაპარაკობს, ჯერმენ პენანტი ყოველთვის მხიარულია. ძალიან სასაცილო ტიპია.

- ვისი ნომერი გაქვთ მობილურში?

- არბელოასი, ლეტოსი და იოსი ბენაიუნის. იოსი ჩემი მეგობარია, რადგან "ვესტ ჰემში" ექვსი თვე ერთად ვიყავით. მაშინ ის ძალიან მეხმარებოდა.

- ისეთებიც არიან, ვისაც გსურთ ვარჯიშზე ფეხებში ვარდნით გაუსწორდეთ?

- ხანდახან, მაგრამ ჩვენთან ისეთი ვარჯიშებია, რომ არასოდეს გინდება ვინმეს ტრავმა მიაყენო. მუდმივად ვმუშაობთ ფიზიკურ მომზადებაზე, მაგრამ, როცა 11x11-ზე ან 7x7-ზე ვთამაშობთ, განსაკუთრებით არც მაშინ ვცდილობთ ფეხებში ვარდნების შესრულებას.

- "ლივერპულის" რომელ მოთამაშეებს შეიყვანდით ხუთკაციან იდეალურ შემადგენლობაში?

- ჯერარდს, რეინას, კარაგერს, ჩაბი ალონსოსა და დირკ კუიტს. დირკი ფანტასტიკურია, მე ის ძალიან მომწონს. ყოველ ვარჯიშზე და ყოველ მატჩში ძალიან ბევრს მუშაობს. მაღალი დონის ფორვარდია და ტექნიკურადაც კარგად გამოიყურება.

- ამ სიაში თქვენი თავი არ შეგყავთ?

- არა, არავითარ შემთხვევაში.

ახალი მარგალიტი სამეფო კლუბში?

მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობა ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელების მოძიებას განაგრძობს. დედაქალაქურმა გრანდმა ამჯერად ესპანეთის 17-წლამდელთა ნაკრების ამომავალ ვარსკვლავს, **დანი აკინოს** დაადგა თვალი. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, გენერალური დირექტორის, **პრედრაგ მიატოვიჩის** განცხადებას გაგაცნობთ: *"17-წლამდელთა ნაკრების მთავარ ვარსკვლავად ბოიან კრკიჩი მიიჩნევა. ის მართლაც უნიჭიერესია, მაგრამ მსურს მოგახსენოთ, რომ ამავე გუნდში კიდევ არაერთი თვითნაბადი ტალანტი ირიცხება. გადავწყვიტეთ, რომ დანი აკინო შევიძენთ. [illegible] კუთრებაა, [illegible] ძალიან მალე ჩვენთან გადმობარგდება და სათადარიგო გუნდში ჩაირიცხება. [illegible] ურ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ. ფაქტობრივად, ყველა დეტალი შეთანხმებულია. საჭირო თანხას გადავიხდით და ფეხბურთელს პროფესიულ კონტრაქტს გავუფორმებთ. დარწმუნებული ვარ, აკინოს სახით "რეალს" უდიდესი ვარსკვლავი გაეზრდება".*

ახალი ვარსკვლავი

დოს სანტოსი ბარსელონის ერთგულია

ჯოვანი დოს სანტოსი მსოფლიო გრანდების ყურადღების ეპიცენტრში მოექცა. ცნობილია, რომ მასთან თანამშრომლობის სურვილი **ჟოზე მოურინიოს** გაუჩნდა. როგორც ჩანს, "ჩელსის" მესვეურები იმდენად გააქტიურდნენ, რომ მექსიკელი ფეხბურთელის მენეჯერი უკიდურესად შეშფოთდა. აი, რა განაცხადა **პინი ზაჰავიმ**: *"სიამაყითა და სიხარულით შემიძლია მოგახსენოთ, რომ ჯოვანი ფეხბურთის ბრილიანტია. სულაც არ მიკვირს, რომ უამრავი გრანდი ეპატიჟება. თუმცა თავად მან მითხრა, "ბარსელონაში" ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს და მსურს კარიერა აქ გავიკეთოო. კლიენტის სურვილიდან გამომდინარე, თავს ვალდებულებად ვთვლი, "ბარსას" ხელმძღვანელობა გავაფრთხილო: "ჩელსი" ძალიან აქტიურობს. დღე ისე არ ჩაივლის, არ დამირეკონ და ლონდონში არ დამპატიჟონ. ცხადია, ნათელია, რატომაც მიწვევენ. სურთ ფანტასტიკური პირობებით მოგვიბლონ. სხვათა შორის, ტელეფონით უკვე მითხრეს, რომ ზღაპრულ გასამრჯელოს გადაუხდიან. ვფიქრობ, კატალონიელებმა შესაბამისი ზომები უნდა მიიღონ. მართალია, ჯოვანის "ბარსაზე" ჭკუა ეკეტება, მაგრამ გამორიცხვით, ვერაფერს გამოვრიცხავთ. ხშირია შემთხვევები, როცა მდიდარი კლუბები ამა თუ იმ საშუალებით სასურველს მაინც აღწევენ. ვგონებ, კარგი იქნება, თუ ჩიკი ბეგირისტაინი ან ხოან ლაპორტა "არისტოკრატებს" დაურეკავენ და კატეგორიულად მოსთხოვენ, რომ აღარ შემეხმიანონ. ვიმეორებ, ისევ და ისევ, ჩემი კლიენტის ნება-სურვილიდან გამომდინარე ვმოქმედებ. პრაგმატული თვალსაზრისით, ნებისმიერ მენეჯერს გაუხარდებოდა ჯოვანი "ჩელსიში" რომ გადასულიყო, მაგრამ მე პატიოსანი ადამიანი ვარ. მოკლედ, კატალონიელებს ვაფრთხილებ, ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რათა "ჩელსიმ" უსიმოვნო სიურპრიზი არ შესთავაზოს".*

გუშინ საღამოს ესპანურმა საინფორმაციო სააგენტოებმა თავად ჯოვანის განცხადებაც გაავრცელეს. ახალგაზრდა მექსიკელი მენეჯერს ინფორმირებისთვის მადლობას უხდის და ამავდროულად ამბობს, რომ "ბარსას" არანაირი საფრთხე არ ემუქრება. დოს სანტოსმა "კამპ ნოუდან" არსად წამსვლელი არ ვარო...

ჭიდაობა

მსოფლიო ჩემპიონატი

თურმანიძემაც დაასახელა

ბაქოში, მსოფლიო პირველობაზე წასაყვანი შემადგენლობა "თავისუფალთა" თავკაცმა **ზაზა თურმანიძემაც** დაასახელა. იგი მთლიანად ვახტანგ ბალავაძის საერთაშორისო ტურნირის შედეგებს დაეყრდნო და ნაკრებიც იმ ხალხით დააკომპლექტა, რომლებმაც მაშინ კონკურენტებს აჯობეს: **გოჩა კირკიტაძე** (55), **მალხაზ ქურდიანი** (60), **ოთარ თუშიშვილი** (66), **გელა საღირაშვილი** (74), **რევაზ მინდორაშვილი** (84), **გიორგი გოგშელიძე** (96), **დავით მოძმანაშვილი** (მძიმე).

როგორც გითხარით, ამ მოჭიდავეებმა მსოფლიო პირველობაზე გამოსვლა შედეგებით დაიმსახურეს, მაგრამ კირკიტაძის, ქურდიანის და მოძმანაშვილის გამოჩენა მაინც რამდენადმე მოულოდნელია. ნამდვილად მისასალმებელია **გოჩა კირკიტაძის** შეუპოვრობა, რომელიც არა და არ ეპუება ასაკს - მისი აჩრდილი ნაკრებში მუდამ იგრძნობოდა. მაშინაც კი, როცა წონის სხვა ლიდერები წარმატებით ჭიდაობდნენ შინ თუ გარეთ. ისიც სათქმელია, რომ კირკიტაძე დღემდე ერთ-ერთი გერმანული კლუბის წევრია, ლეგიონერს კი ისე არავინ გააჩერებს, კონკურენტს თუ რამდენიმე თავით არ აღემატება. ერთი სიტყვით, ეს მხოლოდ ქებას იმსახურებს და ღმერთმა ქნას, საამისოდ ბაქოს შემდეგ კიდევ უფრო მეტი მიზეზი მოგვცეს.

ნამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ ნაკრებს ისევ დაუბრუნდა ბოლნისელი **მალხაზ ქურდიანი**. ვერ გეტყვით, მისი განვითარება რატომ შეჩერდა, მაგრამ რაც მისი ჭიდაობა მინახავს, ასეთ ჩავარდნას ვერც წარმოვიდგენდი. არადა, მისი ტექნიკური ილეთების კასკადი, შესაშური სისწრაფე თუ სხვა დადებითი სპორტული თვისებები არათუ საჭიდაო ლეიბზე, ძიუდოისტთა ტატამზეც კი შინახავს - ამ ორიოდე წლის წინ საქართველოს ჩემპიონატზე იასპარეზა და კინაღამ მედალი მოიპოვა... იმედია, ამჯერად ხანგრძლივად დაბრუნდება და არა დროებით.

დაბოლოს, **დავით მოძმანაშვილი**, რომელიც ახალ წონაში ახალ ტალანტად მოინათლა. საქართველოში იგი უკვე მყარად დამკვიდრდა წონის ლიდერად, მსოფლიო კი მის ხელშია. იგი ჯერ ძალზე ახალგაზრდაა და კვლავაც ბევრი რამ უნდა ისწავლოს. არადა, მონაცემები ნამდვილად გააჩნია. მსოფლიოს ჩემპიონატზე იგი პირველად იჭიდავებს.

რაც შეეხებათ დანარჩენებს, მათ ლიდერობა დიდი ხნის წინ დაიმკვიდრეს და ნაკრებში მოხვედრა გასაკვირი არაა.

თურმანიძე და მისი რჩეული შვიდეული ბაქოში 16 სექტემბერს გაემგზავრება, "თავისუფალთა" ტურნირი კი 19-დან იწყება. ტურნირს "ანტიკოსები" იწყებენ 17 სექტემბერს - პირველად 55, 60 და 66 კილოგრამი წონითი კატეგორიების ფალავნები იჭიდავებენ, 18-ში - 74, 84 და 96-ისა. 19-ში "ანტიკოსთაგან" ხალიჩაზე მძიმეწონოსნები გავლენ, იმავე დღეს იჭიდავებენ "თავისუფლებიც" - 55 და 60-ის ფალავნები. 20-ში მედლებისთვის 66, 74 და 84-ის წარმომადგენლები იბრძოლებენ, 21-ში - 96-ისა და მძიმე წონების.

ამასობაში შემადგენლობები რუსეთის ნაკრების ხელმძღვანელებმაც დაასახელეს. "თავისუფალთა" ტურნირში ისინი უძლიერესი შემადგენლობით გამოვლენ: ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **ბესიკ კუდუხოვი** (55); ოლიმპიური ჩემპიონი **მევლატ ბატიროვი** (60); მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, კონტინენტის წლევანდელი პირველობის ვერცხლის პრიზიორი **ირბეკ ფარნიევი** (66); მსოფლიოსა და ევროპის 3-გზის ჩემპიონი **მახაჩ მურთაზალიევი** (74); ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **გიორგი კეტოევი** (84); ოლიმპიური, ევროპის 3-გზისა და მსოფლიოს 2-გზის ჩემპიონი **ჰაჯიმურატ გაცალოვი** (96); ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონი **ბილალ მახოვი** (120).



მძიმე წონაში
დავით მოძმანაშვილი იჭიდავებს

რუსი "ანტიკოსები" ასეთი შემადგენლობით გამოვლენ: რუსეთის ჩემპიონი **ნაზირ მანკიევი** (55); ასევე ქვეყნის ჩემპიონი **ისლამბეკ ალბიევი** (60); ქვეყნის პრიზიორი **ამბაკო ვაჩაძე** (66); რუსეთის ჩემპიონი **ევგენი პოპოვი** (74); ოლიმპიური ჩემპიონი **ალექსეი მიშინი** (84), ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორი **ვასილი ტეპლოუხოვი** (96) და ოლიმპიური ჩემპიონი **ხასან ბაროევი** (120). ამათგან მანკიევი, ალბიევი, ვაჩაძე და პოპოვი დებიუტანტები არიან, თუმცა რუსებს არ აშინებთ და ამბობენ, რომ ოდესღაც ყველა მომავალი დიდი სპორტსმენი დებიუტანტი იყო. რუსთა ნაკრების ქართველი მწვრთნელი **გოგი კოღუაშვილი** ბაქოში ოთხი მედლის მოპოვებას გეგმავს. მათ შორის, ორი ოქროსას. ბუნებრივია, იგი არც სხვების ოქროს იუარებს, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ეტაპზე საჩემპიონოდ მიშინსა და ბაროევს განიხილავს.

ირაკლი თავაძე

ძიუდო

მსოფლიო ჩემპიონატი

ყველანი რიოში!

ხვალ, რიო დე ჟანეიროში, ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს დელეგაციის დარჩენილი ნაწილიც მიემგზავრება, რომელშიც ქალთა ნაკრების წევრებიც არიან - **დუსკა ქერიმოვა** (57), **თინათინ ქულოსაშვილი** (63) და **ირინე ლეონიძე** (+78).

კაცთა ნაკრები უკვე ბრაზილიაშია, ოღონდ ჯერ სან პაულოში, სადაც ერთობლივ შეკრებას გადის. ჩვენი ნაკრების შემადგენლობა ასეთია: **ნესტორ ხერგიანი** (60), **ზაზა კედელაშვილი** (66), **დავით ქევხიშვილი** (73), **გიორგი ბაინდურაშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100), **ლაშა გუჯეჯიანი** (+100) და **ზვიად ხანჯალიაშვილი** (აბსოლუტური).

მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენების გამოსვლის განრიგი ასეთია: 13-ში ჟორჟოლიანი, გუჯეჯიანი და ლეონიძე იჭიდავებენ. მეორე დღეს ტატამზე ცირეკიძე, ბაინდურაშვილი და ქულოსაშვილი გავლენ, 15-ში კედელაშვილი, ქევხიშვილი და ქერიმოვა, ბოლო დღეს კი ხერგიანი და ხანჯალიაშვილი იჭიდავებენ.

რევოლუცია

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე სამი დღით ადრე მოულოდნელად გადადგა ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის კორეელი პრეზიდენტი **პარკ იონ-სეონი** და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობაც დატოვა. ამის ოფიციალური მიზეზი პარკ იონ-სეონის ბიზნესში გადართვაა (ის ცნობილი კორეული "დუსან" ჯგუფის ხელმძღვანელია), ხოლო არაოფიციალურად გადადგომას ძიუდოს ევროპულ ფედერაციებთან გართულებულ ურთიერთობას მიაწერენ. მის მაგივრად სათავეში სწორედ ევროპელი მოვიდა, ბრაზილიაში ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა თანამდებობაზე აირჩია აირჩია რუმინელი **მარიუს ვიზერი**, რომელიც ევროპის ძიუდოს კავშირის პრეზიდენტია.

სუმო

პირველი მარცხი

აკი ბაშოს მეორე დღეს **ლევან ცაგურიამ (კოკაი)** მარცხი განიცადა მე-13 მაეგაშირა **რიუოსთან** წააგო. რიუო მხოლოდ მესამე ტურნირია ელიტაში, ასე რომ ყოფილი კომუსური კოკაი მას არ შეხვედრია. მონღოლი 24 წლისაა და სულ რაღაც 176 სანტიმეტრია სიმაღლეში. მიუხედავად ამისა, ის კოკაის მედგრად მიაწვა და დოჰიოდანაც ქართველის საყვარელი ოშიდაშით მოისროლა. კოკაის 1-1 ბალანსი აქვს, დასანანია, რადგან ის ხომ შედარებით სუსტ მეტოქეებს ხვდება. დღეს კოკაის მეტოქე მე-14 მაეგაშირა **კიტაძაკურაა**, რომელმაც პირველი ორი მარცხი განიცადა. კიტაძაკურა 36 წლის ვეტერანია, მას კოკაი კარიერაში ერთხელ შეხვდა და მოუგო.

ბაშოს მეორე დღეს პირველი გამარჯვება იზეიმა იოკოძუნა **ჰაკუჰომ**, რომელმაც პირველი მაეგაშირა **ტოკიტენკუ** დაამარცხა. დაუმარცხებელი ოძეკი **კოტომიცუკი**, რომელიც ამ რანგში პირველ ტურნირს ჭიდაობს. მაკუშიტას დივიზიონში მოასპარეზე ქართველები გუშინ ისვენებდნენ.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, საქართველოს ნიჩბოსნობისა და კანოეს ეროვნული ფედერაცია, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად, 58 წლისა გარდაიცვალა სახელოვანი ვეტერანი ნიჩბოსანი, ევროპის პრიზიორი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს ნიჩბოსნობისა და კანოეს ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი

გივი ნიკურაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 11, 12.09; 16 სთ. გამოსვენება 13.09, 15 სთ. მისამართი: რჩეულიშვილის, 9.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს წარსულში ცნობილი ნიჩბოსნის, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებების არაერთგზის გამარჯვებულისა და პრიზიორის, 1976 წელს მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში სსრ კავშირის ნაკრების სათადარიგო წევრის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, საქართველოს ნიჩბოსნობისა და კანოეს ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის

გივი ნიკურაძის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

ჭრიკვი

პრესკონფერენცია

ვერცხლი კარგია, მომავალში მეტი გვინდა!

საქართველოს კრივის ფედერაციის მიერ გუშინდელი პრესკონფერენცია ძირითადად ეძღვნებოდა ახლახან დასრულებულ კადეტთა მსოფლიო ჩემპიონატს, სადაც რომან თავაძემ (70 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა.

რომან თავაძე

პეტრე ციხკარიშვილი, **საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტი:** - სასიხარულო და საამაყოა, რომ ჩვენმა მოკრივემ ვერცხლის მედალი მოიპოვა. ეს იყო ძალიან სერიოზული შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდა 40 ქვეყნის 212 მოკრივე.

მსოფლიო ჩემპიონატს წინ უძღოდა სასწავლო-საწვრთნელი შეკრება თბილისში, სადაც ჩვენი ნაკრების მწვრთნელებმა 20 მოკრივედან შეარჩიეს 9. რა თქმა უნდა, მეტის სურვილი კი გვქონდა, მაგრამ სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, ასეთი დონის შეჯიბრებაზე, რომან თავაძის ფინალში გასვლაც არაა ურიგო შედეგი. თუმცა მომავალში მხოლოდ ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ და წინ კიდევ დიდი სამუშაო გვაქვს. ჩვენ გვაქვს სერიოზული პოტენციალი, რომელიც ბოლომდე უნდა გამოვიყენოთ.

პარალელურად, პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება ჩვენი ეროვნული ნაკრები. გუნდმა უკვე იასპარეზა რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში და ახლა ორ დასკვნით შეკრებას გაივლის.

აქვე, მადლობას ვუხდი სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, რომელიც მაქსიმალურად გვიდგას მხარში.

დავით ნამგალაური, **სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე:** - ვულოცავ რომან თავაძესა და კრივის ფედერაციას ესოდენ საპატიო ჯილდოს. ჩვენ ვართ უშუალო დამკვირვებლები იმ პროცესების, რომლებსაც, ქართველოს კრივის ფედერაცია ახორციელებს. ის საკმაოდ წარმატებულად მუშაობს, მისასალმებელია ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოსაჩენი პროგრამა...

დამთავრდა უსაფუძვლო თეორიები იმის შესახებ, თითქოს მზად არ ვართ მსოფლიოს უდიდესი შეჯიბრებებისთვის და ბავშვებს ტყუილად ვაცემინებთ უცხოელებს. თუმცა, რასაკვირველია, სამუშაოც ბევრია. ნლეულს თუ მხოლოდ ცხრა მოკრივე წავიდა მსოფლიო ჩემპიონატზე, შემდგომში ყველა წონით კატეგორიაში უნდა გვყავდეს წარმომადგენელი.

მისასალმებელია, რომ სხვა სახეობების მსგავსად, კრივშიც მოვაგვარეთ გადაზრდილების პრობლემა. მართალია, სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოურ რესპუბლიკებში კვლავ იყენებენ ასაკგადაკეთებულ სპორტსმენებს, მაგრამ ეს ნაკლებად გვადარდებს. მხოლოდ შედეგებზე რომ ვაკეთებდეთ აქცენტს, ჩვენც წავიყვანდით გადაზრდილებს, მაგრამ ისევ სპორტსმენებისა და მთლიანად ქართული სპორტის მომავლისთვისაა კარგი, რომ ყველამ ნაღდი ასაკით იასპარეზოს.

თავაძის წარმატებას დაემთხვა ერთი სასიამოვნო სიურპრიზი, რომელსაც კრივის ფედერაციას ვთავაზობთ. უკვე ჩამოტანილია და საწყობში გვაქვს ორი ახალი ოლიმპიური რინგი, რომლებზეც დიდი მოთხოვნა იყო. ასეთ რინგებზე ტარდება მსოფლიოს უდიდესი შეჯიბრებები. ორივე რინგს ვაძლევთ კრივის ფედერაციას, რომელიც თავად გადაწყვეტს, თუ რომელ დარბაზებში გადაანაწილებს.

ვლადიმერ ახალკაცი, **საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალური მდივანი:** -

რომან თავაძემ ურთულესი გზა გაიარა ფინალამდე. ამჟამად სამოყვარულო კრივში დომინირებენ რუსები, კუბელები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები და ყაზახები. თავაძეს სწორედ ასეთი გრანდების წარმომადგენლებთან მოუწია შეხვედრებმა. მან ჯერ უკრაინელი დაამარცხა, მერე აზერბაიჯანელი და ყაზახი, ფინალში კი კუბელთან წააგო.

რამაზ ნიკოლაძე, **კადეტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი**: - თავაძემ ფინალის პირველი რაუნდი მოუგო კუბელს. თუმცა მერე თავი იჩინა მეტოქის უფრო მაღალმა კლასმა. ამასთან, პლატ რეი ფინალამდე საკმაოდ იოლად მოვიდა, როცა თავაძეს უძლიერეს მეტოქეებთან უხდებოდა ბრძოლა, რამაც დიდი ენერგია წაართვა.

ჩვენი გუნდი თითქმის ბოლომდე 1991-92 წლებში დაბადებული მოკრივეებით იყო დაკომპლექტებული. თავაძე 1990 წელსაა დაბადებული და შესაბამისად, ყველაზე უკეთ გამოვიდა. ამ ასაკში, ერთ წელსაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს.

სამწუხაროდ, მცირე დაუდევრობის მსხვერპლი გახდა გელა აბაშიძე, რომელმაც წონა ვერ ჩააბარა და შეჯიბრებიდან მოიხსნა. მას აწონვის წინა ღამეს ვერ მოუთმენია და ჩუმად წყალი დაულევია, რაშიც მაშინღა გამოგვიტყდა, როცა უკვე გვიან იყო. ამის გამო, დასაშვებზე 200 გრამით მძიმე აღმოჩნდა. ისე, აბაშიძემ პირველ შეხვედრაში დამაჯერებლად მოუგო თურქს.. ასევე გვეიმედებოდა მოსწავლეთა შორის შარშანდელ ევროპის ჩემპიონ ჯაბა ხოსიტაშვილის. თუმცა იგი კადეტებში ევროპის მოქმედ ჩემპიონ უკრაინელს შეხვდა და დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა.

პირობების მხრივ, პროგრესი აშკარაა, მაგრამ აუცილებლად გვჭირდება საერთაშორისო ტურნირებიც. ისე გამოვიდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე პირდაპირ საქართველოს პირველობიდან წავიყვანეთ მოკრივეები. წლეულს, რასაკვირველია, აქცენტი კეთდება ეროვნულ ნაკრებზე და ასეც უნდა იყოს. ვიმედოვნებ, მომავალი წლიდან, არც ჩვენ გვექნება საერთაშორისო ტურნირების პრობლემა.

რომან თავაძე: - ძალიან ძლიერი შეჯიბრება იყო, სადაც უსერიოზულეს მეტოქეებთან მომიხდა ბრძოლა. შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ, რასაკვირველია, ჩემპიონობა სჯობდა. ფინალში კუბელ მეტოქესთან საკმაოდ გამიჭირდა და წავაგე. არა უშავს, მჯერა, ის დროც დადგება, რომ კუბელსაც მოვუგებ.

კობა ხატისაშვილი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

აზოტში სერიოზული ცვლილებებია

მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრების მეორე მწვრთნელი დავით უსტიაშვილი რუსთავის "აზოტის" თავკაციცაა. იგი კლუბს ფინეთთან მატჩის შემდეგ შეუერთდა და ევროთასისთვის ამზადებს. ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დასაწყისში რუსთაველებს ორი მნიშვნელოვანი მატჩი ელით ჰოლანდიურ "ამსტერდამ ასტრონავტსთან". ამ სეზონის წინ "აზოტში" სერიოზული საკადრო ცვლილებები მოხდა. გუნდი დატოვეს კოტე ტულუშმა, გიორგი მარკოიშვილმა, ვაკო ბეჟანიშვილმა, დავით უგრეხელიძემ და ლაშა გამყრელიძემ. მათ შემცვლელებსა და "აზოტის" სადღეისო შემადგენლობაზე მთავარი მწვრთნელი დავით უსტიაშვილი გვესაუბრება:

- დავიმატეთ ნაკრების ორი წევრი ზვიად ბაბიაშვილი და ბესიკ ლეჟავა. ზვიადი წინა ხაზში სერიოზული ძალაა, ხოლო ბესო პერსპექტიული ბიჭია. ნელ-ნელა უმატებს და დროა დიდი კალათბურთი ითამაშოს.

- მათ გარდა "აზოტში" ვინ ვარჯიშობს?

- ძველი შემადგენლობიდან გუნდში დარჩნენ გოგა ცეკვავა, გეგი ლიპარტელიანი, მიხეილ ჭოჭუა, ანატოლი ბოისა, რამაზ გოგობერიშვილი, რეზო დიდია და ჟულიეტ ტუჯანი. შეიძლება შემოგვემატოს იური დანელიანიც. ასეთია სადღეისო მდგომარეობა. რა იქნება ხვალ, მომავალი გვიჩვენებს.

- ევროთასისთვის საბოლოო შემადგენლობას როდის შეარჩევთ?

- ამ ტურნირისთვის განცხადების შევსების ბოლო ვადა 14 სექტემბერია. მას მერე უფრო ვრცლად და ამომწურავად შემეძლება შემადგენლობაზე საუბარი.

უსტიაშვილს გუნდში ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა ბესიკ ლეჟავა უნდა იყოს. მწვრთნელმოთამაშე ერთმანეთს დიდი ხანია იცნობს: ერთად მუშაობდნენ "აკადემიაში", თსუ-ში, ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებში. ახლა ლეჟავას მოვუსმინოთ, რომელიც "აზოტში" იმედებით აღვსილი გადავიდა.

- რუსთავის "აზოტში" ერთი კვირაა, რაც ვვარჯიშობ. ჩემთან ერთად გუნდში ერთი ახალწვეულია, ზვიად ბაბიაშვილი, შეიძლება მომავალში კიდევ ვინმე დაგვემატოს. ვფიქრობ, საქართველოს პირველობაზეც ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი გვეყოლება და არც ევროთასზე შევირცხვენთ თავს.

- "აზოტის" ხელმძღვანელები ისევ ჩემპიონობას ითხოვენ?

- საჩემპიონო გუნდი გვყავს და ტიტულის შენარჩუნებაზე ვიზრუნებთ. ყოველ შემთხვევაში, როცა ამბიციურ კლუბში გადადიხარ, მიზნად ყოველთვის უმაღლეს მიზანს ისახავ.

- შენს რუსთაველ თანაამპლუელებზე რას იტყვი?

- საკმარისად გამოცდილები ვართ. ანატოლი ბოისა ეროვნული გუნდის წევრია, მიხეილ ჭოჭუამ ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატი ითამაშა, ხოლო რამაზ გოგბერიშვილი ჩვენს ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე ასაკოვანია.

- დავით უგრეხელიძის წასვლის შემდეგ, ნორმალური ცენტრის გარეშე დარჩით.

- ამ პოზიციაზე თავსკარგად გრძნობს ჟულიეტ ტუჯანი, მეოთხე ნომრის ამპლუიდან მას რეზო დიდია და ზვიად ბაბიაშვილი დაეხმარებიან. ასე რომ, ურიგო გუნდი არ უნდა გვყავდეს.

- ნაკრებთან ერთად შეკრების პირველი დღიდან ბოლო მატჩამდე იყავი...

- როგორც სხვებს, მეც ძალიან მწყდება გული. ისლანდიაში მოგებული თამაში წავაგეთ. ის რაც ბოლო წამებზე მოხდა, მილიონში ერთხელ თუ მეორდება. ნაკრებთან ერთად ვარჯიში ჩემთვის წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამ სეზონში გაცილებით მეტი დატვირთვით სამუშაოდ დამატებითი სტიმული მომცა.

ბესიკ ლეჟავა

- ოფიციალურ მატჩებში მოედანზე არ გამოჩენილხარ. გული ხომ არ დაგწყდა?

- ნამდვილად მეწყინა. გუნდთან ერთად ერთი თვე ვვარჯიშობდი და იმედი მქონდა, რომ მწვრთნელი ლუქსემბურგთან მაინც მენდობოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, წელს ბევრს ვიშრომებ, რომ გაისად ნაკრებში არა მხოლოდ ვივარჯიშო, არამედ ვითამაშო კიდეც.

ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ცქიტიშვილის დებიუტი ხუთი ქულით

ᲜᲘᲙᲐ ᲪᲥᲘᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ იტალიაში ჩასვლის შემდეგ მისმა ახალმა კლუბმა "ტერამომ" პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. "ტრიკოლის" არენაზე მასპინძელმა "პრემიატამ" ტერამოლები 81:70 დაამარცხა. სტუმართა რიგებში სნაიპერი **ბრაუნი** გახდა (20 ქულა), რომელსაც 5 ქულით თურქი **თუქერი** ჩამორჩა, ნიკა ცქიტიშვილმა კი 5 ქულა ჩაიწერა. ეს გახლდათ სკიტას (განაცხადში სწორედ ასე ეწერა) პირველი მატჩი 15 მაისის შემდეგ და უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი მონაგარს ნელ-ნელა გაუმჯობესებს.

ცქიტოზე სათქმელი მეტი არაფერია. სამაგიეროდ "პრემიატა"-"ტერამოს" დაპირისპირება მოითხოვს ერთი აბზაცის დათმობას. მეტისმეტად საინტერესო გამოდგა პირველი ტაიმი - საწყისი 10 წუთი ცქიტოს თანაგუნდელებმა 22:11 მოიგეს, ხოლო მეორე მეოთხედში "პრემიატამ" მეტოქეს სეტყვა დაატეხა - 32:3. მეორე ტაიმში თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა და, როგორც დასაწყისში ვთქვით, მასპინძლებმა 81:70 იმარჯვეს.

"ტერამო" მორიგ მატჩს "ტერკასის თასის" ეგიდით 14 სექტემბერს ჩაატარებს. მისი მეტოქესალონიკის "არისი" იქნება (**გორდონ ჰერბერტის** გუნდი). 15 სექტემბერს ლიტვის "ჟალგირისი" გამოცდის, ხოლო 16-ში - თურქული "ბეშიქთაში".

ბოისა თურქების გარემოცვაში

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡ მატჩის დასრულებისთანავე **ვლადიმერ ბოისა** სლოვენიაში გაფრინდა, საიდანაც იტალიის ქალაქ ბორმიოში გადავიდა და ვლადივოსტოკის "სპარტაკ-პრიმორიეს" შეუერთდა. ვოვამ თანაგუნდელები პირდაპირ მოედანზე გაიცნო - იტალიაში ჩასვლის დღეს პრიმორიელები თურქულ "ეფესს" დაუპირისპირდნენ და 62:73 დამარცხდნენ. მეორ ედღეს ბოისას თანაგუნდელები მეორე თურქულ კლუბს, "ტურკ ტელეკომს" გაეჯიბრნენ და წინა მატჩში წაგების გამო შური თურქეთის ბრინჯაოს მედალოსანზე იძიეს - 88:87.

ვოვა ბოისამ სადებიუტო შეხვედრაში 10 ქულა ჩააგდო, მეორეში - 15. "ეფესთან" "პრიმორიეს" პირველ ტაიმში ძალიან გაუჭირდა. პირველი მეოთხედის ბოლოს და მეორის დასაწყისში ბოისამ მწვრთნელებს დაანახვა, რომ ფარქვეშ თამაშის გარდა პერიმეტრიდან ტყორცნაც კარგად შეუძლია - ორი სამქულიანი ჩააგდო. ამისდა მიუხედავად, რუსებმა პირველი ტაიმი 22:33 წააგეს, მეორე ნახევარში ბევრს ეცადნენ, მაგრამ თამაშის შემოტრიალება ვეღარ შეძლეს.

პრიმორიელთა რიგებში სნაიპერი **ჯეი არ ბრემერი** გახდა (14 ქულა), მეორე ქართველი ფორვარდი იყო - 10 ქულა. ვოვამ მატჩის შემდეგ ასეთი კომენტარი გააკეთა: *"დამიჯერეთ, ძალიან დავიღალე. საქართველოს ნაკრებთან ერთად საკვალიფიკაციო ტურნირი ახლახან დავასრულე, რის შემდეგაც სლოვენიაში დავბრუნდი. ლუბლიანადან ბორმიომდე 7 საათის განმავლობაში ვმგზავრობდი და მოედანზე გასვლა გუნდთან შეერთებიდან რამდენიმე საათში მომიწია. შეიძლება სწორედ დაღლილობის გამო ავაცილე 2-3 ტყორცნა. რაც შეეხება გუნდს, "პრიმორიეს" თამაშით კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, წელს მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა შეგვეძლება.*

მეორე მატჩში - "ტურკ ტელეკომთან" ვოვა ბოისამ 15 ქულა ჩააგდო. ეს შეხვედრა გაცილებით საინტერესო გამოდგა: პირველი მეოთხედი რუსებმა მოიგეს - 26:15. მესამე პერიოდში ზედიზედ ჩაგდებული სამი სამქულიანის შემდეგ "პრიმორიემ" 10-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა. 68:58.

როგორც რუსი ჟურნალისტები იუწყებიან, მატჩის ბოლოს მსაჯები თურქებს ემხრობოდნენ და თემიდელების წყალობით ტელეკომელები საფინალო სირენამდე წუთით ადრე 85:78 დაწინაურდნენ. როგორც ჩანს, არბიტრების არაობიექტურობამ "პრიმორიელები" გვარიანად გააცხარა და ბოლო წუთზე ჯერ ბოისამ ჩააგდო ორქულიანი, შემდეგ ლევტერმა - ორი სამქულიანი, ხოლო მატჩის დასრულებამდე 4 წამით ადრე ბრემერმა ორი ზუსტი საჯარიმოთი თანაგუნდელებს გამარჯვება მოუტანა - 88:87.

ლაშა გამყრელიძე ფინეთთან მატჩში

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲚᲐᲨᲐ ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ

ისლანდიასთან უნდა მეთამაშა

ᲕᲐᲙᲝ ᲑᲔᲟᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ **და გიორგი მარკოიშვილის შემდეგ "აზოტიდან" "ვითაში" ლაშა გამყრელიძე გადავიდა. მასთან საუბრისას ახალ კლუბსაც შევეხეთ და ეროვნულ ნაკრებსაც. მკითხველს შევახსენებთ, რომ საქართველო-ფინეთის თბილისური მატჩის ბოლო წუთების ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა სწორედ ლაშა იყო. მან სირენამდე 2 წუთით ადრე სამქულიანი ჩააგდო და ტაბლოზე 77:71 დააფიქსირა. დარჩენილ დროში სტუმრებმა 5 ქულის მოგროვება მოახერხეს და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა - 77:76.**

გამყრელიძის მაგალითზე ნათლად გამოჩნდა, რომ საქართველოს ჩემპიონატის კალათბურთელები ჩამოსაწერები არ არიან და ნაკრების მწვრთნელებს მათზე დაკვირვებაც სჭირდებათ.

-ყოველთვის ვამბობდი, რომ საქართველოს პირველობის მოთამაშეები ეროვნულ გუნდში მეტ ყურადღებას იმსახურებენ. ნაკრების წევრებს შორის მიდგომაში განსხვავება არ უნდა იყოს. არ ვამბობ, ლეგიონერებს ვჯობივართ-მეთქი, მაგრამ შედეგი მაშინ გვექნება, როცა განაცხადში მოხვედრილ კალათბურთელს თავისი ფუნქცია ექნება. უსაქმოდ არავინ უნდა იყოს. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ისლანდიაში თამაშის ხუთ კაცზე გადატარება შეცდომა იყო.

- ისლანდიაში ნაგებას შენც მწვთნელს აბრალებ?

- ყველაფრის ერთ კაცზე გადაბრალება არ შეიძლება, მაგრამ მინდა გავიხსენო მატჩები დანიის, პორტუგალიის, რუმინეთის, მაკედონიისა და ბრიტანეთის წინააღმდეგ, რომლებშიც 12 თუ არა, 10-11 კალათბურთელი მუდმივად თამაშობდა. საკონტროლო მატჩებში სხვებთან ერთად გუნდის სქემაში მეც მქონდა საკუთარი ფუნქცია, საშუალოდ 20 წუთს მაინც ვთამაშობდი.

- ისევე რომ გეთამაშათ, როგორც მანამდე, ისლანდიაში გაიმარჯვებდით?

- თამამად შემიძლია ვთქვა, რომ წელს ფლეი ოფში გასვლა ნამდვილად შეგვეძლო. ისეთი გუნდი გვყავს, რომ ფინეთთან და ისლანდიასთან წყნარად უნდა მოგვეგო. ბოლო წამებამდე საქმე არ უნდა მიგვეყვანა, მაგრამ როცა მივიდა, კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ბედი არ გვაქვს. ზოგი ამბობს, რომ A დივიზიონის ღირსები არ ვართ. დამიჯერეთ, A ლიგაში ჩვენზე გაცილებით სუსტი ნაკრებებიც თამაშობენ...

- ზაზამ თქვა, ოპტიმალურ ფორმაში ჩადგომა ვერ მოვახერხეო. შენ თუ იყავი სათანადო კონდიციებში?

- გამოგიტყდებით, შესანიშნავ ფორმაში შეკრების დასაწყისში, ბულგარეთის ტურნირზე ვიყავით. მას შემდეგ, მაგალითად, მანუჩარ მარკოიშვილმა კონდიციები გაიუმჯობესა და ავსტრიასთან მატჩისთვის სათანადოდ იყო მზად. ზაზა ფაჩულია კი ფორმაში ვერ შევიდა, ოღონდ, რატომ, ეს მას უნდა ჰკითხოთ.

- ფინეთთან მატჩში გამოჩნდა, რომ არც შენ იყავი ურიგო ფორმაში.

- ფინეთთან და ლუქსემბურგთან ისევე ვითამაშე, როგორც მოსამზადებელი ეტაპისას. ავსტრიასთან კი მწვრთნელი მხოლოდ 5 წუთით მენდო, რამაც ძალიან გამაკვირვა, თუმცა მისთვის არაფერი მითქვამს. რადგან ავსტრიელები დავამარცხეთ და გახარებული ვიყავი. ისლანდიური მატჩის შემდეგ კი ვკითხე - რატომ არ მენდეთ-მეთქი. მიპასუხა - ვეღარ გავრისკეო... ამ საუბრის მერე ვგრძნობდი, რომ ფინეთთან დაპირისპირებაში მწვრთნელი საკმარის სათამაშო დროს მომცემდა. ასეც მოხდა და მატჩში ჩართვა არ გამჭირვებია. გამიადვილდა დრაფტზე ახლახან არჩეული კოპონენის მეურვეობა, რომლის წინააღმდეგ ახალგაზრდულ ნაკრებში მითამაშია და კარგად ვიცნობდი. შეტევაშიც თავისუფლად ვთამაშობდი, ერთადერთი ჯარიმების ტყორცნისას ვღელავდი.

- გადამწყვეტ მომენტში სამქულიანის ტყორცნა როგორ გარისკე?

- ვიდრე ბურთს მივიღებდი, მანამდე მქონდა გადაწყვეტილი მეტოქის კალათისკენ ბურთის ტყორცნა. იმ მომენტში ზაზასთან ორი ფინელი მივიდა, წამით თავისუფალი დავრჩი და პასი მოვთხოვე. მანაც არ დაახანა და როგორც შემდეგ აღმოჩნდა ქართველთა მხრიდან ბოლო ქულები ჩაიწერე.

- დღევანდელი გადმოსახედიდან ნაკრების მომავალს როგორ ხედავ?

- მთავარია ყურები არ ჩამოვყაროთ. ჩვენი ნაკრები ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდულია და ყველაფერი წინ გვაქვს. ყოველდღიურად მეტს ვსწავლობთ, გამოცდილება გვემატება და ეს არ შეიძლება გაისად არ დაგვეტყოს. მომავალ შესარჩევ ციკლში ერთი-ორად ძლიერები უნდა ვიყოთ. თუკი მწვრთნელი გაისადაც დამიძახებს, ჩემს ფუნქციას მონდომებით და ხარისხიანად შევასრულებ.

- ახლა "ვითაზეც" თქვათ...

- მქონდა სხვადასხვა ვარიანტი, მათ შორის უცხოეთიდანაც, მაგრამ "ვითადან" იმდენად მიმზიდველი წინადადება მივიღე, რომ ამ გუნდში გადასვლა-არგადასვლის თაობაზე ბევრი არც მიფიქრია.

- რა მიზნები გექნებათ?

- იყო საუბარი უცხოელების ჩამოყვანაზეც... აქედან ნათლად ჩანს, რომ გუნდი ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. გარდა ამისა, შემადგენლობა ისედაც საჩემპიონოა.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲢᲧᲔᲨᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ჩოგბურთი

ბორჯომის თასი

პირველ რვეულში კარგი ნიშნები გვაქვს



ეკა გორგოძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

"ბორჯომის თასის" პირველ წრეში ექვსმა ქართველმა ითამაშა, აქედან ოთხმა - ერთმანეთში: **სალომე ჩაჩხუნაშვილი ნინო მებუკეს** დაუპირისპირდა, **სოფიო შაფათავა** კი **მაგდა ოქრუაშვილს**. ამ წყვილებში ფავორიტებმა იმარჯვეს: ჩაჩხუნაშვილმა მებუკე ორ სეტში ძალზედ იოლად დაამარცხა - 6:1; 6:2; შაფათავამ კი ოქრუაშვილთან საკმაოდ ღვარა ოფლი - პირველ სეტში ტაი-ბრეიკზე იმარჯვა - 7:6 (7); 6:1.

თათია მიქაძე რუს **დარია შელინას** ხვდებოდა, რომელმაც კვალიფიკაცია გაიარა. მიქაძემ ერთი ამოსუნთქვით მოიგო და შანსი არ მიუცია რუსისთვის - 6:1; 6:2. ასეთივე წარმატებული იყო **ეკა გორგოძე,** რომელმაც უკრაინელ **ქსენია ლოპინას** დაახრევინა ჩოგანი - 6:0; 6:4.

გუშინ სულ 8 მატჩი გაიმართა. ქართველებს საწუწუნო არაფერი გვაქვს და იმედია, დღესაც ასე იქნება - დღეს დარჩენილი 8 მატჩიც შედგება და ექვსი ქართველი ჩოგბურთელი გავა კორტზე; ყველას მეტოქე უცხოელია: **მარიამ ქურდაძე** უკრაინელ კატერინა მალახოვას ხვდება; **სოფიკო ქვაცაბაია** რუს ჟანა პამფელკინას დაუპირისპირდება; **ანა ჯიქიას** მეტოქე სომეხი ოფელია პოღოსიანია, **თინათინ ყავლაშვილს** კი ბელარუსი, მეხუთე ნომრად განთესილი ალექსანდრე მალიარჩიკოვა შეხვდება. **თეონა ცერცვაძე** უკრაინელი იულია კირილენკოს დამარცხებას ეცდება.

აქვე გეტყვით, რომ ტუირნირის პირველმა ნომერმა **ელიზავეტა ტოჩილოვსკაიამ** ჩეხი **ალენა ნოგოლოვა** ორ სეტში - 6:4; 6:2 დაამარცხა; მეოთხე ნომერმა აზერბაიჯანელმა **ელინა ჰასანოვამ** რუს **ირინა კოტკინას** მოუგო - 6:4; 6:3; მესამე ნომერმა რუსმა **ავგუსტა ციბიშევამ** სომეხი **ანა მოვსესიანი** დაამარცხა - 6:3; 6:1.

წყვილთა შეხვედრებიც გაიმართა. წმინდა ქართული წყვილი აქ ოთხია, ორიც - შერეული, მაგრამ გუშინ მხოლოდ ერთმა ითამაშა - სალომე ჩაჩხუნაშვილისა და თეონა ცერცვაძის ტანდემმა რუსული წყვილი - ვლადლენა პეტუშკოვა-ეკატერინა პროზოროვა დაამარცხა - 6:4; 6:2.

დღეს **მანანა შაფაქიძე-ავგუსტა ციბიშევა** ბელარუსებს - **იმა ბონუშვოლჰა-დუკოს** ხვდებიან; მარიამ ქურდაძე და მაგდა ოქრუაშვილი უკრაინელებს - **ელიზავეტა რიბაკოვა-ლესია ცურენკოს** წყვილს დაუპირისპირდება. ქალთა მონაწილეობით დარჩენილი წყვილები ასე გამოიყურება: თინათინ ყავლაშვილი-სოფიკო შაფათავა - ოფელია პოღოსიანი-ელიზავეტა ტოჩილოვსკაია; ანა ჯიქია-ნინო მებუკე - ეკატერინა გორგოძე-ვიქტორია ემილიანავა.

თამაშები დილის 10 საათიდან იწყება.

ზვიად შათირიშვილი

ქალთა პროგრესი აშკარაა



სოფიო შაფათავა 92 ადგილით დაწინაურდა

გუშინ, ორკვირიანი შესვენების შემდეგ, ATP-ის და WTA-ის ახალი რეიტინგლისტები გამოქვეყნდა. გთავაზობთ ქართველ ჩოგბურთელთა დღევანდელ მდგომარეობას მსოფლიო კლასიფიკაციაში.

ვაჟებში ცვლილება უმნიშვნელოა, საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ლადო ჩიხლაძემ** სამი ადგილით დაიხია უკან და ახლა 84 ქულით მსოფლიოს 388-ე ჩოგანია. უქმად მყოფი **ირაკლი ლაბაძეც** ნელნელა თმობს ისედაც შერყეულ პოზიციებს, ირაკლი 14 ქულით 830-ე (-6) პოზიციაზეა. სიაში კიდევ სამი ქართველია, თუმცა მათი მონაგარი სიმბოლურია: **ნოდარ ითონიშვილი** - 2 ქულა (1329), **გიორგი ხრიკაძე** და **გიორგი ჭანტურია** - 1-1 ქულა (1497), თუმცა ითონიშვილს ქაიროს ტურნირის მეოთხედფინალში გასვლისთვის კიდევ 2 ქულა დაერიცხება.

ქალებში წინსვლა აქვს ჩვენს საუკეთესო ჩოგბურთელს, **მაკა ჩახნაშვილი** 227 ქულით მსოფლიოს 146-ე ჩოგანია (+12). ექვსი საფეხურით წაინია წინ **ანა ტატიშვილმაც**, 17 წლის ანა მსოფლიოს 280-ე ჩოგანია 87 ქულით. მესამე ჩოგანი კი უკვე **სოფიო შაფათავაა**, რუსულ ტურნირებში წარმატებულად ასპარეზობამ მას ხუთასეულში შეღწევის საშუალება მისცა, 18 წლის შაფათავა 34 ქულით 487-ე პოზიციაზეა, რაც წინა რეიტინგს 92 ადგილით სჯობს. რა თქმა უნდა, ეს შაფათავას კარიერის მიღწევაა. **სალომე დევიძემ** ერთი ადგილით დაიხია უკან - 26 ქულა (561). წლის რბოლაში მაკა ჩახნაშვილი 170-ე ადგილზეა, ანა ტატიშვილი - 185-ეზე, სოფიო შაფათავა რბოლაში 342-ეა, ხოლო სალომე დევიძე - 432-ე.

კარიერაში დღევანდელზე მაღლა რეიტინგში არც 17 წლის **მანანა შაფაქიძე** ყოფილა, მანანა მსოფლიოს 665-ე ჩოგანი გახდა 17 ქულით. მან 38 ადგილით წაინია წინ. სხვები: 684 (-2) **სოფიო მელიქიშვილი** - 16 ქულა; 754 (+8) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 12,5; 771 (+3) **ეკა გორგოძე** - 12; 934 (+8) **სოფიო ქვაცაბაია** - 7; 1030 (+2) **თინათინ ყავლაშვილი** - 5; 1053 (-1) **სალომე ჩაჩხუნაშვილი** - 4,7 და 1207 (+1) **მარიამ ქურდაძე** - 2,7.

ეს მაჩვენებლები კარიერაში საუკეთესოა ოქსანა კალაშნიკოვასთვის, სოფიო ქვაცაბაიასთვის და მარიამ ქურდაძისთვის. აღსანიშნავია, რომ რეიტინგში ჯერ არ შესულა ბაქოს ტურნირის შედეგები, სადაც თინათინ ყავლაშვილმა გაიმარჯვა, ხოლო **თათია მიქაძემ** და სოფიო ქვაცაბაიამ ნახევარფინალში ითამაშეს. რეიტინგში ერთი დანაკლისია, სიის მიღმა დარჩა **თეონა ცერცვაძე**.



ლადო ჩიხლაძე ორლეანში

ჩიხლაძე უკვე ჩელენჯერზეა

როგორც იქნა, **ლადო ჩიხლაძემ** შედარებით მსხვილ საერთაშორისო ტურნირში სცადა ბედი, ლადომ ორლეანში 100-ათასიან ტურნირში საკვალიფიკაციო ბადიდან ჩაება და ახლა უკვე მერვედფინალშია. გუშინ ჩვენმა თანამემამულემ პირველ წრეში "იღბლიანი დამარცხებული", ფრანგი **ოლივიე შარუანი** დაამარცხა - 6:7, 6:4, 6:4. წესით, ლადო სხვა ფრანგს, უფრო გამოცდილ **სებასტიენ დე შონაკს** უნდა შეხვედროდა, მაგრამ ეს უკანასკნელი ბოლო მომენტში ტურნირიდან მოიხსნა. ჩვენმა თანამემამულემ უკვე დაიბევა 11 სარეიტინგო ქულა (3 კვალიფიკაციისთვის, 8 ერთი წრის გავლისთვის), რაც თითქმის იმდენია, რასაც ერთი ფიუჩერსის მოგებაში იღებს.

ლადო ჩიხლაძე ორლეანის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ბადეში მე-2 ნომრად იყო განთესილი. პირველ წრეში ჩვენი თანამემამულე ისვენებდა, მეორეში კი მისი მეტოქე მე-6 ნომრად განთესილი ფრანგი **ბაპტისტ დუპუა** იყო. დაძაბული მატჩი ლადომ მესამე სეტის ტაი-ბრეიკში კარგი თამაშის წყალობით მოიგო - 6:2, 3:6, 7:6 (4). ამით ქართველი ჩოგბურთელი ორლეანის ღია პირველობის ძირითად ბადეში გავიდა.

ჩახნაშვილი ბორდოში

საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** (146) თამაშობს საფრანგეთის ქალაქ ბორდოში საერთაშორისო ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარია. ბორდოს თიხნარზე მაკა სათამაშოდ დღეს გავა, ძირითადი ბადის პირველ წრეში მისი მეტოქე "უაილდ ქარდით" მიწვეული ფრანგი **ვირჟინ პიშეა,** რომელსაც მაკამ შარშან კანარის კუნძულებზე 6:3, 6:3 მოუგო. პიშე 24 წლისაა და მსოფლიოს 218-ე ჩოგანია, ორი წლის წინათ ის მსოფლიო კლასიფიკაციაში 120-ე ჩოგნობამდე ამაღლდა. მაკა ბორდოში წყვილთა თანრიგშიც ცდის ბედს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჭიდრაჭი

მესამე ადგილზე დარჩა

ბაქოს სუპერტურნირზე მეშვიდე ტური გაიმართა. **ლელა ჯავახიშვილს** სერიოზული მეტოქე ჰყავდა - შვედი **პია კრამლინგი,** რომელთანაც შავებით ყაიმი ნორმალური შედეგია, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ შვედს რეიტინგი ამ ტურნირზე ყველაზე მაღალი აქვს - 2533.

ყაიმი, რაც უნდა ძლიერ მეტოქესთან იყოს მოპოვებული, მაინც ნახევარი ქულაა და ოდნავ შეფერხებას ნიშნავს, ეს კი კონკურენტებს დაწევის, გადასწრების ანაც უპირატესობის გაზრდის საშუალებას აძლევს. საბედნიეროდ, ამჯერად ასე არ მოხდა და ლელამ მესამე ადგილი შეინარჩუნა - მას 5 ქულა აქვს და პოლონელ **მონიკა სოცკოს** ნახევარი ქულით ჩამორჩება, ლიდერს, ბულგარელ **ანტუანეტა სტეფანოვას** კი - ერთით. სტატუს-კვოს შენარჩუნება იმად მოხერხდა, რომ სოცკომ და სტეფანოვამ ერთმანეთში ითამაშეს ყაიმით; მეხუთე ადგილზე მყოფმა ლიტველმა **ვიქტორია ჩმილიტემ** კი აზერბაიჯანელ ფირუზა **ველიხანლისთან** წააგო. ველიხანლიმ კიდევ ერთი სენსაცია გამოაცხო, - გახსოვთ ალბათ, რომ წინა ტურში მან ჯავახიშვილს მოუგო.

დღეს მერვე ტურში ჯავახიშვილი თეთრებით ერთ-ერთ აუტსაიდერს, აზერბაიჯანელ **ილაჰა კადიმოვას** ხვდება. თეთრები მისი არჩივია და იმედია, გაიმარჯვებს. დანარჩენ შეხვედრებში მოჭადრაკეები ასე დაწყვილდნენ: ნარგიზ უმუდოვა-სოფი მიიე; ვიქტორია ჩმილიტე-პია კრამლინგი; ანტუანეტა სტეფანოვა-ფიზურა ველიხანლი; კატერინა ლაჰნო-მონიკა სოცკო.

7 ტურის შემდეგ: **1. სტეფანოვა-5.5; 2. სოცკო-5; 3. ჯავახიშვილი-4.5; 4. კრამლინგი-4.5; 5. ლაჰნო-4; 6. ველიხანლი-3.5; 7. ჩმილიტე-3; 8. მიიე-2.5; 9. უმუდოვა-1.5; 10. კადიმოვა-1.**

ზვიად შათირიშვილი

ხელბურთი

თელაველებიც გავარდნენ

ევროპის თასის პირველივე ეტაპიდან გამოვარდნენ მონაწილე ქართული კლუბები, "თბილისმა" ორი მატჩის ჯამში სლოვაკურ "პოვაჟსკა ბისტრიცასთან" 39:68 წააგო. პირველ მატჩში "თბილისმა" უკეთ ითამაშა და ოდენ 8 ქულის სხვაობით წააგო - 25:33. ამ მატჩში 6-6 გოლი გაიტანეს **ფორაქიშვილმა, სამარგანიშვილმა** და **წივწივაძემ, ქარდავას** ანგარიშზე 3 გოლია. მატჩს 700 მაყურებელი დაესწრო. მეორე თამაშში "თბილისი" 14:35 დამარცხდა. 3-3 გოლით დაკმაყოფილდნენ ფორაქიშვილი, სამარგანიშვილი და წივწივაძე. ქარდავამ და **ქირიამ** 2-2 გოლი გაიტანეს, ერთიც **ყაველაშვილის** ანგარიშზეა.

თელავის სტუ-შევარდენი "ვილნიუსს" ესტუმრა. პირველ მატჩში სტუმრები 18:30 დამარცხდნენ. ქართველთაგან 6 გოლი **ყიფიანის** ანგარიშზეა, 4 გოლი **ბერძენიშვილმა** შეაგდო, 3 - **კობახიძემ**. მეორე შეხვედრა დაძაბული გამოდგა, თელაველებმა მხოლოდ ერთი ბურთის სხვაობით წააგეს - 22:23. სტუმართაგან საუკეთესო ბერძენიშვილი იყო 7 გოლით. ყიფიანმა და **ტალახაძემ** 4-4 გოლი გაიტანეს, კობახიძემ - 3.

თასების მფლობელთა თასზე შემდეგ ეტაპზე გააღწია ქართველი ხელბურთელებით დაკომპლექტებულმა "სტიარნანმა" ლატვიურ "ტენაქსს" 36:26 და 30:27 მოუგო. ამით ისლანდიური კლუბი შემდეგ ეტაპზე გავიდა. "სტიარნანში" თამაშობენ **რატი მსხვილიძე** და **ტიტე კალანდაძე,** აგრეთვე ისლანდიის ნაკრების გოლკიპერი **როლანდ ერაძე**. სხვათა შორის, ორივე თამაში ლატვიაში გაიმართა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ᲔᲕᲠᲝᲑᲐᲡᲙᲔᲢᲘ 2007

ᲕᲘᲜ, ᲡᲐᲓ, ᲠᲝᲓᲘᲡ?

ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ რომელიმე ნაკრების "ოცნების გუნდად" დასახელება თუ შეიძლებოდა, ეს პირველ რიგში, სერბების იმ პლეადის ნაკრებზე ითქმის, სადაც **დეიან ბოდიროგა, ვლადე დივაცი, პრედრაგ სტოიაკოვიჩი, მარკო იარიჩი, ვლადიმირ რადმანოვიჩი, საშა ჯორჯევიჩი, პრედრაგ დანილოვიჩი** და კიდევ ბევრი სხვა მეგავარსკვლავი იყო. აი, ეს იყო დიდი ნაკრები, სადაც გუნდური თამაშიცა და ვარსკვლავების ინდივიდუალიზმი ისე მშვენივრად იყო შეხამებულ-შეწყობილი, რომ იშვიათი გამონაკლისების გარდა, იუგებს ვერც ვერავინ უგებდა.

სადღაც ახლოსაა მათთან დღევანდელი ესპანეთი, თუმცა აქ უფრო სამომავლო პერსპექტივის ამბებია განსახილველი, რადგან ესპანელთაგან დიდი კალათბურთი ჯერ მარტო **ხორხე გარბახოსას, ხუან კარლოს ნავაროს, ფელიპე რეიესს, პაუ გასოლსა** და **ხუან კალდერონს** თუ უთამაშიათ. დანარჩენებიც ითამაშებენ და ალბათ, ამის მერე ეყოლება ბებერ კონტინენტს ის სუპერგუნდი, რომელიც ისტორიაში შევა.

ამ ეტაპზე კი, ესპანეთი საკუთარ კედლებში ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება ოქროს მედლებს და ის, რომ ეს გუნდი ხორვატიასთან დამარცხდა, ბევრი არაფრის მთქმელია. ესპანეთისთვის ის მატჩი თითქმის არაფერს წყვეტდა, ხოლო როდესაც მონდომება და მოტივაცია ადგილზე იყო, მასპინძლები ოპონენტებისგან ქვას ქვაზე არ ტოვებდნენ. იოლად აჯობა გასოლის გუნდმა ამბიციურ და მომძლავრებულ რუსეთსაც.

ანგარიში რუსთა ვარსკვლავმა **ანდრეი კირილენკომ** სამიანით გახსნა და **დევიდ ბლატის** გუნდმაც პირველი მეოთხედი თავის სასარგებლოდ დაასრულა. და ეს მიუხედავად იმისა, რომ იმავე კირილენკომ, პირველ სამ წუთში ორი ფოლი მიიღო და რუსების თავკაცმაც იგი სასწრაფოდ შეცვალა.

რუსები იქამდე უძალიანდებოდნენ ფავორიტს, სანამ ამის შნო ჰქონდათ. ასეთმა თამაშმა მეორე მეოთხედის შუაწელამდე გასტანა. მერე კი დაიწყო მათი გვემა და თამაშის ბოლომდე არც დასრულებულა.

შეამცირებდა თუ არა რუსეთი ჩამორჩენას, ესპანელების უკანა ხაზი, ნავაროსა და კალდერონის, მეთაურობით, შორიდან. დააქუხებდა და მიდი, სდიე გაქცეულებს.

ესპანეთის მთავარი უპირატესობა სწორედ ისაა, რომ მწვრთნელებს შემადგენლობით ვარირების სხვაზე ბევრად უკეთესი საშუალება აქვთ. გასოლს დაკეტავენ? აგერაა ნავარო ან კალდერონი, რომლებიც ისეთ იშტაზე მოვიდნენ, რომ "ტყვიას ტყვიაში სვამენ".

არ წაუვათ სროლა ამათ? **სერხიო როდრიგესისა** და **რუდი ფერნანდესის** სახით, პირნეელებს არანაკლებ უნივერსალური მოთამაშეები ჰყავთ, რომლებიც წინა ორ ვარსკვლავს გამოცდილებით თუ ვერა, ნიჭითა და პატრიოტიზმით ნაღდად არაფერში ჩამორჩებიან.

დღესაც ძალიან ძლიერია დაცვაში რეიესი, **მარკ გასოლი** კი აგერ, "ლეიკერსმა" აიყვანა და ესეც რომ არა, ეს ბიჭი მარტო წონა და სიმაღლე არ არის.

მოკლედ, რუსეთი კი შეებრძოლა ესპანეთს, მაგრამ სადღაც მესამე მეოთხედის მესამე წუთიდან ფავორიტმა ისე სწრაფად დაიწყო ანგარიშში სხვაობის გაზრდა, რომ თამაშსაც ნელ-ნელა აზრი დაეკარგა. ერთადერთი, რაც გასარკვევი იყო, თუ რა სხვაობით დამარცხდებოდა რუსეთი - ისინი, საბოლოოდ, "მხოლოდ" 12 ქულით დანებდნენ მოწინააღმდეგეს.

ბლატი ნამატჩევს **ვიქტორ ხრიაპასა** (ზედიზედ მეორე ორმაგი დუბლი) და კირილენკოს გარჯას აქებდა, პაუ მაგრად დაკეტეს, მარტო 13 ქულას დააჯერესო, მაგრამ მანაც გაუსვა ხაზი იმას, რომ ამ ეტაპზე რუსეთი ესპანეთს შემადგენლობით ბევრად ჩამოუვარდება.

ნავარომ და კალდერონმა ჯამში ერთადერთი შეცდომით დაასრულეს ეს პრინციპული შეხვედრა, რუსების ამერიკელმა უკანახაზელმა **ჯონ რობერტ ჰოლდენმა** კი შეხვედრა მოკრძალებული 7 ქულით ჩაამთავრა.

"დღეს მსოფლიოს საუკეთესო გუნდს ვეთამაშეთ და, წაგების მიუხედავად, ვამაყობ ჩემი ნაკრების გამოსვლით. ჩვენი მიზანი ოლიმპიური საგ ზურის მოპოვებაა და იმედი მაქვს, გუნდი ამას შეძლებს", - მიაჩნია კირილენკოს, ჩვენ კი გვგონია, რომ ამის გაკეთება რუსეთს მაგრად გაუჭირდება.

■ ■ ■

საოცარი გუნდია ისრაელი. სერბეთისა და ხორვატიის მონელების შემდეგ, ის პორტუგალიასთან შეხვედრაში ამ ჩემპიონატზე პირველად, ფავორიტის სტატუსით გავიდა მოედანზე და... თავი შეირცხვინა.



კალდერონი ესპანეთში საუკეთესო იყო

პორტუგალია, რომელსაც სათავეში უკრაინელი **ვალენტინ მელნიჩუკი** უდგას, ისრაელისთვის ბოლო დროს უხერხულ მეტოქედ კი იქცა, მაგრამ ასეთ დონეზე ებრაელთა კიდევ ერთი ფიასკოს პროგნოზირება მაინც რთული იყო.

ისრაელელებმა პორტუგალიასთან წინა საკვალიფიკაციო ციკლის ორივე შეხვედრა დათმეს და მოგების შანსი არც ამჯერად ჰქონიათ.

მიუხედავად იმისა, რომ **ლიმორ ელიაჰუმ** თამაშიდან 17-ში 12 სროლა გამოიყენა და არაჩვეულებრივადაც ითამაშა, ისრაელს ეს არ ეყო. წინა ორ შეხვედრაში ბლომად ქულა-მოხსნის გაკეთების მერე, მოედანზე ვერც კი იპოვნიდით ამ მატჩამდე ებრაელთა საუკეთესო კალათბურთელს, მძიმე ფორვარდ **იანივ გრინს,** რომელმაც ამჯერად მხოლოდ 2 ქულა, 3 მოხსნა და ამდენივე შედეგიანი გადაცემა დააგროვა.

გრინის პასიურობა კი პორტუგალიის მოხსნებში უდიდეს უპირატესობაში (45:25) აისახა. თანაც, ისრაელს არანაირად არ მისდიოდა გუნდური თამაში. ქულებს თავიდან თითქმის მთლიანად ელიაჰუ აგროვებდა, მერე კი მას **იოთამ ჰალპერინიც** (8 საშუალო სროლიდან 7 ზუსტად შეასრულა) შეეშველა, თუმცა პორტუგალია უკვე 20 ქულას იგებდა და დამაჯერებლად მიიყვანა შეხვედრა საბოლოო გამარჯვებამდე.

■ ■ ■

საბერძნეთს ტურნირის მთავარი იმედგაცრუების გარდა, კიდევ ერთი, ყველაზე დამაინტრიგებელი გუნდის ჯილდოც უნდა გადასცენ.

ბერძნები თითქმის მოგებული მატჩის სადავეებს კარგავენ, მდევრის როლში რჩებიან, ბოლოს კი, მატჩს ინტრიგას ბოლო წუთამდე ინარჩუნებენ და მაინც, სასწაულებრივად იგებენ.

ასე იყო ამჯერადაც.

ბერძნები მესამე მეოთხედის დასრულებამდე 37:50 აგებდნენ, მაგრამ მერე და მერე აამუშავა ზარბაზანი **დიმიტრიოს დიამანტიდისმა,** ათამაშდა აშკარად ცუდ ფორმაში მყოფი **თეო პაპალუკასიც** და ევროპის მოქმედმა ჩემპიონებმა ხანგრძლივი მონაკვეთი 24:7 (!) მოიგეს.

ძირითადის დასრულებას 7 წამი რომ უკლდა, საბერძნეთი **მარკო პოპოვიჩზე** დაჯარიმდა, ამ უკანასკნელმა ორივე საჯარიმო ჩააგდო და ანგარიში გაათანაბრა – 78:78.

ხორვატებისთვის სამწუხაროდ, დარჩენილი დრო სრულიად საკმარისი გამოდგა **ვასილეიოს სპანულისისთვის,** რათა მას სამიანი ჩაეჭედა მეტოქის კალათში და საბერძნეთმაც უმნიშვნელოვანესი თამაში მოიგო.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

E ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ-ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ 69:81

23:20, 12:20, 16:23, 18:18

რუსეთი: კირილენკო (21 ქ. 4 მ), ხრიაპა (14 ქ. 11 მ. 3 პ. 2 ჩ), მორგუნოვი (13 ქ. 3 პ), პაშუტინი (12 ქ. 4 მ).

ესპანეთი: კალდერონი (17 ქ. 4 პ. 2 მ), ნავარო (15 ქ. 2 პ), პ. გასოლი (13 ქ. 9 მ. 2 პ. 2 დ), რეიესი (11 ქ. 4 მ. 2 პ), გარბახოსა (11 ქ. 3 მ. 2 ჩ).

ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ-ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ 94:85

28:14, 18:20, 19:14, 29:37

პორტუგალია: გომეში (23 ქ. 11 მ. 3 ჩ. 2 პ), ჟორდაო (20 ქ. 4 მ. 2 პ), და სილვა (13 ქ. 9 პ. 4 მ), სანტოში (12 ქ. 7 მ. 2 პ. 2 ჩ), კუნაი (9 ქ. 5 მ).

ისრაელი: ელიაჰუ (29 ქ. 9 მ. 3 პ), ჰალპერინი (19 ქ), ნაორი (12 ქ), ტაპირო (7 ქ. 6 პ).

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ-ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ 81:78

20:19, 13:21, 25:14, 23:24

საბერძნეთი: დიამანტიდისი (23 ქ. 6 მ. 3 პ. 2 ჩ), პაპადოპულოსი (22 ქ. 6 მ), სპანულისი (14 ქ. 3 პ), პაპალუკასი (11 ქ), დიკუდისი (ქ. 3 მ).

ხორვატია: კასუნი (15 ქ. 6 მ), ტომასი (11 ქ), მ. პოპოვიჩი (11 ქ. 4 მ. 4 პ), უკიჩი (10 ქ), პლანინჩიჩი (10 ქ. 4 მ. 3 პ).

	მ/წ	ქ
1. ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ	3-1	7
2. ᲠᲣᲡᲔᲗᲘ	3-1	7
3. ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ	2-2	6
4. ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ	2-2	6
5. ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ	1-3	5
6. ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ	1-3	5



ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲤᲘᲚ ᲯᲔᲥᲡᲝᲜᲘ

ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡ ᲚᲔᲘ�კᲔᲠᲡᲘ

ᲯᲔᲥᲡᲝᲜᲘ ᲑᲠᲐᲘᲐᲜᲢᲡ: ᲗᲣ ᲬᲐᲮᲕᲐᲚ, ᲒᲐᲛᲝᲒᲧᲕᲔᲑᲘ

ᲛᲐᲒᲠᲐᲓ დაიძაბა სიტუაცია "ლეიკერსში". თითქოსდა ჩაცხრა სკანდალი **კობი ბრაიანტის** ულტიმატუმის ირგვლივ. მაგრამ რამდენიმე დღის წინ, კალიფორნიელთა მთავარმა მწვრთნელმა, ლეგენდარულმა **ფილ ჯექსონმა** თავის მხრივაც დაუწუნა სასელექციო მუშაობა "ლეიკერსს" და კობის მხარე დაიჭირა.

შეგახსენებთ, რომ ბრაიანტმა "ლეიკერსის" ბოსებს განუცხადა - ან შემადგენლობას საჩემპიონოდ მებრძოლს დაამსგავსებთ, ან მანდ ჩემი ფეხი აღარ იქნებაო. მერე და მერე, ბრაიანტი ამერიკის ნაკრებთან ერთად ოლიმპიური საგზურის მოსაპოვებლად იბრძოდა (უფრო სწორად, ერთობოდა), თუმცა იმ ულტიმატუმის შესახებ არ დავიწყნია და ერთ-ერთ ჟურნალისტს უთხრა კიდეც, რახან აღარაფერს ვამბობ, არ ნიშნავს, თითქოს აზრი შემეცვალაო.

როდესაც სამი დღის წინ, ჯექსონს "სლემი" გაესაუბრა, ცხრაგზის ტრიუმფატორმა სპეციალისტმა კობი დაიცვა.

"რთულია ისეთ გუნდში თამაში, სადაც წინსვლის არანაირი პერსპექტივა არ არსებობს. ბრაიანტი მხოლოდ ჩემპიონობის მოსაპოვებლად თამაშობს და როდესაც ხედავს, რომ გუნდი ამისთვის არასაკმარისად ძლიერი მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული, მისთვის ეს უკვე პრობლემაა. ასე რომ, კობის ამ საკითხში მხარს ვუჭერ", - განაცხადა ჯექსონმა.

"ლეიკერსმა" გაუხანგრძლივა კონტრაქტი ცენტრ **კრის მიმსა** და უნივერსალ მსრრლელს **ლიუკ უოლტონს,** მერე კი ნაოპერაციებ შვილთან ახლოს ყოფნის მიზნით, ვეტერანმა უკანახაზელმა **დერეკ ფიშერმა** "იუტასთან" ხელშეკრულება დაარღვია და ბედი "ლეიკერსს" დაუკავშირა.

ბრაიანტმა ამერიკის ნაკრების შეკრებაზევე განაცხადა, რომ გუნდში მიდასატოვებლად ეს არ იყო საკმარისი და "ლეიკერსის" მფლობელებს ერთი თვე მისცა შემადგენლობის გასაძლიერებლად.

კალიფორნიელებმა ბოლო ორი წლის განმავლობაში ორჯერვე პირველ წრეში წააგეს ფლეი ოფი და ორივეჯერ, კობისა და მის საძმოს **სტივ ნეშის** "ფინიქსმა" აჯობა. სპეციალისტები დღემდე ვერ ხვდებიან, რაში სჭირდება ფილ ჯექსონს უსაქმური და საძაგელი **კვამე ბრაუნი** ან რატომ უნდა უხადოს **ლამარ ოდომს** სეზონში 14 მილიონი, როდესაც ამ თანხის სანაცვლოდ, იგივე **შონ მერიონი** მთელ სხეულზე "ლეიკერსის" სვირინგებს დაირტყამს.

ბრაიანტმა მაშინაც საჯაროდ გააკრიტიკა "ლეიკერსის" ორგანიზაცია, როდესაც მისი მეგობარი, სუპერვარსკვლავი **კევინ გარნეტი** "სელტიქსში" გადავიდა. არადა, თავიდან "მინესოტის" ყოფილ ლიდერს სწორედ "ლეიკერსი" დაუკავშირდა.

და მაინც, რას აპირებენ კობი და ფილი?

ბრაიანტმა და მისმა აგენტმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება არ მოისურვეს, ხოლო ჯექსონმა კი თქვა: *"თუ გუნდში კობი არ დარჩა, ესე იგი "ლეიკერსი" საუკეთესო შემთხვევაში, მომდევნო დრაფტის პირველი ნომრის მოსაპოვებლად იბრძოლებს და დამდეგ რეგულარულზე ხელი უნდა ჩავიქნიოთ. ასეთი პერსპექტივით ჯერ არასოდეს მიმუშავია და თუ კობი და ბოსები საერთო ენას ვერ გამონახავენ, მაშინ გუნდში ჩემს მომავალზე სერიოზულად დავფიქრდები."*

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲰᲔᲚᲗᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲕᲣᲔᲚᲢᲐ

ᲛᲔ-8 ᲔᲢᲐ�პᲘ. ᲙᲐᲠᲘᲜᲔᲜᲐᲓᲐᲜ ᲡᲐᲠᲐᲒᲝᲡᲐᲛᲓᲔ (52.2 ᲙᲛ, ᲓᲠᲝᲖᲔ ᲘᲜᲓ.ᲠᲒᲝᲚᲐ)

1. ბერტ გრაბში (გერმანია, ტე-მობილი) 57:05; 2. ლასლო ბოდროგი (უნგრეთი, კრედიტ აგრიკოლი) 0.34; 3. სტიინ დეფოლდერი (ბელგია, დისქავერი ჩენელი) 0.48; 4. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 1.18; 5. მაგნუს ბაქსტედტი (შვედეთი, ლიკიგაზი) 1.37; 6. შტეფან შუმახერი (გერმანია, გეროლშტაინერი) 1.52...

ᲛᲔ-9 ᲔᲢᲐ�პᲘ. ᲣᲔᲡᲙᲐᲓᲐᲜ ᲡᲔᲠᲚᲔᲠᲐᲛᲓᲔ (167.6 ᲙᲛ)

1. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, სონიე დიუვალ-პროდირი) 4:28.21; 2. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) იგივე დროში; 3. ეზეკილ მოსკერა (ესპანეთი, კარპინ გალისია) 0.17; 4. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 0.17; 5. ოლივერ ცაუგი (შვედეთი, გეროლშტაინერი) 0.51...

ᲛᲔ-10 ᲔᲢᲐ�პᲘ. ᲒᲔᲜᲐᲡᲙᲘᲓᲐᲜ ᲝᲠᲓᲘᲜᲝ ᲐᲠᲙᲐᲚᲘᲡᲐᲛᲓᲔ (214 ᲙᲛ)

1. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 5:47.05; 2. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) იგივე დროში; 3. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი); 4. მანუელ ბელტრანი (ესპანეთი, ლიკიგაზი); 5. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC); 6. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი); 7. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, სონიე დიუვალ-პროდირი) ყველა იგივე დროში...

ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ 10 ᲔᲢᲐ�პᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ

1. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 39:41.51; 2. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 2.01; 3. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 2.27; 4. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 3.02; 5. ეზეკილ მოსკერა (ესპანეთი, კარპინ გალისია) 4.35; 6. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 4.42; 7. ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 5.49; 8. მანუელ ბელტრანი (ესპანეთი, ლიკიგაზი) 5.56; 9. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, სონიე დიუვალ-პროდირი) 6.06; 10. სტიინ დეფოლდერი (ბელგია, დისქავერი ჩენელი) 6.28...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშშ-ის ღია პირველობა

ფედერერის 12 გაელვება



ნოვაკ ჯოკოვიჩი და როჯერ ფედერერი

როჯერ ფედერერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თანამედროვეობის და ალბათ, ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელია. აშშ-ის ღია პირველობის ფინალში, მან სამ დაძაბულ სეტში მოუგო სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩს** და მიმდინარე სეზონში დიდი სლემის მესამე, სულ კი კარიერაში მე-12 ტიტული მოიპოვა.

მართალია, იყო მომენტები, როცა ჯოკოვიჩს სეტ(ებ)ის მოგების შანსი უჩნდებოდა, მაგრამ ერთი შეხედვით, ყველაზე გამოუვალ სიტუაციებშიც კი, შვეიცარიელი მაესტრო ადვილად ახერხებდა განსაცდელისგან თავის დაღწევას და თავის სასარგებლოდ შემოაბრუნებდა ხოლმე თამაშს. თანაც, ამ დროს მას სახეზე ემოციის ნასახსაც ვერ შეატყობდი. ემოციები მან მხოლოდ მაშინ გაათავისუფლა, როცა მეოთხედ მოიგო აშშ-ის ღიას თასი.

ჯოკოვიჩს პირველ სეტში ხუთი სეტ პოინტი ჰქონდა, მეორეში კი - ორი, მაგრამ ვერცერთის რეალიზება ვერ შეძლო. არადა, სანამ ამ შანსს მიიღებდა, ორივე შემთხვევაში, წინა გეიმში აღწევდა ბრეიკს. მაგრამ, სწორედ ასეთ კრიტიკულ მომენტებში, ფედერერი თამაშის შემობრუნებას ახერხებდა. ორივეჯერ მან ჯერ საპასუხო ბრეიკის აღება შეძლო, შემდეგ საქმე ტაიბრეიკამდე მიდიოდა, სადაც დიდი ტურნირების ფინალებში თამაშს მიუჩვეველი მეტოქის გატეხვას უპრობლემოდ ახერხებდა.

"ნოვაკს დღეს ბევრი შანსი ჰქონდა, მეტისმეტად ბევრი, მაგრამ გამოუცდელობამ ცუდი სამსახური გაუწია. ზედიზედ ორჯერ, თითქმის მოგებული სეტები წააგო. დარწმუნებული ვარ, სხვა დროს ასეთი რამ აღარ დაემართება", - განაცხადა ფედერერმა.

"როჯერი ძალიან გამოცდილი ჩოგბურთელია. მან კარგად იცის, როგორ უნდა მოიქცეს კრიტიკულ სიტუაციებში. მას არაერთი ფინალი უთამაშია და ალბათ არაერთი მსგავსი სიტუაციიდან დაუღწევია თავი. მან კარგად იცის, როგორ უნდა მოთოკოს ნერვები და ცივი გონებით აკეთოს საქმე. მე კი სასლემო ტურნირის ფინალში პირველად ვითამაშე და ალბათ ამის გამო, ძალიან ვნერვიულობდი. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა სეტის მოგების შანსი მიჩნდებოდა. ვიმედოვნებ, რომ შემდეგ ჯერზე ამ თასს მე დავეუფლები", - განაცხადა ჯოკოვიჩმა, ვისი ქომაგების ლოჟაშიც, მისი მშობლების გარდა იმყოფებოდენ კინოვარსკვლავი **რობერტ დე ნირო** და რუსი ჩოგბურთელი **მარია შარაპოვა.**

ჯოკოვიჩი აღიარებს, რომ სეტ პოინტებზე ზედმეტად მონდომებული იყო და ოდნავ მეტი აგრესიით თამაშობდა. მერჩივნა, ისევე გამეგრძელებინა თამაში, როგორც ეს სეტ პოინტები მოვიპოვე. ვიმედოვნე, სხვა დროს ასეთი შეცდომები აღარ მომივაო, - ამბობს სერბი ჩოგბურთელი.

ის სეტის მოგებასთან ყველაზე ახლოს მეორე სეტის მიწურულს იყო, როცა ფედერერი 5:6-ზე აწოდებდა და გეიმს 15:40 აგებდა. შვეიცარიელმა ორივე სეტ პოინტი შესანიშნავი მოწოდების წყალობით გაქვითა, რომლებზეც სერბს პასუხი არ აღმოაჩნდა.

ბრძოლა მესამე სეტშიც იყო, ოღონდ აქ უკვე აშკარად იგრძნობოდა, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგანი საქმეს ტაიბრეიკამდე აღარ მიიყვანდა. მეათე გეიმში მან სეტში ერთადერთი ბრეიკ პოინტი ქულად აქცია და ამით გამარჯვებაც მოიპოვა. ეს აშშ-ი ღიაზე მის მიერ ზედიზედ მოგებული 27-ე თამაშია. რაც მთავარია, ფედერერი შეიქნა პირველი ჩოგბურთელი, ვისაც ერთ სეზონში უიმბლდონი და აშშ-ის ღია ზედიზედ ოთხჯერ აქვს მოგებული (უიმბლდონი მან ზედიზედ ხუთჯერ მოიგო). ამასთან, ამერიკელი **ბილ ტილდენის** (1920-იანი წლები) შემდეგ, ის პირველი ჩოგბურთელია, ვინც აშშ-ის ღიას ზედიზედ ოთხჯერ მოგება შეძლო.

ფედერერს დიდი სლემის ორი ტურნირის მოგებაღა სჭირდება იმისათვის, რომ ამერიკელი **პიტ სამპრასის** რეკორდი გაიმეოროს - დიდი სლემის 14 ტიტულს დაეუფლოს. თავისი 12 სასლემო ტიტულით კი ამ ეტაპზე ის ყველა დროის ჩემპიონთა არაოფიციალურ სიაში მეორე ადგილს ლეგენდარულ ავსტრალიელ **როი ემერსონთან** იყოფს.

სხვათა შორის, ფედერერი ადრე ყოველთვის ამბობდა, რომ სამპრასის მიღწევის გამეორებაზე არც ფიქრობს, მაგრამ "ფლეშინგ მედოუსზე" ზედიზედ მეოთხედ გამარჯვების შემდეგ, აღიარა, რომ მისი მორიგი მიზანი სწორედ ამერიკელის რეკორდის გაუმჯობესება იქნება.

"ახლა უკვე ამაზე ბევრს ვფიქრობ. იმიტომ, რომ ამ შედეგს ძალიან მივუახლოვდი. რაც დრო გადის, დიდი სლემის ტურნირები ჩემთვის სულ უფრო დამძლელი ხდება. ახლა ბოლომდე გამოფიტული ვარ და არაფრის თავი არ მაქვს. მაგრამ ენერგიას გამარჯვების სიხარული მანიჭებს. მიხარია, რომ ჩემს ასაკში ამდენს უკვე მივაღწიე და ვიმედოვნებ, რომ მალე სამპრასის რეკორდსაც მივწვდები", - ამბობს ფედერერი და დასძენს:

"რაც მეტს ვიგებ, მით უფრო მეტს ვნერვიულობ ხოლმე ფინალების წინ. კორტზე გასვლის წინ საკუთარ თავს კითხვებს ვუსვამ. გამარჯვების შემდეგ კი ბედნიერების გრძნობა მავსებს და ემოციების შეკავებაც მიჭირს. და ეს საუკეთესო გრძნობაა, რომელიც კი ოდესმე განმიცდა".

ჯოკოვიჩს კი ის თავის მომავალ ყველაზე ძლიერ მეტოქედ განიხილავს, რა თქმა უნდა, ესპანელ **რაფაელ ნადალთან** ერთად. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, მონრეალის მასტერსის ფინალში, ჯოკოვიჩმა ფედერერი დაამარცხა. თანაც, ფინალის გზაზე ნადალსაც და ამერიკელ **ენდი როდიკსაც** მოუგო.

სერბმაც იცის, რომ მალე მისი დროც დადგება და თითქმის მოგებულ ფინალებს აღარ წააგებს. მანამდე კი ხუმრობის ხასიათზეა - ჩემს შემდეგ წიგნს "შვიდ სეტ პოინტს" დავარქმევო...

მერაბ ლორთქიფანიძე

ნიუ იორკი (აშშ). პარდი

საპრიზო ფონდი: 19 653 000 დოლარი

მამაკაცები

ფინალი

როჯერ ფედერერი (შვეი, 1)-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3) 7:6(4), 7:6(2), 6:4

ქალები. წყვილები

ფინალი

ნატალი დეში/დინარა საფინა (საფ/რუს, 7)-იუნ-ძან ჩანი/ჩია-ძუნ ჩუანი (ტაივ, 5) 6:4, 6:2

TV სპორტი

11 სექტემბერი. სამშაბათი

I არხი

21:55 რაგბი. მსოფლიო თასი. საქართველო-არგენტინა (LIVE).

SPORT 1 (უკრაინა)

06:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. შოტლანდია-ლიტვა.
08:30 სპორტდოსიე. სკეიტინგი.
09:00 სპორტკლუბი.
10:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. შვედეთი-დანია.
11:55 აფროსნობა. ამერიკის თასი.
12:25 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. რიეტი. იტალია.
14:40 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. გუნდური ფინალი. შტუტგარტი. გერმანია.
17:40 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ვასკო და გამა-სან პაულუ.
19:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. უელსი-გერმანია.
21:40 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:55 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
22:10 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. ჰოლანდია-ბულგარეთი.
00:05 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:20 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
00:50 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:05 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. შვედეთი-დანია.
02:50 აფროსნობა. ამერიკის თასი.
03:15 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. გუნდური ფინალი. შტუტგარტი. გერმანია.
06:20 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.

EUROSPORT

10:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩების მომიხილვა.
10:45 მაუნტინბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრიტანეთი.
11:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-პოლონეთი.
12:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩების მომიხილვა.
13:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. აშშ-ს. კორეა. ჩინეთი (LIVE).
15:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. გერმანია-არგენტინა. ჩინეთი.
16:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. იაპონია-ინგლისი. ჩინეთი (LIVE).
18:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ნიგერია-შვედეთი. ჩინეთი.
19:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. უელსი-გერმანია.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩების მომიხილვა.
20:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-პოლონეთი.
21:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩების მომიხილვა.
21:15 მულტისპორტი.
21:30 მძლეოსნობა. EAA-ს ტურნირი. ლინცი. ავსტრია (LIVE).
00:00 პროფესიული კრივი. მჩატე წონა. ა. კუდრიავცევი (უკრაინა)-პ. მოზესი (ნამიბია). დონეცკი. უკრაინა.
02:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩების მომიხილვა.
03:15 ჩოგბურთი. ტატიანა გოლოვინი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-ბულგარეთი. თურქეთი.
13:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. წინასწარი ეტაპი. ბრეგენცი (ავსტრია)-კასარანემ (იტალია).
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩების მომიხილვა.
17:00 ველოსპორტი. პოლონეთის ტური. III ეტაპი (LIVE).
19:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). ფინალი. ესპანეთი-ნიგერია. ს. კორეა.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩების მომიხილვა.
23:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. მონცა. იტალია.
23:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. გერმანია.
00:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. გერმანია.
01:00 ახალი ამბები.
01:15 პრო-რესტლინგი.
02:15 ახალი ამბები.

რეიტინგები

ATP-ის რეიტინგი

1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც)	7605
2(2). რაფაელ ნადალი (ესპ)	5385
3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	4295
4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს)	3255
5(5). ენდი როდიკი (აშშ)	2540
6(6). ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	2290
7(7). ფერნანდო გონსალესი (ჩილ)	2185
8(15). დავიდ ფერერი (ესპ)	1940
9(9). ტომას ბერდიჩი (ჩეხ)	1925
10(10). ტომი ჰაასი (გერ)	1880
11(8). ტომი როზრადო (ესპ)	1875
12(12). ივან ლუბიჩიჩი (ხორ)	1880
13(14). გილერმო კანიასი (არგ)	1653
14(13). რიშარ გასკე (საფ)	1625
15(17). კარლოს მოია (ესპ)	1620
16(22). ხუან იგნასიო ჩელა (არგ)	1465
17(11). მიხაილ იუჟნი (რუს)	1465
18(18). მარკოს ბაღდატისი (კვი)	1410
19(19). ენდი მარეი (გრიტ)	1345
20(23). ხუან მონაკო (არგ)	1320

ATP-ის საჩემპიონო რბოლა

1(2). როჯერ ფედერერი (შვეიც)	1171
2(1). რაფაელ ნადალი (ესპ)	1012
3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	802
4(5). ნიკოლაი დავიდენკო (რუს)	485
5(4). ენდი როდიკი (აშშ)	466
6(7). დავიდ ფერერი (ესპ)	382
7(8). ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	321
8(12). ტომი ჰაასი (გერ)	316
9(13). კარლოს მოია (ესპ)	315
10(9). ივან ლუბიჩიჩი (ხორ)	303
11(6). ფერნანდო გონსალესი (ჩილ)	296
12(10). ტომი როზრადო (ესპ)	292
13(14). ტომას ბერდიჩი (ჩეხ)	290
14(11). მიხაილ იუჟნი (რუს)	281
15(20). ხუან იგნასიო ჩელა (არგ)	279
16(15). რიშარ გასკე (საფ)	266
17(16). გილერმო კანიასი (არგ)	265
18(17). მარკოს ბაღდატისი (კვი)	258
19(18). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა)	256
20(22). ხუან მონაკო (არგ)	251

ფულადი მონაგარი

1. როჯერ ფედერერი (შვეიც)	7 063 620
2. რაფაელ ნადალი (ესპ)	4 869 435
3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	3 057 150
4. ნიკოლაი დავიდენკო (რუს)	1 899 475
5. ენდი როდიკი (აშშ)	1 543 870
6. ფერნანდო გონსალესი (ჩილ)	1 036 230
7. დავიდ ფერერი (ესპ)	1 033 452
8. ტომაშ ბერდიჩი (ჩეხ)	993 070
9. მიხაილ იუჟნი (რუს)	889 625
10. ტომი ჰაასი (გერ)	887 150
11. ხუან იგნასიო ჩელა (არგ)	871 515
12. ივან ლუბიჩიჩი (ხორ)	869 145
13. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	853 985
14. კარლოს მოია (ესპ)	826 880
15. რიშარ გასკე (საფ)	819 440
16. ტომი როზრადო (ესპ)	799 647
17. გილერმო კანიასი (არგ)	792 165
18. მაიკ ბრაიანი (აშშ)	737 185
19. ბობ ბრაიანი (აშშ)	733 360
20. მარკოს ბაღდატისი (კვიპ)	698 655

WTA-ს რეიტინგი

1(1). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ)	5200
2(4). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	3780
3(3). ელენა იანკოვიჩი (სერ)	3365
4(2). მარია შარაპოვა (რუს)	3235
5(6). ანა ჩაკვეტაძე (რუს)	2940
6(5). ანა ივანოვიჩი (სერ)	2925
7(9). სერენა უილიამსი (აშშ)	2391
8(8). ნადია პეტროვა (რუს)	2266
9(14). ვენუს უილიამსი (აშშ)	2215
10(10). მარიონ ბარტოლი (საფ)	2067
11(7). ამელი მორესმო (საფ)	2062
12(11). დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)	1932
13(12). პატი შნიდერი (შვეიც)	1768
14(15). ნიკოლ ვაიდიმოვა (ჩეხ)	1736
15(13). ელენა დემენტიევა (რუს)	1686
16(19). შაარ პეერი (ისრ)	1678
17(16). დინარა საფინა (რუს)	1674
18(17). მარტინა პინგისი (შვეიც)	1673
19(18). ტატიანა გოლოვინი (საფ)	1414
20(20). სიბილ ბაუერი (ავსტრია)	1298

WTA-ს საჩემპიონო რბოლა

1. ჟუსტინ ანენი (ბელ)	4675
2. ელენა იანკოვიჩი (სერ)	3725
3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	3246
4. ანა ივანოვიჩი (სერ)	2847
5. ანა ჩაკვეტაძე (რუს)	2556
6. მარია შარაპოვა (რუს)	2430
7. სერენა უილიამსი (აშშ)	2391
8. ვენუს უილიამსი (აშშ)	2190
9. მარიონ ბარტოლი (საფ)	1802
10. ნადია პეტროვა (რუს)	1788
11. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)	1686
12. დინარა საფინა (რუს)	1667
13. შაარ პეერი (ისრ)	1588
14. პატი შნიდერი (შვეიც)	1535
15. ნიკოლ ვაიდიმოვა (ჩეხ)	1511
16. ელენა დემენტიევა (რუს)	1447
17. ამელი მორესმო (საფ)	1406
18. სიბილ ბაუერი (ავსტრია)	1370
19. მარტინა პინგისი (შვეიც)	1337
20. ტატიანა გოლოვინი (საფ)	1218

ფულადი მონაგარი

1. ჟუსტინ ანენი (ბელ)	4 092 676
2. სერენა უილიამსი (აშშ)	1 946 491
3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	1 855 242
4. ვენუს უილიამსი (აშშ)	1 800 437
5. ელენა იანკოვიჩი (სერ)	1 595 067
6. ანა ივანოვიჩი (სერ)	1 549 349
7. მარია შარაპოვა (რუს)	1 243 420
8. ანა ჩაკვეტაძე (რუს)	1 100 176
9. მარიონ ბარტოლი (საფ)	1 037 645
10. დინარა საფინა (რუს)	974 661
11. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)	862 039
12. ნიკოლ ვაიდიმოვა (ჩეხ)	768 503
13. შაარ პეერი (ისრ)	756 883
14. მარა სანტანჯელო (იტა)	679 450
15. ნატალი დეში (საფ)	676 760
16. კატ. სრეიბოტნიკი (სლოვენ)	662 348
17. ლიზელ ჰუბერი (აშშ)	636 457
18. ნადია პეტროვა (რუს)	634 502
19. მარტინა პინგისი (შვეიც)	630 353
20. კარა ბლეკი (ზიმ)	626 765

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

მსოფლიო ჩემპიონატი

ქალები

გერმანია-არგენტინა	11:0

ინგლისი

კონფერენსი

ბარბონი-ბორკი	3:1
სბივენიჯი-სტეფორდი	3:0

შვედეთი

II დივიზიონი

ენგოპინგი-დეგერფორსი	1:0
სილვია-ირონგოპინგი	2:4

ფინეთი

ია რო-ბამპერე	0:2

ირლანდია

კორკი-დუბლინი	4:1

პოკერი

რუსეთი

სვერდლოვი-ვიბიუხი	1:2
აკ ბარსი-ვეგალერგი (მ)	1:1
ლოკომოტივი-ამური	4:0
ნიუბოსიბირსკი-ბრატსკი	1:1

კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატი

მამაკაცები

იტალია-თურქეთი	84:75 ო.ბ.
ლიტვა-საფრანგეთი	88:73
სლოვენია-გერმანია	77:47

ჩოგბურთი

ATP. ჩინეთის ღია

კიმი-იუ	6:3, 7:5
კაპდევილე-უდომჩოკე	6:2, 6:2
ლი-გარსია	6:4, 6:3
გონსალესი-პეია	3:6, 6:3, 7:5
კუნიციინი-სუნი	6:2, 7:6

ATP. ბუქარესტი

ანდრეევი-ლუჩაკი	6:4, 3:6, 6:4
ვასალო არგელო-ეშაუერი	6:4, 6:4
მონტანიესი-დევილდერი	6:3, 6:1
სიმონი-გარსია ლოპესი	7:6, 6:4
ნავარო პასტორი-გუჩიონე	6:4, 7:6
სეპი-მელცერი	4:6, 7:5, 6:4
სერა-კოროლიოვი	6:4, 5:7, 0:6

WTA. ბალი

კრეიბასი-ტამაელა	6:4, 6:7, 2:6

ველოსპორტი

ასტანას სერიოზული მიზნები აქვს

ველოსპორტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მენეჯერი **იოჰან ბრუნელი** პროფესიულ გუნდს "ასტანაში" გადასვლას აპირებს.

ამჟამად, ბრუნელი ამერიკულ ველოსაჯინიბოს, "დისქავერი ჩენელს" უდგას სათავეში, მაგრამ არ მალავს, რომ "ასტანის" წარმომადგენლებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. "ასტანის" შტაბბინა შვეიცარიაშია, ისე კი, ამ გუნდს მსხვილი ყაზახური კომპანიები აფინანსებენ.

"ბევრი ჭორი იყო იმის შესახებ, რომ მე ყაზახეთში ჩავფრინდი, მაგრამ ეს არ არის მართალი. სამაგიეროდ, სიმართლეს შეესაბამება ცნობა იმის შესახებ, რომ ამ ქვეყნის ველოსპორტის ფედერაციის წარმომადგენლები დამიკავშირდნენ და ჩვენ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ. ეს ტურ დე ფრანსის შემდეგ მოხდა და სწორედ მაშინ შემომთავაზეს "ასტანის" შეფობა. დღეს ამ წინადადებაზე ვფიქრობ. უფრო ადრე სპორტიდან წასვლა მინდოდა, მაგრამ ახლა შეიძლება გადავიფიქრო", - ამბობს ბრუნელი.

შეგახსენებთ, რომ სატიტულო სპონსორის დაკარგვის გამო, "დისქავერი ჩენელი" ამ სეზონის შემდეგ შეწყვეტს არსებობას. არსებობს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ტურ დე ფრანსის წლევანდელი გამარჯვებული, ესპანელი **ალბერტო კონტადორიც** "ასტანაში" გადავა. ბრუნელი ამის შესახებ ამბობს: ჯერჯერობით ამ ინფორმაციის დადასტურება ნაადრევიაო.

კონტადორი მსოფლიოზე არ იქნება

ამასობაში, გაირკვა, რომ წლევანდელი ტურის ტრიუმფატორი **ალბერტო კონტადორი** მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას არ მიიღებს.

როგორც ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **პაკო ანტეკერმა** განაცხადა, კონტადორი ძალიან გადაღალა მომქანცველმა სეზონმა და მას დასვენება ესაჭიროება.

მსოფლიო ჩემპიონატი 25 სექტემბერს შტუტგარტში დაიწყება.

ბელგიაში რუსები დაიჭირეს

ბელგიის პოლიციამ ქალაქ ვანროდეში რუსული პროფესიული საჯინიბოს, "პრემიერის" 10 წევრი დააკავა. ეს გუნდი "ევრო-ტურის" ლიცენზიის მფლობელი გახლავთ. ბელგიის პოლიციაში მისი რვა მრბოლელი და ორი ოფიციალური პირი აღმოჩნდა.

დაკავების მიზეზი გახდა სამსაათიანი ჩხრეკა, რომლის დროსაც ამოღებულ იქნა ამფეტამინი და სხვა აკრძალული პრეპარატები. მეორე დღეს, პოლიციამ ველომრბოლები გაათავისუფლა, მაგრამ ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება გაგრძელდება.

კოკეი

ბარასო მწვრთნელობას იწყებს

წარსულში ცნობილი მეკარე, 42 წლის **ტომ ბარასო** გუშინ "კაროლინა ჰარიკეინზის" გოლკიპერთა მწვრთნელად დაინიშნა.

ბარასომ ოთხი წლის წინ დაასრულა აქტიური სპორტული კარიერა. მას NHL-ში 18 სეზონი აქვს გატარებული, რომლის დროსაც ორჯერ მოიპოვა სტენლის თასი. სხვადასხვა დროს, ტომი "ბაფალოს", "პიტსბურგის", "ოტავის", "კაროლინის", "ტორონტოსა" და "სენტ ლუისის" ღირსებას იცავდა.

ჩოგბურთი

შარაპოვას უცნაური როლი

როგორც უკვე ვწერდით, მომავალ უიქ ენდზე, მოსკოვში ფედერაციის თასის ფინალი გაიმართება, რომელშიც რუსების ქალთა ნაკრები იტალიას შეხვდება. ისიც შეგატყობინეთ, რომ წინასწარი ინფორმაციით, რუსეთში ჩასვლას არ აპირებდა **მარია შარაპოვა**.

მაგრამ ახლა ირკვევა, რომ მარია მოსკოვში იქნება და თავის ნაკრებს ტიტულის ზედიზედ მეორედ მოპოვებაშიც დაეხმარება. ოღონდ, მსოფლიო კლასიფიკაციის მეოთხე ჩოგანს, ნაკრებში უცნაური როლი ექნება - ის თანაგუნდელებს ვარჯიშების დროს სპარინგპარტნიორობას გაუწევს.

საქმე ისაა, რომ ექიმები შარაპოვას ჯერ არ აძლევენ თამაშის უფლებას, სამაგიეროდ, ფინალის წინა პერიოდში, მას ვარჯიშის ნებას მისცემენ.

რუსები რჩეულებს შეკრებენ

ქალთა ნაკრებისგან განსხვავებით, რუსების მამაკაც ჩოგბურთელებს, მალე დევისის თასის ნახევარფინალში მოუწევთ თამაში. 21-23 სექტემბერს, ისინი ასევე მოსკოვში გერმანიის ნაკრებს უმასპინძლებენ.

უკვე ცნობილია, რომ რუსები ამ ეტაპზე უძლიერესი შემადგენლობით ითამაშებენ. კერძოდ, გუნდის კაპიტნის **შამილ ტარპიშჩევის** განკარგულებაში იქნებიან: **ნიკოლაი დავიდენკო, მარატ საფინი, მიხაილ იუჟნი, დმიტრი ტურსუნოვი** და **იგორ ანდრეევი**.

"ამ ხუთიდან ყველა მზად არის სათამაშოდ, ამიტომაც, უახლოეს დღეებში რთული გადაწყვეტილება უნდა მივიღო და ერთ-ერთი მათგანი ნაკრებს მიღმა უნდა დავტოვო", - განაცხადა ტარპიშჩევმა.

ოლიმპიზმი

უნგრელ ოლიმპიელებს ორჯერ შეამოწმებენ

პეკინის ოლიმპიადის წინ, უნგრეთის ანტისადოპინგო სააგენტო მკაცრად შეამოწმებს ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების წევრებს. კერძოდ, ოლიმპიურ თამაშებზე ვერცერთი სპორტსმენი არ გაემგზავრება, სანამ მინიმუმ ორჯერ არ გაივლის დოპინგტესტს.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელთა აზრით, ეს ზომები იმის გამოა საჭირო, რომ თავიდან იქნეს აცილებული ათენის ოლიმპიადაზე მომხდარი სკანდალი. 2004 წლის თამაშებზე, დოპინგის მიღების გამო ხუთი უნგრელი ათლეტი დაისაჯა დისკვალიფიკაციით, მათ შორის ეროს მტყორცნელი **ადრიან ანუში** და ბადროს მტყორცნელი **რობერტ ფაზეკაში**, რომლებმაც ათენში ოქროს მედლები მოიპოვეს.

კრივი

კლიჩკომ ოპერაცია გაიკეთა

სუპერმძიმე წონაში WBC-ის საპატიო ჩემპიონმა **ვიტალი კლიჩკომ**, ერთ-ერთი ბოლო ვარჯიშის დროს ზურგის ტრავმა მიიღო. უკრაინელი მოკრივე 22 სექტემბერს, ამერიკელ **ჯამილ მაკლაინთან** შეხვედრისთვის ემზადება. როგორ უკრაინული პრესა წერს, უფროსმა კლიჩკომ ხერხემლის მალა დაიზიანა და ამის გამო, ერთ-ერთ ავსტრიულ კლინიკაში მას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს.

"ვიტალი თავს კარგად გრძნობს. ის მორიგ ვარჯიშს ატარებდა, როცა ეს დაზიანება მიიღო. საჭირო გახდა ოპერაციის სასწრაფოდ ჩატარება, მაგრამ საშიში არაფერია. კლიჩკოს სამ დღეში გაუშვებენ კლინიკიდან", - აცხადებს K2 Promotions-ის წარმომადგენელი **ტომ ლეფლერი**.

ეს უკანასკნელი არაფერს ამბობს მაკლაინთან ბრძოლის თარიღის გადატანის შესახებ. თუმცა ამ საკითხს ეხმიანება ამერიკელი მოკრივის მენეჯერი **სკოტ ჰირში**. მისი ინფორმაციით, ბრძოლა ვიტალი კლიჩკოსთან საერთოდ გაუქმდა, რადგან უკრაინელმა ტრავმის გამო არ ისურვა რინგზე ასვლა.

მსოფლიო რეკორდი. გამოხმაურება

პაუელი დაბრუნდა!!!

ასაფა პაუელი არც მსოფლიო ჩემპიონია და არც ოლიმპიური ჩემპიონი, მაგრამ ოსაკას მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებიდან ორიოდე კვირის შემდეგ, მან მაინც აღიდგინა მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერის წოდება - იტალიის პატარა ქალაქ რიეტიში, დიდი პრიზის სერიის ტურნირზე ასპარეზობისას, შესარჩევ გარბენში მსოფლიოს მისივე რეკორდს (9.77 წამი) 0.03 წამი მოაკლო. გავიდა საათნახევარი და მან ფინალურ გარბენში ასევე ფენომენალური შედეგი - 9.78 წამი დააფიქსირა.

იამაიკელი მორბენლის შესაძლებლობებში ეჭვის შეტანა არც ოსაკას შემდეგ ღირდა. იაპონიაში მას აშკარად ცუდი სამსახური გაუწია ზედმეტმა ნერვიულობამ - ფინალური გარბენის სტარტზე მდგარი ერთთავად ოფლში ცურავდა. რიეტიში კი, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის სერიოზული მეტოქეობა არავის გაუწევია (ფინალში მეორეზე გასული იამაიკელი **მაიკლ ფრატერის** დრო 10.03 წამი), ფანტასტიკური დრო დააფიქსირა. თანაც, სარეკორდო გარბენის ბოლო ათ მეტრზე აშკარად ტემპიც დააგდო - როგორ წარმოიდგენდა, თუ ოსაკაში განცდილი ფიასკოს შემდეგ, ასე მალე გაეჯიბრებოდა რეკორდს.

"დღეს მე მსოფლიოს დავანახე, რომ ასაფა დაბრუნდა. ჰიტში ადვილად მოვიგე და მართალი გითხრათ, არც თავი მომიკლავს. ამის მიუხედავად კი რეკორდი გავაუმჯობესე. ეს სასწაულია. კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ ოსაკაში დაშვებული შეცდომები რომ არა, ჩემპიონობა შემეძლო. აქ კი ისე გამოვედი, როგორც შემეძლო. ოსაკაში იმის გამო ვინერვიულე, რომ ამ სეზონის დიდი ნაწილი გამიცდა. ამის გამო იყო, რომ დისტანციის მეორე ნახევარში უპირატესობა დავკარგე. თითქოს, დამავიწყდა, როგორ უნდა მერბინა ბოლო 50 მეტრი", - ამბობს პაუელი.

"ახლა იმას არ ვიტყვი, რომ ეს რეკორდი ოსაკაში წაგებისთვის რევანშია. იქ გამოსვლა სულ სხვაა - შენგან ყველა ბევრს მოელის და ამ დროს, უზარმაზარ ფსიქოლოგიურ ზეწოლას გრძნობ. ოსაკას შემდეგ ბევრი ვივარჯიშე და გავიხსენე, თუ როგორ უნდა გაირბინო დისტანცია მთელი დატვირთვით ისე, რომ იმადროულად, სიამოვნებაც მიიღო. არ ვტრაბახობ, მაგრამ ალბათ, 9.70-ზე ნაკლებშიც შემეძლო გარბენა. ფინალში კი, ოდნავ ძლიერი ზურგქარიც რომ ყოფილიყო, ძველ რეკორდს კიდევ ერთხელ გავაუმჯობესებდი. რაც შეეხება იტალიას, ეს ქვეყანა ძალიან მომწონს. მე ხომ ევროპაში აქ ვვარჯიშობ ხოლმე და ალბათ, ეს გარემოებაც დამეხმარა რეკორდის გაუმჯობესებაში", - ამბობს რეკორდსმენი, ვინც წინა რეკორდი 2005 წელს ათენში დაამყარა, შარშან კი ეს შედეგი ორჯერ გაიმეორა.

ასაფა პაუელი

ოქროს ლიგა

ჯეკპოტის მაძიებლებს ერთი გამოაკლდა

შვეიცარიის ქალაქ ციურიხში შედგა მძლეოსანთა ოქროს ლიგის სერიის მორიგი, მეოთხე შეხვედრა, რომლის შემდეგაც, მილიონდოლარიანი ჯეკპოტის მაძიებელთა რიგები ორამდე შემცირდა. მორიგი გამარჯვება მოიპოვეს რუსმა ჭოკით მხტომელმა **ელენა ისინბაევამ** და ამერიკელმა მორბენალმა **სანია რიჩარდსმა**. სერიაში პირველი მარცხი იწვნია ამერიკელმა თარჯმრბენმა **მიშელ პერიმ**.

რიჩარდსმა 400 მეტრზე სირბილში აჯობა ყველას და მიმდინარე სეზონის საუკეთესო შედეგიც (49.36 წამი) დააფიქსირა. ამ დისტანციაზე მსოფლიო ჩემპიონს, ბრიტანელ **კრისტინ ოჰურუგუს** კი ხელი მოეცარა - მან ფინიშის ხაზი მეოთხემ გადაკვეთა.

"ფინიშის სწორზე რომ გავედი, წარმოდგენა არ მქონდა, თუ დანარჩენები ასე შორს იქნებოდნენ. სტარტის წინ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ვგრძნობდი, მაგრამ თავი ხელში ავიყვანე და გარწმუნებთ, კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გამარჯვება მოვიპოვე", - განაცხადა რიჩარდსმა, ვინც თითქმის წამნახევრით აჯობა მეორეზე გასულ იამაიკელ **ნოვლენ უილიამსს**.

სანია რიჩარდსი

ტურნირს, რომელსაც ხშირად მსოფლიოს ერთდღიან ჩემპიონატსაც უწოდებენ ხოლმე, ახლად გარემონტებულ სტადიონ "ლეტციგრუნდზე" 26 500 მაყურებელი დაესწრო. მათ წინაშე კი მორიგი გამარჯვება მოიპოვა ისინბაევამ, ვისაც ამჯერად, მოსაგებად 4.80 მეტრზე გადახტომა ეყო. რა თქმა უნდა, პირველი ადგილის განაღდების შემდეგ, მან სეზონის საუკეთესო შედეგის (4.93 მეტრი) დაფიქსირება სცადა, მაგრამ სამივე ცდა ამაოდ დახარჯა.

რაღაც არ გამომდის. უფრო მეტიც, შემიძლია ვთქვა, ძალიან გამიმართლა, რომ არ ნავაგეო, - განაცხადა მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა.

მას შემდეგ, რაც ოსაკაში ას მეტრზე თარჯრბენში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მეორედ მოიპოვა, პერისგან ციურიხში გამარჯვებას ბევრი ელოდა, მაგრამ ის მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა. გამარჯვება კი ევროპის ჩემპიონმა, შვედმა **სუზანა კალურმა** მოიპოვა, ვინც ოსაკაში მედლის გარეშე დარჩა.

ციურიხში მსოფლიოს კიდევ რამდენიმე ჩემპიონმა იასპარეზა, რომელთაგან ყველაზე გამორჩეული სიმაღლეზე მხტომელი ხორვატი **ბლანკა ვლასიჩი** იყო. ის იოლად გადახტა 2.04 მეტრზე გადებულ თამასას, რის შემდეგაც, მსოფლიო რეკორდის (2.10 მეტრი) გაუმჯობესებაც ცადა. ორ ცდაზე ის მიზანთან ახლოს იყო, მაგრამ ხელი მოეცარა, შემდეგ კი განაცხადა, ასეთ სიგრილეში რეკორდის დამყარება მოსალოდნელი არც იყოო.

3000 მეტრზე გარბენში ბადალი არ ჰყავდა მსოფლიოს ამერიკელ ჩემპიონ **ბერნარდ ლაგატს**, ვინც ოსაკაში 1 500 და 5 000 მეტრზე მოიპოვა ოქროს მედლები. ამერიკელმა **ქსავიე კარტერმა**, ვისაც ოსაკაში ტრავმის გამო არ უასპარეზია, 200 მეტრზე სპრინტი მოიგო. მან ციურიხის ტურნირის რეკორდი (19.92 წამი) გაუმჯობესა და რაც მთავარია, 0.30 წამით აჯობა მსოფლიო ჩემპიონს, ამერიკელ **უსაინ ბოლტს**.

მერაბ ლორთქიფანიძე

ეროვნული სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაგიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცველიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით ფალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10², 0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე. გარდა კვირისა